

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციური ნომერი \*2424

ინილეთ ჩანართი



მიხეილ სააკაშვილი: არ დავაშვებ პრეზიდენტის შეზღუდვას

A2



ირანის ოპოზიციამ საპროტესტო აქციები შეწყვიტა

A8



## გაერო-ს შეხვედრის მიხედვით

დანიელ ავალიანი

გაერო-ს უშიშროების საბჭოზე საქართველოში გაერო-ს მისიის მანდატის გაგრძელების თაობაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მსჯელობა ამ საკითხზე გუშინ თბილისის დროით გვიან ღამეებში გაგრძელდა. მხარეებს პოზიციები არ შეუცვლიათ - რუსეთმა დასავლეთის ქვეყნების მიერ შემუშავებული პროექტი არ მიიღო და "ახალი რეალიზების გათვალისწინება" და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოხსენიება დაჟინებით მოითხოვა. თავის მხრივ, საბჭოს დანარჩენმა წევრებმა რუსეთის წინადადებები უარყვეს. თბილისში აცხადებენ, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაში ეჭვის შეტანის ხარჯზე მისიის შენარჩუნება მიუღებელია.

მსჯელობა გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ძალზე დაძაბული გამოდგა. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის დაყოლიება რეზოლუციის აშშ-ს, საფრანგეთის, დიდ ბრიტანეთისა და გერმანიის მიერ მომზადებული პროექტის მხარდაჭერაზე ვერ მოხერხდა. თუმცა, რუსეთმა არც მეორე ვარიანტი მიიღო - არსებული მანდატის ხანმოკლე დროით ტექნიკური გაგრძელება.

როგორც გუშინ გაერო-ში რუსეთის ელჩმა ვიტალი ჩურკინმა განაცხადა, საქართველოს მეგობართა ჯგუფმა რუსეთს მისიის მანდატის 15 ივლისამდე ტექნიკური გადავადება შესთავაზა, თუმცა, ჩურკინის თქმით, "გაერო-ს მისიის მუშაობის გაგრძელება ძველი სახელწოდებით შეუძლებელია." შესაბამისად, რუსეთმა ეს წინადადება უარყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

## შეტაკება და შეთავაზება

სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებაში ბრუნდება

დათო გაბისონია

გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა და ხელისუფლებამ ერთმანეთის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ მოსინჯეს ძალები. თავდაპირველად, ათეულობით პირმა, როგორც თავად აცხადებდნენ - ადგილობრივმა მოსახლეობამ, მთავრობის კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ოპოზიციის "საკნები" დაარბია და რამდენიმე აქტივისტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. შემდეგ კი მოვლენების ეპიცენტრმა პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან გადაინაცვლა, სადაც საპროტესტო აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავებს შორის ინციდენტი მოხდა. შემთხვევის შედეგად ოპოზიციის ათეულობით მხარდამჭერი დაკავებულია. გამწვავებული ვითარების მიუხედავად, "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტ სააკაშვილის შემოთავაზებას დათანხმდა და შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობის დასაკავებლად მზადყოფნა გამოთქვა.

გაგრძელება A3 გვერდზე



AFP - 2009

## გაზის ომი ლუკაშენკოს გადასაყენებლად?

ივა შილაკაძე

რუსეთი და ბელარუსი ადრეც ხშირად კინკლაობდნენ, მათ შორის ელცინის დროსაც კი. პუტინის და შემდეგ უკვე მედვედევის (რა განსხვავებაა?) ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ურთიერთობა უფრო ცივი გახდა, შენარჩუნდა გარკვეული დისტანცია და ერთიან სახელმწიფოზე ლაპარაკი, ფაქტობრივად, დამთავრდა, მაგრამ რუსეთი ბელარუსს მაინც ვერ ელეოდა და მის ფინანსურ და ენერგეტიკულ დოტაციას დღემდე აგრძელებდა. ალექსანდრე ლუკაშენკო კი ჭირვეული ბავშვი-

ვით მაინც ახერხებდა "საკუთარი თვითმყოფადობის" შენარჩუნებას. დღეს კი შეიძლება მდგომარეობა შეიცვალოს, თუმცა როგორც რუსეთში, ასევე უკრაინაში ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ დაძაბულობა მაინც მოგვარდება, მაგრამ დანაკარგებით ორივე მხრიდან.

6 ივნისს დაწყებულ "რძის ომს" უკვე მოჰყვა პოლიტიკური გართულებები. ბელარუსის პრეზიდენტმა გუშინწინ მოულოდნელად კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამიტი ჩააგდო (ამის შესახებ უკვე წერდა "24 საათი"). ეს რუსეთისთვის საკმაოდ სერიო-

ზული სილის განწმენა, რის პატივსაც პუტინ-მედვედევის დუეტი, ეტყობა, არ აპირებს. "რძის ომი" ჯერ არ დამთავრებულა, რუსეთის და ბელარუსის პრესში კი უკვე ლაპარაკობენ მოსალოდნელ "გაზის ომზე". ორივე ქვეყანა უკვე დაჩქარებული წესით ემზადება საზღვრის სრულმასშტაბიანი გაკონტროლებისა და საბაჟო პროცედურების შემოღებისკენ. "კოლექტიური უსაფრთხოების" სამიტიზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ბელარუსი არაღეგტიმურს უწოდებს, თუმცა რუსეთი ამას "არ იმჩნევს", ბელარუსს "სთავაზობს", მიღწეულ შეთანხმებას ნებისმიერ დროს შეუ-

ერთდეს და "არ ესმის", თუ რატომ გადააქვს ამ უკანასკნელს ორმხრივი გაუგებრობები მრავალმხრივ ფორმატში. მედვედევი შეურაცხყოფილია იმითაც, რომ ლუკაშენკომ სამიტიზე ჩაუსვლელია წინასწარ არ შეატყობინა. ლუკაშენკო კი რუსეთს ბელარუსის ეკონომიკისთვის ძირის გამოთხრის მცდელობაში ადანაშაულებს და ასეთ დროს სამხედრო უსაფრთხოებაზე გადაწყვეტილების მიღებას უადგილოს უწოდებს, თუმცა პრინციპში ამას ნორმალურ პირობებში არ შეეწინააღმდეგებოდა.

გაგრძელება A7 გვერდზე



### ირაკლი ალასანიას ახალ პარტიას აფუძნებს

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანიას ახალ პარტიას აფუძნებს. ახალი პარტიის "ერთიანი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები" პრეზენტაცია ივლისის დასაწყისში გაიმართება.

მომავალი პარტიის ლიდერი ირაკლი ალასანიას ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, თუ ვინ განვერიანდება მის პარტიაში.

ალასანიას თქმით, მისი პარტიის სახელწოდება შესაძლოა, საქართველოში მოქმედი სხვა პარტიების სახელწოდებების იდენტურია, თუმცა სიტყვების - "დემოკრატიის", "თავისუფლებისა" და "საქართველოს" ფიგურირება მინიშნებს, რომ ეს არის ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გარშემოც მისი თანაგუნდლები და თანამოაზრეები გაერთიანდებიან.

ალასანიას ასევე აცხადებს, რომ "ალიანსი საქართველოსთვის", რომელშიც გაერთიანებულნი არიან მისი პოლიტიკური გუნდი, "რესპუბლიკელები" და "ახალი მეტარჯვენიები", არ დაიშლება. **პრაიმ-ნიუსი**

### მედვედევი საქართველოს მთავრობასთან დიალოგს გამოიციხავს

რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი საქართველოს მოქმედ მთავრობასთან ყოველგვარ დიალოგს გამოიციხავს. ამის შესახებ მედვედევმა ჩინეთის ცენტრალური ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა და აღნიშნა, რომ ის ახლაც და მომავალშიც განსაკუთრებულ დახმარებას აღმოუჩენს სეპარატისტულ რეგიონებს.

"რუსეთი აშუამდგამს და მომავალშიც გაუწევს ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. ეს ჩვენი არჩევანია და ამ პროექტების შეცვლას არ ვაპირებთ, იმის მიუხედავად, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა," - განაცხადა დმიტრი მედვედევმა.

მისივე თქმით, დე ფაქტო რესპუბლიკების აღიარება შექმნილ ვითარებაში რუსეთის ზნეობრივი ვალდებულება იყო. რაც შეეხება შეერთებული შტატების პოზიციას, თითოეულმა სახელმწიფომ მსგავსი საკითხები თავად უნდა გადაწყვიტოს და რუსეთი ამაში დრამატულს ვერაფერს ხედავს, - იუწყება კრემლის პრესსამსახური მედვედევის განცხადებაზე დაყრდნობით. **პრაიმ-ნიუსი**

### დავით ბაქრაძე: აშშ-ს მთავრობის განცხადება სერიოზული სიგნალი უნდა იყოს

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის აზრით, 12 ივნისის ინციდენტზე აშშ-ს მთავრობის განცხადება სერიოზული სიგნალი უნდა იყოს როგორც ქართული საზოგადოებისთვის, ისე ოპოზიციის ლიდერებისთვის.

ამის შესახებ ბაქრაძემ პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს შენობაში გაიმართა, თუმცა წინასწარ სხდომის შესახებ ინფორმაცია რა გავრცელებულა და პარლამენტის შენობაში მხოლოდ ტელეურნალისტები შეუშვეს.

ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დიპლომატიურ კორპუსს ნათელი და მკაფიო განცხადებებისთვის. "იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ქვეყანაში მიმდინარე შიდა პროცესებზე უცხოელი დიპლომატები ასეთ მკაფიო, ცხად და ნათელ რეაგირებას ახდენენ. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რამდენად აღშფოთებული იყო არა მხოლოდ ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობაც," - აღნიშნა ბაქრაძემ და განსაკუთრებული ყურადღება ამერიკის მთავრობის განცხადებაზე გაამახვილა.

მისი თქმით, იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სხვა ქვეყანაში მიმდინარე შიდა პროცესებზე მკაფიო განცხადებას აკეთებს. "ეს წარმოადგენდა მკაფიო სიგნალს, რომ პარასკევს განვითარებული მოვლენები დემოკრატიისა და აზრის გამოხატვის ხაზის გადალახვა და კრიზისი იყო," - აღნიშნა ბაქრაძემ. **ინტერპრესნიუსი**

### საგარეო უწყება საზღვრის 20 კილომეტრით გადმოწევას არ ადასტურებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთთან საზღვრის რაჭის მონაკვეთის 20 კილომეტრით გადმოწევას არ ადასტურებს.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორმა სერგი კაპანაძემ განაცხადა, სამინისტროს აქვს კომპეტენტური წყაროებიდან ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, რუსი მესაზღვრეების მიერ საზღვრის გადმოტანის ფაქტი არ დასტურდება.

მისივე ინფორმაციით, თუ ასეთი შემთხვევა დაფიქსირდება, მის აღსაკვეთად ყველაწაიარ ზომებს გამოიყენებენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსმა მესაზღვრეებმა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის რაჭის მონაკვეთზე საზღვარი 20 კილომეტრით გადმოწიეს, ხოლო ქართველმა მესაზღვრეებმა უკან დაიხიეს. **პრაიმ-ნიუსი**

# ბაქრო-ს შეუსრულდა მისი

პირველი გავრდიდან

"გვესმის, რომ ბაქრო-ს მისიის შენარჩუნება მნიშვნელოვანია, მაგრამ ავგისტოს შემდეგ რეალიები შეიცვალა. დოკუმენტში ახალი გარემოებები უნდა აისახოს," - განაცხადა ჩურკინმა.

აფხაზეთში ბაქრო-ს მისიის გაუქმების გამო პასუხისმგებლობა რუსეთის საგარეო უწყებამ გუშინ წინასწარ დააკისრა უშიშროების საბჭოს დანარჩენ წევრებს. კერძოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რუსეთმა მოუწოდა "კოლეგებს უშიშროების საბჭოში", "გადახედონ ინტერვიუს, პოლიტიკურ პოზიციებს, რაც კავკასიის ხალხების ინტერესების იგნორირებას წარმოადგენს და ეჭვქვეშ აყენებს სტაბილურობას რეგიონში."

ოფიციალური მოსკოვი აღნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა რეზოლუციის საკუთარი პროექტი შეიმუშავეს, რომელიც "ახალ რეალიებს" ეწინააღმდეგე-

ბოდა. "ის, ფაქტობრივად, მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დადასტურებაზე და აფხაზეთის, როგორც სახელმწიფოს, არსებობის უარყოფაზე. ნათელია, რომ რუსული მხარე ამას არ დათანხმდებოდა," - ნათქვამია უწყების განცხადებაში.

მოსკოვმა დასავლეთს "ახალი რეალიების" გათვალისწინებისკენ და "მოძველებული სახელწოდებებისა და ტერმინების გამოყენებაზე" უარის თქმისკენ მოუწოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, "მთელი პასუხისმგებლობა ჩვენს პარტნიორებს დაეკისრებათ".

სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზეთის მხარე ბაქრო-სგან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ ითხოვს, თუმცა ორგანიზაციას მოუწოდებს, "მიკერძოებული ფორმულირებისგან" თავი შეიკავოს.

"ბაქრო-ს მისიის გაგრძელებისთვის ჩვენ მზადყოფნას გამოვხატავთ. თუმცა აქვე ვაცხა-

# მიხეილ სააკაშვილი:

# არ დავუშვებ პრეზიდენტის შეზღუდვას

ნათია მსხილაძე

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალ შენობაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს შეხვდა.

თავდაპირველად მან მადლობა გადაუხადა საქართველოს პარლამენტს იმისთვის, რომ ორთვიანი შესვენების შემდეგ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში პლენარული სხდომა ჩატარდა. თუმცა სააკაშვილი იმ ორ თვეს ფუჭად დაკარგულად არ მიიჩნევს. "ვფიქრობ, თქვენ ამტკიცებთ, რომ ხალხს ეკუთვნით. ჩვენ ძალიან ბევრი გასვლითი სხდომა გავმართეთ საქართველოს რეგიონებში და ეს არის ნათელი დასტური იმისა, რომ ჩვენ გვაქვს პარლამენტი, რომელიც არის ყველაზე უფრო დივერსიფიცირებული საკანონმდებლო ორგანო საქართველოს ისტორიაში," - განაცხადა სააკაშვილმა უმრავლესობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

სიტყვით გამოსვლისას ქვეყნის პრეზიდენტი გასული წლის ავგისტოში რუსეთის მიერ განხორციელებულ აგრესიას შეეხო. მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, პირობები იმ აგრესიისთვის, რაც შარშან ზაფხულში რუსეთმა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ განახორციელა, საქართველოში შევარდნაძის მთავრობის ნაბიჯებმა შექმნა. "რუსეთის მიერ ჯერ საქართველოსთვის საიდუმლო ომის გამოცხადებამ, შემდეგ საქართველოს შიდა აშლილობისა და სამოქალაქო ომის პროვოცირებამ შევარდნაძის დაუფლავებული მთავრობა იძულებული გახადა, რუსეთთან მისულის, შესულიყო დსთ-ში, დაეწინა მინისტრები და მოენერა ხელი მოსკოვის ხელშეკრულებისთვის, რომლითაც დაკანონდა რუსული სამხედროების ყოფნა აფხაზეთში და პრაქტიკულად ამით ჩაიღო ის ნაღმი, რის საფუძველზე შარშან რუსეთმა ჩვენ წინააღმდეგ აგრესია განახორციელა," - განაცხადა სააკაშვილმა და განმარტა, რომ სწორედ ეს ხელშეკრულებაა დევნილების დაუბრუნებლობისა და კონფლიქტების მოუვარებლობის მიზეზი.

საკაშვილმა დღევანდელ მთავრობასა და ედუარდ შევარდნა-

ძის მთავრობას შორის არსებულ განსხვავებაზეც ისაუბრა. პრეზიდენტის თქმით, ავგისტოს მოვლენების დროს დღევანდელმა ხელი-სუფლებამ შევარდნაძის მთავრობის მიერ 90-იან წლებში დამკვეთი შეცდომების გამეორების თავიდან აცილება თუნდაც იმით შეძლო, რომ ცხინვალში განვითარებული მოვლენები საქართველოს შიდაა-რეულობად კი არა, რუსეთ-საქართველოს ომად შეაფასა.

"რუსეთის მთავარი მიზანია, დაკეტოს შუა აზია, კასპის რეგიონი და პრაქტიკულად აღადგინოს საბჭოთა კავშირი," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

საკაშვილის თქმით, რუსეთს საქართველოს სრული ოკუპაცია თავისი გეგმების განსახორციელებლად სჭირდება. "პუტინი ძალიან იმედგაცრუებულია იმით, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვერ დაასრულა საქართველო. მათ საქართველოს დასრულება იმიტომ კი არ უნდათ, რომ სააკაშვილი ჩამოვიდნენ, ჩემი ჩამოვიდნენ საქართველოს ბედი რომ წყდებოდეს, მე პირადად მივიდოდი, ისე როგორც საქართველოს მეფეებს გაუკეთებიათ, მაგრამ მათ საქართველო უნდათ და არა სააკაშვილის დასჯა, რადგან მთლიანად კეტავენ შუა აზიას და კასპის რეგიონს და პრაქტიკულად აღადგენენ საბჭოთა კავშირს. პირველი გეგმა მათ ბოლომდე ვერ განახორციელეს," - აღნიშნა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის რიტორიკულ განცხადებასაც გამოეხმაურა. "ზატკინმა მედვედევმა თქვა, რომ სააკაშვილი არის პოლიტიკური გვამი. მე არ ვარ მასზე გაბრაზებული, რადგან რუსეთის პრეზიდენტი სხვის პოზიციებს გამოხატავს," - განაცხადა სააკაშვილმა უმრავლესობის წევრებთან შეხვედრაზე.

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, რადიკალური ოპოზიციის მცდელობაზე, როგორმე ხელისუფლება მიტინგების დარბევაზე გამოეწვიო, მთავრობამ საოცარი თავშეკავება გამოიჩინა. "ყველაწაიარ მცდელობა იყო იმისა, რომ მიტინგები როგორმე დაგვერბია, მაგრამ ჩვენ გამოვიჩინეთ საოცარი თავშეკავება. გავაკეთე ის, რასაც ბევ-

დებთ, რომ ბაქრო აუცილებლად უნდა იყოს ნეიტრალური. დღეს ცალსახად რომელიმე მხარის მხარდაჭერა დაუშვებელია," - განაცხადა შამბამ. მისი თქმით, "თუ იქნება ობიექტური და არა-ანგაჟირებული მიდგომა, ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, თუმცა ერთმნიშვნელოვნად საქართველოს მხარდაჭერი ორგანიზაცია აფხაზეთში ვერ იმუშავებს. იმ შემთხვევაში, თუ ძველი პოზიცია დაფიქსირდება, გვესურს, საერთაშორისო საზოგადოებამ იცოდეს, რომ ჩვენ ბაქრო, უბრალოდ, არ გვჭირდება."

საქართველოში ბაქრო-ს მისიის შესახებ გუშინ საქართველოს პრეზიდენტმაც გააკეთა განცხადება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღიარების საკითხში რაიმე კომპრომისი კატეგორიულად გამოირიცხა. მიხეილ სააკაშვილმა ბაქრო-ში რუსეთის პოზიციის ცვლილება გაიხსენა და აღნიშნა, რომ ადრე მოსკოვი "ბოლშევის გეგმას" უჭერდა მხარს, რომელიც საქართველოს ტერიტორიუ-

ლი მთლიანობის აღდგენას ითვალისწინებდა.

2001 წლიდან კი, ყოველ ექვს თვეში, უშიშროების საბჭოს საქართველოს საზიანოდ რალაც დათმობებს და ტერმინოლოგიის შეცვლას გამოსტყუებდა ხოლმე. თუმცა, აქამდე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი ყველა რეზოლუციაში რჩებოდა. "ჩვენ ამ მისიის შენარჩუნება ვცადეთ, მაგრამ ის ტერიტორიული მთლიანობის უმთავრესი პრინციპის ხარჯზე ვერ შენარჩუნდება," - განაცხადა სააკაშვილმა. მისი თქმით, რუსეთს არ გამოუვა ამ პრინციპის შეცვლა ბაქრო-ს დოკუმენტებში, ვინაიდან დღეს საქართველოს სერიოზული საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს.

აფხაზეთში ბაქრო-ს მისიის ტექნიკური გაგრძელების რეზოლუციაზე კენჭისყრა ბაქროს უშიშროების საბჭოში წუხელ გვიან 11:00-ს უნდა გამართულიყო. შედეგები დღეისთვის განცხადება ცნობილი.

დღის წინ შესთავაზა, მაშინ არასაპარლამენტო პოლიტიკური უმცირესობის მთლიანმა სპექტრმა, მათ შორის სალომე ზურაბიშვილმა, ეს წინადადება გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ისინი თანამდებობებისთვის არ იბრძვიან.

საპარლამენტო უმრავლესობასთან გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მედიის წარმომადგენლებისთვის მუშაობაში ხელის შეშლის გამო სამართალდამცველები მკაცრად გააფრთხილა. "მკაცრი შენიშვნა მივეცი სამართალდამცავ ორგანოებს და გააფრთხილე, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეზღუდონ ჟურნალისტებს მუშაობა, მიუხედავად იმისა, როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს მათი მუშაობა," - განაცხადა სააკაშვილმა. "არ დავუშვებ, რომ პრესის რომელიმე საშუალების მუშაობა ვინმემ შეზღუდოს," - აღნიშნა მან.

პრეზიდენტის ეს გაფრთხილება გუშინდელ ფაქტს მოჰყვა, როცა თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი არეულობის დროს სამართალდამცველებმა ჟურნალისტებს მუშაობის საშუალება არ მისცეს, მიკროფონები, ვიდეო და ფოტოკამერები ჩამოართვეს და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიიყენეს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ლევან გაჩეჩილაძესთან პარლამენტის დღის წინ გამართულ პრინციპულ შეხვედრასაც გამოეხმაურა. "ლევან გაჩეჩილაძესთან შეხვედრით კმაყოფილი ვარ, მან კი თქვა - ვერაფერი გავიგე, რა მიიხარო, მაგრამ ყველაფერი ძალიან კარგად გაიგე," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ გაჩეჩილაძესთან შეხვედრის შემდეგ ოპოზიციამ პროვოკაციები შეგნებულად დაიწყო, რათა ხელისუფლებამ დილოგზე უარი თქვას, თუმცა ქვეყნის პირველი პირი კვლავ აცხადებს, რომ დილოგს, სიმშვიდესა და სტაბილურობას ალტერნატივა არ აქვს. "ჩვენ არ დავუშვებთ საქართველოში სახელმწიფოებრივ შერყევასაც კი, ჩამოშლაზე აღარც ვლაპარაკობ. საქართველოს სახელმწიფო არ მეკუთვნის მე, მაგრამ მე და თქვენ გვაქვს მოვალეობა, საქართველო, როგორც სახელმწიფო, დავიცვათ და გა-

**გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "მეზა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუაშვილი, პაატა მუხამიძე.**  
**რედაქცია:** სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ლინიასვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფიო კლასონია (რეჟიუ), ანა ფარუაშვილი (სპორტი). **რედაქცია და რედაქციის მენეჯერი** ირაკლი ლევიკა ტელ: 899 22 09 49. **მმართველი რედაქტორი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შლუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყველაშვილი. **რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელი ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge



# შეტაკება და შეთავაზება

პირველი გვერდიდან

ოპოზიციის ექვსი დაკავებული აქტივისტის გათავისუფლების მოთხოვნით, გუშინ პოლიციის მთავარ სამმართველოსთან ოპოზიციური პარტიების ახალგაზრდული ფრთისა და დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაციების 50-მდე წევრი შეიკრიბა. მომიტინგეებთან ერთად იყვნენ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე და ასევე მისი პოლიტიკური პარტნიორი "ალიანსი საქართველოდან" ზურაბ აბაშიძე. ოპოზიციონერები დაკავებული აქტივისტების გათავისუფლებას ითხოვდნენ. აქცია ოპოზიციონერებსა და პოლიციელებს შორის ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. სამართალდამცველებმა ოპოზიციონერთა ნაწილი სამმართველოს ეზოში შეიყვანეს. გარდა ამისა, მას-მედიის წარმომადგენლებს მუშაობის საშუალება შეუზღუდეს და აპარატურა წაართვეს. ამასთანავე გადაამტკნეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიყენეს. ამ ფაქტის გამო გუშინ პროტესტის ნიშნად ტელეკომპანიებმა "კავკასიამ" და "მავსტრომ" მაუწყებლობა შეწყვიტეს.



მოკრატული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ პოლიციის სამმართველოს შენობასთან მომხდარი ინციდენტი ხელისუფლების მიზანმიმართულ აქციად შეაფასა. "დღეს იმით დაარბიეს მომიტინგეები, რომ ხელისუფლებას გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების გადაფარვა სურდა," - აღნიშნა ბურჯანაძემ.

რუსთაველის გამზირზე შეკრებილი დემონსტრანტებისთვის მოულოდნელი წინადადებით გამოვიდა "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი. მან მიიღო პრეზიდენტის შეთავაზება და მზად არის, დაიკავოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა. ზურაბიშვილი საპროტესტო მიტინგის მონაწილეებს განუმარტა თავისი გადაწყვეტილების მიზეზები. "ნამდვილად არ მოცინებია, რომ გავმდარეიყავი ვანო მერაბიშვილის მოადგილედ, მაგრამ ყველამ უნდა ნახოს, ვინ ვინ არის. პატრონი მიხეილ, მე დანიშნება ველოდები, რადგან შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის შემთხვევაში პარლამენტის შენობის წინ ყოველდღიურად გამართული აქციის მონაწილეებს ანგარიშს ჩავაბარებ. მოქალაქეები სწორედ ამ გზით იქნებიან დაცულნი და საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს მიიღწევენ," - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მრავლობითი დაზიანება, ძირითადად სახის არეში. კერძოდ, ცხვირი აქვს გატეხილი და გაუკვდა ოპერაცია, ასევე კბილები აქვს ჩამსხვრეული, ის ამ დროისთვის ვერ ახელს მარჯვენა თვალს, რადგან სრული გემატომია. ზურაბ აბაშიძეს აგრეთვე ჰქონდა რეტროგრადული ამნეზია და ცემის პერიოდი არ ახსოვს. მას აქვს მძიმე კომოციო, რეანიმაციაში იმყოფება და ინტენსიურ მკურნალობას გადის.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძის თქმით, დაკავებული 39 მომიტინგე და შსს-მ სასამართლოს სთხოვა, დაჯარიმოს და გაათავისუფლოს დაკავებული აქტივისტების უმეტესობა. თუმცა, სამინისტრო ზოგი აქტივისტის ერთიანი პატივსაცემობის მოთხოვნას ზღულაძემ მომხდარი ინციდენტის დეტალებზე გაამახვილა ყურადღება.

"მიუხედავად იმისა, რომ მომიტინგეებს სამმართველოს შენობის წინ ქუჩა ჰქონდათ გადაკეტილი, ეს არ გამხდარა

აქციის დაშლის მიზეზი. პოლიციამ მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა ჩარევა, რაც სამართალდამცველებმა მომიტინგეებში ამოიციეს სამი ადამიანი, რომლებიც იძებნებოდნენ პარლამენტის წინ 12 ივნისს მომხდარ ინციდენტის გამო," - განმარტა ზღულაძემ. მისი თქმით, როცა პოლიცია ამ სამი აქტივისტის დაკავებას შეეცადა, მომიტინგეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რაც შეტაკებაში გადაიზარდა. გუშინვე პოლიციამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც: "ოპოზიციის წარმომადგენლებმა ზღოკირება გაუკეთეს პოლიციის მთავარ შესასვლელს და გადაკეტეს სამანქანო გზა. პოლიცია შეეცადა შესასვლელი და სამანქანო გზის გათავისუფლებას, რა დროსაც მომიტინგეები არ დაემორჩილნენ პოლიციის თანამშრომლებს და გაუწიეს ფიზიკური წინააღმდეგობა. სამართალდამცველებმა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე დააკავეს აქციის მონაწილეები,

რომლებიც გადაყვანილნი არიან დროებითი მოთავსების იზოლატორში."

პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტიდან რამდენიმე საათში არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ. ხელისუფლების პოლიტიკურმა ოპონენტებმა თავდაპირველად საქართველოში აკრედიტებული უცხოური ქვეყნების დიპლომატიურ მისიებს მიმართეს. "აშშ-ს ელჩ ჯონ ტეფტის განცხადება იყო მარჯობითი და მან სტიმული მისცა ხელისუფლების ძალადობას. ჩვენი ვითხოვთ ევროპული და ამერიკული ელჩებისგან, გააკეთონ მკვეთრი განცხადება და დაგმონ ხელისუფლების ქმედებები, რადგან საელჩოების პოზიციებმა ხელ-ფეხი გაუსწრა სააკაშვილის ხელისუფლებას," - განაცხადა საპროტესტო მიტინგზე სიტყვით გამოსვლის დროს "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერმა ეკა ბესელიამ. საპროტესტო დემონსტრაციაზე მყოფი "დე-

## "პეესპე ჯგუფი" ბიზნეს-რეიტინგის გამარჯვებულია

გამარჯვებული ნომინაციაში "ეფექტური მენეჯმენტი, ახალი ტექნოლოგიები, აღიარება საზღვარგარეთ"

საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაცია "გორბისა" და მედია-პოლიტიკა "ჯორჯიან-თაიმის" ტრადიციულ ბიზნეს-რეიტინგმა 2008 წლის 25 საუკეთესო ბიზნეს-კომპანიები გამოავლინა. მენარმეთა ინტერესების დაცვა, საზოგადოებრივი იმიჯი, ეფექტური მენეჯმენტი, ქველმოქმედება/მეცენატობა, სარეკლამო კამპანიის ეფექტურობა, ახალი ტექნოლოგიები, ახალი სამუშაო ადგილები, საქმიანობის სტაბილურობა, კომპანიის ზრდა-წარმატებულობა, აღიარება საზღვარგარეთ, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ეფექტური მარკეტინგი, ფინანსური გამჭვირვალობა, გუნდის პროფესიონალიზმის დონე, პოტენციური საინვესტიციო მიმზიდველობა - ეს ის კრიტერიუმებია, რომელთა მიხედვითაც რეიტინგში მონაწილე 135 კომპანიიდან 25 საუკეთესო შეირჩა. გამარჯვებული კომპანიების გამოვლენაში დამოუკიდებელი ექსპერტები, ეკონომიკური პროფილის უწყებათა ხელმძღვანელები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდების, მრეწველთა და ვაჭარების კავშირების და სოციალური კვლევების სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.



ნომინაციაში "ეფექტური მენეჯმენტი, ახალი ტექნოლოგიები და აღიარება საზღვარგარეთ" "პე-ეს-პე ჯგუფმა" გაიმარჯვა. "რა თქმა უნდა სასიხარულოა, როდესაც გამოკითხვების შედეგად 25 საუკეთესო ბიზნეს-კომპანიის შორის "პე-ეს-პე ჯგუფიც" დასახელდა. ჩვენი კომპანია საქართველოს ბაზარზე 1995 წლიდან ფუნქციონირებს. ამ წლების მანძილზე ჩვენ ძალიან ბევრი კარგი საქმე გვაკეთეთ და რაც მთავარია, ჩვენი საქმიანობა და მომხმარებლის მიმართ ყოველთვის ძალიან ერთგულნი ვიყავით. ალბათ, ამის დასტურია ის, რომ უკვე რამდენიმე წე-

ლობისთვის ხელმისაწვდომი გახადოს. "პე-ეს-პე ჯგუფი" - მუდამ თქვენი ოჯახების ჯანმრთელობის სამსახურშია," - ამბობს გორბის გოგონა, "პე-ეს-პე ჯგუფის" დირექტორი.

"პე-ეს-პე ჯგუფი" საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე 1995 წლიდან ფუნქციონირებს. კომპანიის პრიორიტეტული მიმართულებებია: ქართული ფარმაცევტული საწარმოს - "GMP"-ის ბაზარზე მედიკამენტების წარმოება, ექსპორტი და საფთვობა ქსელი და დისტრიბუციის განვითარება.

ახალი ტექნოლოგიების განსავითარებლად და საზღვარგარეთ აღიარების მოსაპოვებლად "პე-ეს-პე ჯგუფმა" მართლაც ბევრი გააკეთა: GMP EU სერთიფიკატი არის ევროკავშირში არსებული ფარმაცევტული წარმოების ლიცენზია - გარანტირებული ხარისხის მედიკამენტების წარმოების დოკუმენტი. ბრიტანელი აუდიტორების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, "პე-ეს-პე ჯგუფის" ფარმაცევტულმა საწარმომ ევროგაერთიანების GMP-ის -სათანადო წარმოების პრაქტიკის GMP (Good Manufacturing Practice) სერთიფიკატი მოიპოვა. საწარმოში ხარისხის კონტროლის მაღალი დონე ბელორუსიდან, ყაზახეთიდან, მოლდოვიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსულმა ოფიციალურმა ინსპექტორებმა დაადასტურეს.

სათანადო წარმოების ევროპული GMP-ის სერთიფიკატი კომპანიას უფლებას აძლევს მედიკამენტების ექსპორტი დასა და ევროგაერთიანების ქვეყნებში განახორციელოს. ასეთი რანგის სერთიფიკატი კავკასიაში მხოლოდ "პე-ეს-პე ჯგუფის" ფარმაცევტულ საწარმო "ჯიემპის" აქვს.

"ჯიემპი" დასთმობს ქვეყნებში მედიკამენტების ექსპორტის წარმატებით დაიწყო და ახლა ქართული წარმოების მედიკამენტების ევროპაში გატანასაც გეგმავს. ქართული

ფარმაცევტული საწარმო სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულმა ინსპექტორებმა და აუდიტორებმა არაერთხელ შეამოწმეს და კომპანიის ხარისხის მართვის პროცესს, პერსონალის პროფესიონალიზმს, ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის ულტრათანამედროვე აღჭურვილობას (რომლის მსგავსიც რუსეთის გარდა არცერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ არის), მაღალი შეფასება მისცეს.

ქარხანა 150-მდე დასახელების სხვადასხვა ჯგუფის და ახალი თაობის მედიკამენტებს აწარმოებს. "პე-ეს-პეს" საწარმოს მისია თანამედროვე სამკურნალო საშუალებები მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახადოს.

"პე-ეს-პე ჯგუფს" წამლების იმპორტიორ სხვა 140 კომპანიას შორის პირველი ადგილი უკავია. ის 100-ზე მეტი ქარხნისგან 3000-მდე დასახელების მედიკამენტის და სამკურნალო კოსმეტიკური საშუალების იმპორტს ახორციელებს. "პე-ეს-პე ჯგუფი" მედიკამენტებისა და სამკურნალო კოსმეტიკური საშუალებების დისტრიბუციას 100-ზე მეტი აფთიაქით უზრუნველყოფს. იმპორტი უშუალოდ მწარმოებელი ქარხნებიდან მედიკამენტების გარანტირებულ ხარისხს უზრუნველყოფს. 100-ზე მეტი უცხოური მწარმოებლისთვის "პე-ეს-პე" საიმედო და სანდო პარტნიორია.

პე-ეს-პეს გააჩნია საკუთარი საფთვობა ქსელიც, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით უმაღლესი ხარისხის მომსახურებას უზრუნველყოფს.

"პე-ეს-პეს" საფთვობა ქსელმა ერთადერთმა შეძლო მრავალდაპაიანი ინსპექციის შედეგად ხარისხის მართვის ISO სერთიფიკატი აეღო. "პე-ეს-პე ჯგუფი" - მუდამ თქვენი ოჯახების ჯანმრთელობის სამსახურში.



# პრობნოზების გადასინჯვის კვლევები

## რევაზ საყვარელიძე

საქართველოს მთავრობის უახლოესი 4 წლის საქმიანობის სტრატეგია და მიმართულებები იმ მონაცემებს ეფუძნება, რომელიც 2008-2009 წლებში გამოიკვეთა და გამოიკვეთება. თუმცა, 2009 წლის დინამიკისათვის თვალის მიდევნება არცთუ იოლი საქმეა. მით უფრო ახლა, როდესაც მონაცემები და პროგნოზები ლამის ყოველკვირულად იცვლება, თან საკმაოდ საფუძვლიანად.

2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2,1% შეადგინა და ნომინალურ გამოხატულებაში 19,1 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2008 წლის დეკემბერში, 2007 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 5,5%-ით გაიზარდა. 2008 წლის იანვარ-სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ გამყარების ტენდენციით ხასიათდებოდა, ოქტომბერ-დეკემბერში კი ლარის კურსი გაუფასურდა.

რუსული აგრესიის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანი მიაღწია ქვეყნის ინფრასტრუქტურას, რომლის აღდგენის მიზნითაც მნიშვნელოვანი თანხები გამოიყო საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე. 200 მლნ ლარზე მეტი მოხმარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას და დაზიანებული შენობების აღდგენას. საომარი მოქმედებების დროს დაჭრილთა და და-

ღუპულთათვის კანონმდებლობით დადგენილი კომპენსაციების გარდა, საქართველოს მთავრობის ინიციატივით კომპენსაციები გაიცა დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის ოჯახებზე, თითოეულზე 10 ათასი ლარის ოდენობით.

ბრიუსელის დონორთა კონფერენციის ფარგლებში მიღწეულია შეთანხმება და ამ ეტაპზე გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები აშშ-ს, ევროპულ ქვეყნებსა და სხვა პარტნიორებთან 2,4 მლრდ ლარის ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე. აღნიშნული თანხიდან 1,3 მილიარდი მოხმარდება სახელმწიფო სექტორის, ხოლო 1,1 მლრდ ლარი კერძო სექტორის მხარდაჭერას. მიღებული სახსრები გარკვეულწილად ჩანაცვლებს უცხოურ ინვესტიციებს, მოხმარდება უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას და შემცირდება მაკროეკონომიკური საფრთხეები.

მსოფლიო ფინანსური კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია ეკონომიკის სტიმულირების პაკეტი 2,2 მილიარდი ლარის ოდენობით. ეს პაკეტი პირობითად შედგება სამი ნაწილისგან: პირველი ნაწილი შეადგენს ბიუჯეტში გათვალისწინებულ 1,45 მლრდ ლარს (მასში შედის როგორც სახელმწიფო შიდა რესურსები, ისე დონორების დახმარება), რომელიც ძირითადად დაიხარჯება ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე; მეორე ნაწილია 500 მლნ ლარი, რომელსაც დონორები დამოუკიდებლად დახარჯავენ სხვადასხვა პროექტზე;

ხოლო მესამე ნაწილია - 250 მლნ ლარი, რომელიც მოხმარებულს დარჩება საგადასახადო ტვირთის შემცირების ხარჯზე.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კი გამოყოფილია 600 მლნ ლარამდე. მათ შორის მსოფლიო ბანკის დაფინანსება შეადგენს 195 მლნ ლარს, რომლიდანაც 128,5 მლნ ლარი მოხმარდება აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალს, მისი თანადაფინანსება შეადგენს 61.8 მლნ ლარს. მიმდინარე წელს დასრულდება ალაიანი-იგოეთის (12კმ) მონაკვეთი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება იგოეთი-სვენეთის არსებულ გზას (ხიდების ჩათვლით 24 კმ), დასრულდება სვენეთი-რიკოთის მონაკვეთი (61 კმ) და არსებული გვირაბის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა. ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის რეაბილიტაციაზე მიმართულია 15 მლნ ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში გზების რეაბილიტაციაზე 50.2 მლნ ლარი. ასევე, კუვეიტის ფონდი დააფინანსებს თბილისის გზების რეაბილიტაციას 25 მლნ ლარის ფარგლებში.

დამატებით რეაბილიტირებული იქნება მინიმუმ 200 კილომეტრი სიგრძის რეგიონული გზები, რომლებიც ათობით სოფელს დააკავშირებს მთავარ სატრანსპორტო არტერიებთან. ეს, თავის მხრივ, გაზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას.

სხვადასხვა რეგიონში კომუნალური, წყალმომარაგების სისტემების და გზების რეაბილიტაციაზე

აზიის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის და ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" დაფინანსებით და სახელმწიფოს თანადაფინანსებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მიმართავს 200 მლნ ლარზე მეტს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის დასაფინანსებლად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიმართულია 66 მლნ ლარი, ხოლო სოფლებში მცირე პროექტების განხორციელების მიზნით 20 მლნ ლარი გადანაწილდა ყველა სოფელზე. საირიგაციო და სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისთვის განსაზღვრულია 21,5 მლნ ლარი, მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების დაფინანსება კი შეადგენს 9,5 მლნ ლარს. საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე დაგეგმილია 58,5 მლნ ლარი, ხოლო საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 10 მლნ ლარი. ასევე ქალაქებსა და რეგიონებში მოხდება სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. მთავრობა სათანადო ფინანსური რესურსების მოზილეზას მომდევნო წლებშიც მოახდენს ინფრასტრუქტურის არსებული ტემპებით რეაბილიტაციის მიზნით.

თუმცა, ამ გეგმების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა მაინც უმძიმესი გამოცდის წინაშეა. ქვეყნის ეკონომიკა წელს შესაძლოა 1,5%-ით შემცირდეს - ასეთი პროგნოზი მთავრობამ უკვე ოფიციალურად

გააკეთა. მთავრობის განმარტებით, ეკონომიკის ზრდის დონის შემცირება ყველა სხვა პარამეტრზე აისახება, რაც თვალსაჩინოა საგადასახადო შემოსავლებითაც, რომელიც დაგეგმილ პარამეტრთან შედარებით, ნაკლები იქნება.

ოფიციალური მონაცემებით, 5 თვის შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების დაგეგმილ მოცულობას 7 მლნ ლარი დააკლდა. თუმცა მთავრობა იმედოვნებს, რომ დანაკლისის გადაფარვა მომდევნო თვეებში მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის გაორმაგებული საბიუჯეტო დახმარებით მოხდება. ცვლილებები შევა ასევე ეკონომიკის სტიმულირების სამთავრობო პაკეტში. მთავრობა 200-250 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვებასაც გეგმავს. დამატებითი მექანიზმებიდან ეკონომიკაში 900 მლნ ლარის დამატებითი რესურსის მოზილეზაა ნაგარაუდგევი. თუმცა წლის პირველი ნახევრის ამონაურვის შემდგომ ეს პროგნოზი კიდევ ერთხელ გადაინახებება. გადაინახება და სულაც არ არის გამორიცხული, პროგნოზი კიდევ უფრო შემამოთხლებელი გახდეს. მით უფრო, როცა წელს ეს უკვე 3-ჯერ მოხდა: წლის დასაწყისში ეკონომიკის ზრდა 2,5%-ის დონეზე ჩანდა რეალური, გაზაფხულზე 1%-მდე შემცირდა, ზაფხულის დასაწყისში კი უკვე 1,5%-იანი დაცემა ივარაუდება და უფრო ნათელი მაგალითი წლის პირველი ნახევრის "გადავლის" შემდეგ გამოჩნდება.

## იპოთეკური სესხი

# ქონების ჩამორთმევით დაბრუნდება

## თინა შავაძე

იპოთეკური სესხის გაცემის დროს რისკების არასწორი გათვლა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დასაწყისის საფუძველი გახდა. იპოთეკური სესხი - ეს არის ორ კერძო პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულება გარკვეული თანხის მისაღებად, რომელსაც თან ერთვის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა. საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, საქართველოში იპოთეკური სესხი ძირითადად სამშენებლო ბუჯის დროს გამოიყენებოდა. ქვეყანაში გამსესხებლის მთავარ როლს ბანკები თამაშობდა. ბოლო მონაცემებით, პრობლემური ტრანზაქციების გამო ბანკებს 250 მილიონი ლარი აქვს მსესხებლებსგან ამოსაღები. ამ თანხის დიდი ნაწილი იპოთეკურ სესხებზე მოდის. სამუშაო ადგილებისა და კერძო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო მსესხებლები დაკისრებულ ვალდებულებებს ვერ ისტუმრებენ. ამიტომაც ბანკები იძულებული გახდა, გაცემული თანხები იპოთეკით დატვირთული ქონების გაყიდვის შედეგად დაიბრუნოს.

კერძო სექტორი რეგულირების წესების შეცვლას ითხოვს. გუშინ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების პროექტი განიხილეს, რომელიც იპოთეკით დატვირთული



ნივთის ჩამორთმევას ითვალისწინებს. მოქმედი კანონმდებლობით, თუ მოვალე იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფი-

ლებას გააჭიანურებს, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მო-

ვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს.

გასულ წელს სამოქალაქო კო-

დექსში შევიდა ცვლილება, რომელმაც სასამართლოში იპოთეკური სესხის გამო დატვირთული ქონების განხილვის ვადა შეამცირა და მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ქონება ჩამორთმეულად გამოაცხადა. კანონპროექტის თანახმად, თუ კრედიტორს წარმოადგენს კომერციული ბანკი, მაშინ რეესტრაციისათვის საკმარისია მხოლოდ კომერციული ბანკის მიერ განცხადების საჯარო რეესტრში წარდგენა.

აღნიშნული ცვლილება ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა გააპროტესტა და აღნიშნა, რომ ამით მნიშვნელოვნად დაირღვევა ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მსესხებელთა უმეტესობა ეკონომიკური კრიზისის გამო ვერ ახერხებს კრედიტების დაფარვას. საპირისპირო მოსაზრება აქვს მთავრობას და, როგორც იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, ბანკს არანაირად არ აძლევს ხელს, რომ მასობრივად ჩამორთვას ქონება, რადგან ეს მათი რეპუტაციის შელახვას გამოიწვევს და, ასევე, მათ ჩამორთმეული ქონების გაყიდვაც გაუჭირდებათ.

არსებული პოზიციების მიუხედავად, დეპუტატებმა გადაწყვიტეს, რომ საკითხი დამატებით განიხილონ, რათა მისი მიღება ქვეყანაში თუნდაც ახალი მიტინგებისა და ახალი აქციების მიზეზი არ გახდეს. ამის მიუხედავად, წარმოდგენილი პროექტი პირველი მოსმენით მიიღეს.



# "მეორე თაობის" პასპორტები გადასვლა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ ბიომეტრიული პასპორტების პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო. ამჟამად მიმდინარეობს იმ ქვეყნების გამოცდილების კვლევა, სადაც აღნიშნული ტიპის პასპორტები გაიცემა. ამასთან, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლები სამუშაო ვიზიტების დროს ამ სფეროში წამყვანი სახელმწიფოების პრაქტიკას ეცნობიან.

ბიომეტრიული პასპორტი არის ჩვეულებრივი პასპორტი, დამატებული აქვს ჩიპი, რომელზეც ჩანერილია ინფორმაცია პიროვნების ელექტრონული ფოტოსურათისა და თითის ანაბეჭდების შესახებ. ბიომეტრიული პასპორტების სპეციფიკას და საჭიროებებს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია ადგენს. სწორედ აღნიშნული ორგანიზაცია განსაზღვრავს, რა მინიმალური დაცვის მექანიზმები უნდა

ჰქონდეს საერთაშორისო მასშტაბის დოკუმენტს. გარდა ამისა, არსებობს ევროკავშირის სტანდარტები, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირის ქვეყნების ბიომეტრიული პასპორტებისთვის ფოტოსურათის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად თითის ანაბეჭდების ელექტრონული ვერსიის დამატებაც სავალდებულო ხდება, რაც უკვე "მეორე თაობის" პასპორტებზე გადასვლას გულისხმობს.

ბიომეტრიული პასპორტი იძლევა 99-პროცენტთან გარანტიას, რომ ქართული პასპორტი არ გაყალბდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის იმიჯისთვის. გარდა ამისა, აღნიშნული სისტემა მოქალაქეებისთვის გაცილებით ხელსაყრელი იქნება, რადგან ხელს შეუწყობს გამარტივებული საფარული შემოღებას საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის. ბიომეტრიული პასპორტების მოსამზადებელ ეტაპზე იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მუშაობს ფოტოსაძიებო სისტემის დანერგვაზე. იმისთვის, რომ გაყალბება ფაქტობრივად გამოირიცხოს, მოქალაქის ფოტო შემომდგება აღნიშ-

ნულ ბაზაში და თუკი მას ოდესმე ყალბი დოკუმენტი აქვს აღებული სისტემა მას ავტომატურად გამოავლენს. ბიომეტრიული პასპორტების გასაცემად საჭიროა სპეციალური სისტემები, რომელთა საშუალებითაც, პასპორტის ჩიპზე ჩანერილი ინფორმაცია იქნება დაცული. აღნიშნული ინფორმაცია არ ჩანს ვერც ისე, რომ ნებისმიერს შეეძლოს მისი ნახვა. ამჟამად ბიომეტრიული პასპორტი გამოიყენება ევროკავშირის ნევრ ქვეყნებში, ასევე, ისლანდიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ჰონკონგში, მალაიზიაში, სამხრეთ კორეაში, ეგვიპტეში, ყაზახეთსა და სხვა ქვეყნებში. მათი რიცხვი თანდათან იზრდება.

საკუთარი ინფორმაცია

**პოლიციელი მკვლელისთვის დააკავეს**  
შს სამინისტროს თანამშრომელმა ცეცხლსასროლი იარაღით სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი მოკლა. შს სამინისტროს ინფორმაციით, სერგო სუხიშვილმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მასზე განკუთვნილი ტაბელური იარაღიდან ერთხელ გაისროლა, რა დროსაც ადგილზე გარდაიცვალა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი, 29 წლის ლეონიდ ჩხარჩხალია. სერგო სუხიშვილი დაკავებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. საქმეს თბილისის პროკურატურა იძიებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## შს სამინისტროს ინფორმაცია ონის რაიონთან დაკავშირებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ბოლო დღეებში ონის რაიონში რუსეთ-საქართველოს საზღვრთან შექმნილი ვითარების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არასწორს უწოდებს. "შინაგან საქმეთა სამინისტრო გადაჭრით აცხადებს, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დანაყოფები სრულად აკონტროლებენ რუსეთ-საქართველოს საზღვრის აღნიშნულ მონაკვეთს, ისევე როგორც, ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარს," - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ყველას, თავი შეიკავონ დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებისა და მოსახლეობაში პანიკის დათესვისაგან. **მედიანიუსი**

## გადასახადების გადახდა მიცვალებულებსაც დააკისრეს

თელავის რეგიონალურმა საგადასახადო ინსპექციამ გადასახადების გადახდა მიცვალებულებსაც დააკისრა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის გახდა ცნობილი, გადასახადების გადახდის შესახებ საგადასახადო ინსპექციიდან მოქალაქეთა სახელზე წერილები გასულ კვირას დაიგზავნა. სოფელ ძირკოკში მცხოვრებ მინაშვილების ოჯახს საგადასახადო ინსპექცია 60 ათასი ლარის გადახდას ედავება. ინსპექციის წერილში ნათქვამია, რომ მინაშვილებმა 35 ტონა ყურძენი ჩააბარეს და სახელმწიფო ბიუჯეტში ბეგარს არ გადაუხდიათ. ბეგარის გადახდას საგადასახადო ინსპექცია კახეთის მასშტაბით ათასობით ადამიანისგან ითხოვს, რომელთა შორის გარდაცვლილებიც არიან. საგადასახადო ინსპექციაში აცხადებენ, რომ ბეგარის გადაუხდელობის შემთხვევაში საქმეები განახილველად სასამართლოს გადაეცემა. **მედიანიუსი**

## "ყაზტრანსგაზ-თბილისის" თანამშრომელი დააკავეს

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული სამუშაო ღონისძიების შედეგად, გამოავლინეს მასშტაბური კორუფციული გარიგებები "ყაზტრანსგაზ-თბილისის" თანამშრომლებსა და მოქალაქეებს შორის. ამ საწარმოს თანამშრომელი ირაკლი ფორჩხიძე სამართალდამცველებმა დააკავეს 500 ლარის გამოძალვის ფაქტზე. როგორც პოლიციის თანამშრომლები ირწმუნებიან, ირაკლი ფორჩხიძე მოქალაქეებს თანხას სისტემატურად სძალავდა, რის სანაცვლოდაც მათ დადგენილი გადასახადებისგან თავის არიდებას ჰპირდებოდა. გამოძიებას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს. **მედიანიუსი**

## პრობაციონერები ფეხბურთში ეჭიბრებიან

სამეგრელო-ზემო სვანეთის და იმერეთის პრობაციის ბიუროებში აღრიცხვაზე მყოფი პირობითი მსჯავრდებულები ერთმანეთს მინიფეხბურთში შეეჯიბრნენ. სამტრედიის ლოკომოტივის სპორტულ კომპლექსში გამართულ მატჩში იმერელმა პრობაციონერებმა გაიმარჯვეს. მეტოქეებს განაცხადში 9-9 ფეხბურთელი ჰყავდათ. მათ შორის სამი არასრულწლოვანი პრობაციონერი იყო. შეხვედრა თავიდანვე იმერელ პრობაციონერების უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ მეტოქეები 9:3 დაამარცხეს. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური პრობაციონერთა შორის პერიოდულად სპორტულ შეჯიბრებებს აწყობს, რაც მათ რეაბილიტაციასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# სასამართლოს პასუხი ადვოკატს

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია სასამართლოს მიერ ერთ-ერთი საქმის განუხილველად დატოვების შესახებ. ამის გამო, ადვოკატმა ლია მუხაშავერიამ მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა მოითხოვა. არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" ევროსასამართლოში და ქვეყნის შიგნითაც 2008 წლის ომით დაზარალებული მოქალაქეების უფლებებს იცავს. ადვოკატის უკმაყოფილება მოსამართლის მიმართ ერთ-ერთ ასეთ პროცესს უკავშირდება.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" განცხადებით, მიმდინარე წლის 2 ივნისს, დილის 12 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშნული იყო 2008 წლის 8 აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული დევნილი მოქალაქის დეიტი გოგიძის საქმის მთავარი სხდომა, რომელიც ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას შეეხებოდა. ორგანიზაციის წარმომადგენლის ლია მუხაშავერიას განცხადებით, სასამართლო სხდომის შესახებ მოსარჩელე დეიტი გოგიძე და მისი წარმომადგენელი ირმა მახათაძე გაფრთხილებული იყვნენ კანონმდებლობის დარღვევით. მათივე ინფორმაციით, 2 ივნისს, 12 საათზე პროცესის მონაწილე ყველა მხარე - მოსარჩელე და მოპასუხის წარმომადგენლები, თბილისის საქალაქო სასამართლოში იყვნენ მეექვსე საათულზე და მოსამართლეს 15 წუთის განმავლობაში ელოდებოდნენ, რის შემდეგაც, 12 საათსა და 15 წუთზე სხდომის მონაწილეები მეექვსე დარბაზში შევიდნენ, სადაც ამ საქმესთან

დაკავშირებული წინა სასამართლო სხდომები ჩატარდა. "პირველის ნახევარზე მთავრობის წარმომადგენელმა, რომელიც შემთხვევით გავიდა დარბაზიდან, შემოიტანა ინფორმაცია, რომ სხდომა უკვე ჩატარდა და საქმე განუხილველი დარჩა. სინამდვილეში სასამართლო სხდომა არ ჩატარებულა. აღნიშნულის დადასტურება პროცესზე მონაწილე თითოეულ მხარეს შეუძლია. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ამგვარი მეთოდით, საქმის სირთულიდან გამომდინარე, მოსამართლემ პროცესის ჩატარებას თავი აარიდა," - განმარტავს ლია მუხაშავერია. ამის გამო, ადვოკატს მიაჩნია, რომ მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა აღიძვრას, რათა სასამართლოში მსგავსი პრობლემა აღარ განმეორდეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურმა ადვოკატის განცხადებასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა: "თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით სარჩელი განუხილველად დატოვა, თუმცა მხარეებმა საკუთარი შეცდომის აღიარების და დავის სამართლებრივი ფორმებით გარქმელების ნაცვლად მოსამართლის მიმართ შეურაცხყოფელი განცხადებების გაკეთების ტაქტიკა ამჯობინეს. სასამართლოს მიერ სარჩელის განუხილველად დატოვების მიზეზი კი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ის ნორმა გახდა, რომლის თანახმადაც, "პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს." სხდომის საპატიო მიზეზით გადადების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოში განცხადებული არ ყოფილა. მოსამართლემ დანიშნულ დროს - 12:00 სთ-ზე გახსნა სხდომა და მხარეთა სხდომის დარბაზში გამოუცხადებლობის გამო, საოქმო განჩინებით სხდომის მდივანს სასამართლოს ფოიეში მხარეთა მოძიება დაავალა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სხდომის მდივანს მიერ მხარეები ვერ იქნა მოძიებული, მოსამართლემ კანონმდებლობის შესაბამისად დ. გოგიძის სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე განუხილველად დატოვა.

საკუთარი ინფორმაცია

# სენსაციური აღმოჩენა - "მებრძოლის გენი"

"მებრძოლის გენი", - ასე ეწოდება ადამიანურ კოდს, რომელიც ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს და რომელიც, მათივე განმარტებით, მამაკაცებში აგრესიულობის ხარისხს განსაზღვრავს. ექიმების განცხადებით, ეს ახალი აღმოჩენა გამოძიებას დაეხმარება და ხელს შეუწყობს ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის ჩამდენის დადგენაში. მეცნიერების თქმით, სწორედ ეს გენი განსაზღვრავს ადამიანის გუნება-განწყობას და ხასიათს.

ამ ჰიპოთეზის დასადასტურებლად, აღმოჩენის ავტორებმა, ამერიკის შეერთებული შტატების ციხეებში მყოფ 2500-ზე მეტ მსჯავრდებულს ჩაუტარეს შესაბამისი ანალიზი. ანალიზების შედეგებით გაირკვა, რომ მსჯავრდებულები, რომლებიც მძიმე დანაშაულებისთვის არიან გასამართლებულები და

ამავდროულად ქუჩის ბანდების წევრები იყვნენ, აღმოაჩინდათ მონოამინოოქსიდიზის სპეციფიკური გენი, რაც ზედმეტად აგრესიულობის მაჩვენებელია. "ეს სპეციფიკური გენი ეხმარება დამნაშავეს, იყოს განსაკუთრებით სასტიკი და აბსოლუტურად გაუაზრებლად, სიამოვნებით გამოიყენოს

იარაღი. რაც მთავარია, "მებრძოლის გენი" მხოლოდ მამაკაცებში ფუნქციონირებს, ის მამრობითი სქესის ქრომოსომებშია და გავლენას ახდენს ორგანიზმიდან ნეირომედიატორული ჰორმონების გამოყოფის პროცესს, რაც მთლიანობაში შიშის სინდრომს მთლიანად კლავს და აგრესიას მატებს ადამიანს," - ამბობენ მეცნიერები. როგორც გაირკვა, მამაკაცებში გამოვლენილ აგრესიასა და მონოამინოოქსიდიზებს შორის კავშირი ჯერ კიდევ 2002 წელს აღმოაჩინეს. მაშინ გაირკვა, რომ სხვადასხვა ეთნიკუ-

რი წარმოშობის ადამიანებში ეს გენი სხვადასხვა დოზითა და პროპორციით იყო. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ "მებრძოლის გენი" დიდი დოზით აქვთ იმ ისეთი ქვეყნების ხალხებს, რომელთა კულტურაშიც აგრესია დიდ ადგილს იკავებს. სენსაციური "მებრძოლის გენის" აღმოჩენასა და ამ გენის შესწავლაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ფლორიდის, აიოვასა და სენტ-ლუისის უნივერსიტეტების წამყვანმა სპეციალისტებმა, არამედ, ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი კრიმინალისტებმაც.



### “ვარსკვლავების აკადემიის” გარდაცვლილი თანამშრომლის ოჯახის აქცია

პროექტ “ვარსკვლავების აკადემიის” შენობის ჩამონგრევის შედეგად გარდაცვლილი ნიკა გელაშვილის ოჯახი ტელეკომპანია “რუსთავი 2“-ს გამოძიების მსვლელობის მიჩქმალვასა და კომპანია “არტიქსისთვის” ხელის დაფარებაში ადანაშაულებს. ამასთან დაკავშირებით დაღუპულის ოჯახმა ტელეკომპანია “რუსთავი-2“-ის შენობასთან აქცია გამართა. ნიკა გელაშვილის მეუღლის თეა კახიანის განცხადებით, შენობის ჩამონგრევის მიზეზებზე ექსპერტიზის დასკვნა უკვე დადებულია, სადაც ნათქვამია, რომ შენობა კომპანია “არტიქსის” მიერ ჩატარებული სამუშაოების გამო ჩამოინგრა. ამის გამო, “არტიქსის” ერთ-ერთი თანამშრომელიც დააკავეს, “რუსთავი 2” კი ამ ინფორმაციას შეგნებულად არ აპუქებს, რადგან აღნიშნული კომპანია დავით კეზერაშვილის მეუღლისა და გიგა ბოკერიას მეუღლის დის სახელზეა გაფორმებული.

“შენობის ჩამონგრევის დროს ხომ სწორედ ამ ტელეკომპანიის თანამშრომლები დაიღუპნენ? მათგან მხოლოდ გამოძიების პროცესის გაშუქებას მოვითხოვთ. - როგორც ჩანს, ტელეკომპანია სამშენებლო კომპანია “არტიქსის” ინტერესებს იცავს, რადგან “არტიქსის” დამფუძნებლები არიან ყოფილი თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილის ცოლი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერიას ცოლის და,” - აცხადებს თეა კახიანი. გარდაცვლილი ნიკა გელაშვილის ოჯახის წევრებმა ტელეკომპანიის შენობასთან პლაკატები გააკრეს წარწერით - “გააშუქეთ გამოძიების მსვლელობა,” “ვის ინტერესებს იცავს “რუსთავი-2?” **მედიაინიუსი**

### ტარიელ ონიანს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

მოსკოვის სასამართლომ ტარიელ ონიანის დაპატიმრების სანქცია გასცა. სასამართლო პროცესზე დაკავებულის ადვოკატები 15 მილიონი რუბლის გირაოს სანაცვლოდ, ონიანის გათავისუფლებას ითხოვდნენ, რაზეც უარი მიიღეს. მას ბრალი ადამიანის გატაცებაში ედება.

პროკურორის მტკიცებით, ონიანი არის კრიმინალური ავტორიტეტი, რომელმაც ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანი გაიტაცა, გათავისუფლების სანაცვლოდ კი ნათესავებს 500 ათასი დოლარი მოსთხოვა. გამოძიების ინფორმაციით, თანხის ნახევარი 250 ათასი დოლარი გატაცებულის ოჯახს გადახდილი აქვს. ტარიელ ონიანი რუსმა სამართალდამცველებმა 10 ივნისს დააკავეს. **პირველი**

### სამიტი სტამბულში

სტამბულში კომპანია GE Healthcare-ს ორგანიზებით, ცენტრალური აზიისა და თურქეთის პირველი საერთაშორისო მედიასამიტი გაიმართა. სამიტის მიზანი რეგიონის მოსახლეობის ჯანდაცვის მოთხოვნებისა და ახალი გამოწვევების გამოვლენა, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნების სამედიცინო წრეებისთვის მონივრულ სამედიცინო ტექნოლოგიებისა და კვლევების შედეგების წარდგენა იყო. გლობალური კვლევების მიხედვით, ექსპერტები რეგიონში უმთავრეს საფრთხის შემცველ პრობლემებად დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენის დაბალ ალბათობას მიიჩნევენ, რაც ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის არაინფორმირებულობითა და მწირი ეკონომიკური შესაძლებლობითაა განპირობებული, ასევე პრობლემური არალეგალური მკურნალობა და სხვა. სამიტის ორგანიზატორებმა სტამბულის შეკრების მონაწილე ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს წარმომადგენლებს GE Healthcare-ს სხვადასხვა სამედიცინო მიმართულების კვლევების შედეგები და უახლესი მაღალი ტექნოლოგიების შესაძლებლობები წარუდგინეს, კერძოდ, მკერდის კიბოს თანამედროვე დიაგნოსტიკის, პრევენციისა და მკურნალობის საშუალებები და მეთოდოლოგია, ასევე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების კვლევისა და მკურნალობის სიახლეები. როგორც კომპანია GE Healthcare-ს პრეზიდენტი, რიჩარდ დიბენეტომ განაცხადა: “თვალნათელია, რომ ყოველი ჩვენი ადამიანი იზიარებს საერთო მიზანს, კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადოთ ჯანდაცვის თანამედროვე შესაძლებლობები. დღესთვის ეს რეგიონი ისეთივე პრობლემების და გამოწვევების წინაშე დგას, როგორც დანარჩენი მსოფლიო - როგორც გახვადოთ ჩვენი სიცოცხლე უფრო ჯანმრთელი, უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდის საშუალებით. სწორედ ეს არის ჩვენი საქმიანობის მთავარი მიზანი. სამიტის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა ჯანდაცვის მართვა და ეკონომიკა, რეგიონში ჯანდაცვის გადაუდებელი პრობლემები, დედათა და ბავშვთა, ასევე საინფორმაციო და მაღალი ტექნოლოგიების შესახებ. GE Healthcare-ს გადაწყვეტილებით, სამიტი ყოველწლიური გახდება.”

# ობზუდსმენის მოწოდება მდიას

სახალხო დამცველი გამოეხმაურა დამწვრობის ცენტრში 2009 წლის 20 მაისს მოთავსებული 4 წლის ინა ცარიელაშვილთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს და მდიას კონფიდენციალური ინფორმაციის ტელეეთერით გადაცემისგან თავიკავება ურჩია.

ობზუდსმენის აპარატის ინფორმაციით, 8 ივნისს, მშობლების გადაწყვეტილებით, პაციენტი ცენტრიდან გაეწერა. მშობლებმა კლინიკის დატოვების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ცნობილი გახდა, რომ პაციენტს მკურნალობის გაგრძელების მიზნით ესაჭიროებოდა სისხლის გადასხმა - მათ უარი განაცხადეს მკურნალობის პროცესში სისხლის გადასხმაზე. პაციენტის მშობლების გადმოცემით, საავადმყოფოს დატოვების გადაწყვეტილება ასევე მომხდარის მედიით გაშუქებას, მკურნალი ექიმის მხრიდან უყურადღებობისა და ზენოლის ფაქტებს უკავშირდებოდა.

ინა ცარიელაშვილის მშობლები იეპოვას მონმეები არიან. იეპოვას მონმეებს მრნამსი სისხლის გადასხმას უკრძალავს. ასევე ცნობილია, რომ სისხლის გადასხმის აუცილებლობის შემთხვევაში თითოეული იეპოვას მონმე გადაწყვეტილებას პირადად იღებს.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, სისხლის გადასხმასთან დაკავშირებით, დამწვრობის ცენტრის ექიმს განმარტება ჯერ კიდევ 4 ივნისს მიანდეს, თუ რას ითვალისწინებს კანონმდებლობა იმ შემთხვევაში, როცა პაციენტს ესაჭიროება სამედიცინო ჩარევა და მისი კანონიერი წარმომადგენლები ასეთ ჩარევაზე უარს აცხადებენ. ექიმს განემარტა, რომ პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მიხედვით:

“1. სამედიცინო მომსახურების გამწვევს უფლება აქვს, ქმედუწარმო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტის

ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს, თუ იგი პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

3. თუ ქმედუწარმო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტი სამედიცინო მომსახურებას გადაუდებლად საჭიროებს, რომლის განვივის გარეშე პაციენტის სიცოცხლი გარდაუვალია, ხოლო მისი ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი სამედიცინო მომსახურების წინააღმდეგია, სამედიცინო მომსახურების გამწვევი იღებს გადაწყვეტილებას პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად.”

2009 წლის 8 ივნისს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, სამედიცინო ექსპერტი და სოციალური მუშაკი შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროდან პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანაზე მოლაპარაკების მიზნით მივიდნენ თბილისში, გლდანის რაიონში, ბინაში, სადაც ცენტრის იმყოფელების შემდეგ პაციენტი იმყოფებოდა. სახალხო დამცველის წარმომადგენლები, ასევე, შეხვდნენ დამწვრობის ცენტრის ადმინისტრაციის თანამშრომლებს და ექიმებს, რომლებმაც სრული მზადყოფნა გამოთქვეს პაციენტის მისაღებად.

“8 ივნისს, ღამის 12 საათისთვის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და მშობლები ანა ცარიელაშვილის დამწვრობის ცენტრში გადაყვანას დათანხმდნენ.

იმავე დროისთვის მოლაპარაკების პროცესისგან დამოუკიდებლად, როცა მშობლები პაციენტს საკუთარი ნებით დამწვ-

რობის ცენტრში აბრუნებდნენ, ბინაში პატრულის თანამშრომლები ვიდეოკამერით, სასწრაფო დახმარების სამსახურის ბრიგადა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი შევიდნენ. პაციენტი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. 9 ივნისს დილით კი საპატრულო პოლიციის კამერით გადაღებული კადრები გადაიკატილეთერში,” - აღნიშნულია სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

9 ივნისს შუადღისთვის შედგა შეხვედრა პაციენტის მშობლებს, მათ ადვოკატს, დამწვრობის ცენტრის ადმინისტრაციას, ექიმებსა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებს შორის, სადაც ექიმები და პაციენტის მშობლები შეთანხმდნენ გოგონასთვის ჩასატარებელ მკურნალობაზე, მათ შორის, აღდგენითი ოპერაციის ჩატარებაზე.

“სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მსგავს შემთხვევაში არასრულწლოვანი პაციენტის ინტერესები არის უპირატესი, სამედიცინო დაწესებულება უნდა მოქმედებდეს კანონის ფარგლებში, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას ბავშვის ინტერესები სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული. სახელმწიფო ვალდებულია ბავშვის შესაბამისი დაცვა და მისი ჭმარობი ინტერესების რეალიზება უზრუნველყოს, თუ ბავშვის მშობლები ან ის პირები, რომელთაც მისი დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას,” - ნათქვამია განცხადებაში.

ობზუდსმენის აპარატის განმარტებით, ასევე, პაციენტის პირადი ცხოვრების უფლება და კონფიდენციალობა დაცული უნდა იყოს. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს და-

ცული იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორექტიონის საიდუმლოების უფლებათა განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფისაგან.

“ანა ცარიელაშვილის შემთხვევაში დაუშვებელი იყო მედიისთვის ან ნებისმიერი მესამე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება პაციენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები ყველა ბავშვს ეხება ყოველგვარი გამოწვევის გარეშე,” - ირწმუნება სახალხო დამცველი და მოუწოდებს სატელევიზიო კომპანიებს, ასეთ შემთხვევაში თავი შეიკავონ კონფიდენციალური ინფორმაციის ტელეეთერით გადაცემისგან, რადგან ეს არღვევს როგორც პაციენტის, ასევე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბავშვის უფლებებსაც.

ობზუდსმენს მიაჩნია, რომ “ასეთი შემთხვევების გამოყენება დაუშვებელია თვითრეკლამის (ე.წ. პიარის) მიზნით და ბინაში ჩატარებული ოპერაცია სრულიად ზედმეტი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მონაწილეობით, მით უმეტეს, ამ “სპეცოპერაციის” გადაღება და გაშვება ტელევიზიებით, მაშინ, როცა მშობლები თანახმა იყვნენ პაციენტი სამედიცინო დაწესებულებაში გადაეყვანათ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცარიელაშვილის მკურნალობასთან და პირადი ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაღებით და ამ ინფორმაციის გადაცემით ტელევიზიისთვის კანონი და ბავშვის ინტერესები დაარღვია.”

**საკუთარი ინფორმაცია**

# მასობრივი მკვლელობის ბაურკვივილი მოტივი

*რამდენიმე დღის წინ, თურქეთში, სოფელ ბილგში მომხდარი ტრაგედიის მომწიფობათვის თურქეთის პროკურატურა მკაცრ სასჯელს - სამუდამო პატიმრობას მოითხოვს. განსასჯელებისთვის მომზადებული საბრალდებო დასკვნა პროკურატურამ უკვე სასამართლოს გადასცა. სასამართლო პროცესი, რომელზეც იმ რვა განსასჯელს გაასამართლებენ, რომელთაც 44 ადამიანის მკვლელობაში ედებათ ბრალი, თურქეთის ქალაქ მარდინში უახლოეს დღეებში დაიწყება.*

საუბარია სოფელ ბილგში გამართულ საქორწილო ცერემონიაზე განხორციელებულ თავდასხმაზე, რომლის დროსაც შეიარაღებულმა თავდასხმელებმა სიცოცხლეს 44 სტუმარი გამოასალმეს, 10 კი მძიმედ დაჭრეს. შენობაში, სადაც სადღესასწაულო ღონი მიმდინარებდა, ნიღბიანი თავდასხმელები საღამოს 6 საათისთვის შეიჭრნენ და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნეს. ღონიზე მიწვეული სტუმ-



რების გარდა, თავდასხმელებმა ადგილზე მოკლეს ნეფე-პატარძალიც და მათი მშობლებიც. გარდაცვლილია უმრავლესობა ქალები და ბავშვები არიან. მძიმედ დაჭრილებმა, რომლებიც ექიმებმა სიკვდილს გადაარჩინეს, ზუსტად ვერ დაასახელეს თავდასხმელთა რაოდენობა. ზოგიერთის თქმით, ისინი ოთხნი იყვნენ, ზოგიერთის ჩვენების მიხედვით კი - ხუთნი.

“სისხლიანი ქორწილის” მე-

ორე დღეს თურქმა სამართალდამცველებმა მომხდარი საზარელი დანაშაულისთვის ეჭვმიტანილის სტატუსით 8 ადამიანი დააკავეს, რომელთაგან ერთ-ერთი 14 წლისაა. რაც მთავარია, რვავე დაკავებული მოკლული პატარძლის სევვა ჩელების მოგვარეა.

თურქეთის ხელისუფლებამ მომხდარი მასობრივი მკვლელობის მოტივებს შორის თავდაპირველად ანგარიშსწორება და ოჯახებს შორის მიწების თა-

ობაზე არსებული დავა დაასახელა და ტერორისტული აქტის კვალიფიკაციაც უარყო.

ერთ-ერთი არაოფიციალური ვერსიით, ეჭვმიტანილები ერთ-ერთი იმ დაჯგუფების წევრები არიან, რომლებიც ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ იქმნება. თურქეთის ხელისუფლებას ასეთ დაჯგუფებებს იარაღს ურიგებს და ხელფასსაც უხდის.

თურქული პრესის ინფორმაციით, როგორც თავდასხმის ორგანიზატორმა აბდულკადირ ჩელებიმ გამოძიებას განუცხადა, მას და მის თანამზრახველებს გამიზნული ჰქონდათ მოეკლათ არა მარტო ქორწილში სტუმრად მყოფები, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით, არამედ, თავად მექორწილეებიც, რათა ამით მომავალში ვინმეს მხრიდან შურისძიების შესაძლებლობა გამოერიცხათ.

პროკურატურამ არ დაადასტურა ვერსია, რომ ბრალდებულებმა თავდასხმა და მასობრივი მკვლელობა რაიმე ანგარიშსწორების მოტივით ჩაიდინეს, თუმცა პროკურატურის წარმომადგენლები სხვა მოტივებსაც არ ასახელებენ.



# გაზის ომი ლუკაშენკოს ბადასაყენებლად?

პირველი გვარდია

"რძის ომი" ძალიან ჰგავს საქართველოსა და მოლდოვასთან პოლიტიკური გართულებების ფონზე განხორციელებულ ღვინისა და მინერალური წყლების ომს. კრემლს მხოლოდ ახლა "გაახსენდა", რომ ბელარუსი უკვე ნახევარი წელია, რძის პროდუქტების იმპორტს რუსეთში ძველი წესებით ახორციელებს და დეკემბერში ძალაში შესულ ახალ წესებს უგულვებელყოფს. ჩვენთვის კარგად ცნობილია რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენერალმა ონიშენკომ მთლიანობაში 600 დასახელების ბელარუსული რძის პროდუქტის რუსეთში შეტანა აკრძალა. ისე, ამ პრობლემის მოგვარების პირველი კონტურები გამოჩნდა. ბელარუსი დათმობაზე მიდის და 2009 წლის მეორე და მესამე კვარტალში რუსეთში რძის მიწოდებას შეზღუდავს - მთელ წელზე გათვლილი, დაახლოებით, 30 პროცენტით. ნაწილობრივ გაზრდის ხაჭოსა და ყველის მიწოდებას, თუმცა მთლიანობაში საკმაოდ ზარალს იწვევს. ეს ექსპერტთა დონეზე შეთანხმდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ სიტყვებია და "ახალი სტანდარტების" დაკმაყოფილების გარეშე არ განხორციელდება. ბელარუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ოპერაცია "რძის ომი" რუსეთს წინასწარ კარგად ჰქონდა დაგეგმილი, დროც კარგად იყო შერჩეული და პოლიტიკური მიზნების გარდა, ეკონომიკურ სარგებელსაც ითვალისწინებდა - კერძოდ, ბელარუსის რძის წარმოების იაფად ხელში ჩაგდებას.

უფრო სერიოზული კი შეიძლება ენერგეტიკული ბერკეტი აღმოჩნდეს. რუსეთი უკვე აცხადებს, რომ ბელარუსს "გაზპრომის" დიდი ვალი აქვს - დაახლოებით, 70 მილიონ დოლარამდე და მისი გადახდა შეიძლე-



ლუკაშენკო უკან დახევას, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, არ აპირებს

ბა სასწრაფოდ მოსთხოვონ. საქმის არის, რომ რუსეთსა და ბელარუსს შორის ახალი კონტრაქტით გაზის ფასი გაზრდილია, ზამთრის პერიოდში 1000 კუბური მეტრისთვის 210 დოლარს შეადგენს, ხოლო ზაფხულში იაფდება. ბელარუსი აქამდე ვალს საშუალო წლიური ფასის - 150 დოლარის - ოდენობით იხდიდა, რის შესახებაც ლუკაშენკომ და მედვედევმა სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიეს. აქვე იყო გათვალისწინებული, რომ საბოლოო ანგარიშსწორება წლის ბოლოს მოხდებოდა, ოღონდ კონტრაქტში წერი-

ლობითი სახით არავითარი შესწორება არ შეუტანიათ. რუსეთი უკვე იმუქრება, რომ კვარტალურ ანგარიშსწორებაზე გადავა და ბელარუსს მთელ ვალს ერთბაშად მოსთხოვს - ანუ საკუთარ სტილში გზადაგზა შეცვლის თამაშის წესებს.

ყველაფერ ამას უკვე მოჰყვა მწვავე ემოციური განცხადებები, რომლებიც ლამის პირად შეურაცხყოფაშიც გადადის. ეს უკვე იმდენად თვალსაჩინოა, რომ პუტინმა რუს ჩინოვნიკებს მოუწოდა, მკვეთრი გამონათქვამები არ იხმარონ ბელარუსის ხელმძღვანელების მიმართ

(ყველაფერი ხომ რუსეთის ფინანსთა მინისტრ კუდრინის მკვახე განცხადებით დაიწყო), იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს უკანასკნელი ამას იმსახურებენ და რუსები თავს მართლებად მიიჩნევენ. ოღონდ, ცხადია, პუტინი შეუდრეკელია საქმეში და ბელარუსისთვის არაფრის დათმობას არ აპირებს. უფრო მეტიც, პრესას უკვე მოჰყავს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ანონიმი ჩინოვნიკის სიტყვები იმის შესახებ, რომ "ვილაცებს უკვე მოებზრდათ ბელარუსის პრეზიდენტობა". ბელარუსის მასობრივი ინფორმა-

ციის საშუალებებში უკვე გამოჩნდა რუსული წყაროებიდან ამოკრეფილი მასალები იმის შესახებ, თუ რა სქემით აპირებს რუსეთი ლუკაშენკოს თავიდან მოცილებას. ლაპარაკია ბელარუსის "კა-გე-ბეს" გამოყენებაზე, რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს რუსეთის ანალოგიურ სტრუქტურებთან და დიდ გავლენას ახდენს თვით ლუკაშენკოზეც. თან ეს პუტინისთვის ნაცნობი და "მშობლიური" მეთოდია, რაც არაერთხელ გამოუყენებია რუსეთის ავტონომიებში. ბელარუსის უშიშროების სამსახურები ლუკაშენკომ თვითონ გადაძლიერა, ცხადია, თავის ოპონენტებთან საბრძოლველად, მაგრამ ბოლო პერიოდში სპეცსამსახურები ისე მომძლავრდნენ, რომ "ბატკა" უკვე იძულებული გახდა, მათთვის ქვეყნის ეკონომიკიდან დივიდენდების ნაწილი მიეცა. ამ სტრუქტურას კი აქვს შანსი, რუსების დახმარებით ლუკაშენკო საკუთარი კაცით შეცვალოს - ცხადია ქვეყანაში მოსალოდნელი ეკონომიკური და, რაც მთავარია, სოციალური კრიზისის ფონზე, ეს კი, ეკონომისტების თვალსაზრისით, გარდაუვალია.

ლუკაშენკო უკან დახევას, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, არ აპირებს. მან ერთ-ერთი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთი ბელარუსის ფინანსური სისტემის შიგნიდან აფეთქების მცდელობაში და საერთოდ არაგულწრფელ ურთიერთობებში დაადანაშაულა. "ბატკამ" ისიც ივარაუდა, რომ ის, როგორც ჩანს, საქართველოსა და უკრაინის ლიდერებთან "ერთ უღელქვემ" აღმოჩნდა. მან განაცხადა, რომ არა უშავს, სააკაშვილი, იუშენკო, ლუკაშენკო წავლენ, ხოლო ხალხი დარჩება, მაგრამ რუსეთმა შეიძლება დაკარგოს ჩვენი ხალხები.

# კიშინიოვის ცხელი ზაფხული

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მოლდოვაში

სათუნა ბაბივი

"რია ნოვოსტისა" და "ინტერფაქსის" ცნობებით, მოლდოვაში დიდი ხნის გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის დაძლევის გზები უკვე გამოიკვეთა. ყოველ შემთხვევაში, პრობლემის დაძლევის გზად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ალტერნატივა აღარ დარჩა. არჩევნები, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს გაიმართება. მოლდოვას საკანონმდებლო ორგანოს ანონიმური წყაროები არჩევნების თარიღად 29 ივლისს ან 2 აგვისტოს ასახელებენ.

მოლდოვას პარლამენტმა, რომელიც 5 აპრილის არჩევნების შედეგად შეიკრიბა, ქვეყნის ახალი პრეზიდენტის არჩევა ორჯერ ვერ შეძლო. პარლამენტში სადემუტატო მანდატის მქონე "კომუნისტებს", რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ, ორივე შემთხვევაში თითო ხმა დააკლდათ სახელმწიფოს ახალი მეთაურის ასარჩევად.

მოლდოვას მოქმედ პრეზიდენტისა და ამავდროულად "კომუნისტების" ლიდერ ვლადიმირ ვორონინს ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის დათხოვნის უფლება გასულ პარაკევს დაუდასტურა.

ორშაბათს მოლდოველმა დემუტატებმა საბოლოო მოსმენით მიი-



ვორონინმა დარბაზი ისე დატოვა, რომ დემუტატებს არც კი დაშვებდნენ.

დეს შესწორება, რომლითაც პარლამენტში პარტიების საარჩევნო ბარიერი 6-დან 5 პროცენტამდე შემცირდა. ასევე შემცირდა ამომრჩეველთა აქტივობის ზღვარი - 50 პროცენტიდან ერთ მესამედამდე.

შესწორების მიღების შემდეგ ვორონინმა დარბაზი ისე დატოვა, რომ დემუტატებს არც კი დაშვებდნენ. ლიდერის მაგალითის მიბაძვს "კომუნისტური პარტიის" ფრაქციის დემუტატებმაც. მათ უარი თქვეს სხდომის დასრულების შემდეგ ოპოზიციონერთა განცხადებების მოსმენაზე.

პირველმა ვიცე-სპიკერმა ვლადიმირ ცურკანმა განაცხადა, რომ ეს სხდომა უკანასკნელი იყო.

"ინტერფაქსის" თანახმად, მოლდოვას პარლამენტის სამი ოპოზიციური პარტია - "ლიბერალური", "ლიბერალ-დემოკრატიული" და ალიანსი "ნაშა მოლდოვა" ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებში ცალ-ცალკე მიიღებენ მონაწილეობას. დამოუკიდებლად მოქმედების გეგმის შესახებ აღნიშნული პარტიის ლიდერებმა კიშინიოვში გუშინ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.

მოლდოვას კანონმდებლობის თანახმად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის შემდეგ 45 დღის ვადაში უნდა გაიმართოს.



# ირანის ოპოზიციამ საპროტესტო აქციაში შეიჭრა

მარიკა იახვილი



AFP - 2009

ირანის ოპოზიციის ლიდერმა მირ ჰოსეინ მუსაეიმ, რომელიც 12 ივნისს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა, თეირანში დაგეგმილი მასობრივი მიტინგი გააუქმა.

გადანწყვეტილება მუსაეიმ მას შემდეგ მიიღო, რაც ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა დაგეგმილი დემონსტრაცია უკანონოდ გამოაცხადა.

გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლებამ ოპოზიციის ლიდერი გააფრთხილა, რომ უსაფრთხოების ძალებს არასანქცირებული მიტინგის დასაშლელად საბრძოლო ტყვიების გამოყენების უფლება აქვთ მიცემული, - ამის შესახებ ინფორმაციას მუსაეისთან დაახლოებულ წრეებში ავრცელებენ.

ამავე დროს თეირანის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მეორე მიტინგი ჩატარდა, რომელსაც სათავეში მუსაეის ცოლი ზაჰრა რაჰნავადი ჩაუდგა.

ბოლო დღეების განმავლობაში ირანის დედაქალაქში პოლიციის გაძლიერებული შენაერთები პატრულირებენ. საპროტესტო აქციების მონაწილეთა დასაშლელად ისინი ხელკეტებსა და ცრემლსადენ გაზს იყენებენ.

ქვეყანაში მიმდინარე აქციები, ანალიტიკოსთა აზრით, არა მხოლოდ მაჰმუდ აჰმადინეჯადის, არამედ ირანის უმაღლეს ლიდერ

აიათოლა ალი ჰამენეის გამონეგავაც არის.

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ჰამენეიმ პრეზიდენტის არჩევნებს "ღვთიური ჩანაფიქრი" უწოდა და ირანის მოქალაქეებს პრეზიდენტის ირგვლივ გაერთიანებისკენ მოუწოდა.

მაჰმუდ აჰმადინეჯადმა, რომელიც პარასკევს მეორე ვადით აირჩიეს, განაცხადა, რომ არჩევნებმა სამართლიანად ჩაიარა, ხოლო ამ საკითხზე გამოთქმული პროტესტი "ფეხბურთის მატჩის შემდეგ დაწყებულ უნესრიგობას" შეადარა. პრესკონფერენციაზე მან ისიც

განაცხადა, რომ ირანი "თითქმის სრულიად თავისუფალია."

აჰმადინეჯადის გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ მიტიგზე მისი ათობით ათასი მხარდამჭერი შეიკრიბა.

თუმცა მუსაეი აცხადებს, რომ ხმის მიცემის პროცესი მრავალ-

რიცხოვანი დარღვევით ჩატარდა და, შესაბამისად, მისი შედეგებიც უნდა გაუქმდეს.

საპროტესტო აქციები ირანის ქალაქებში არჩევნების შედეგების გამოცხადების წუთიდან დაიწყო. რამდენჯერმე საპროტესტო აქციებს დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის ფიზიკური დაპირისპირებაც მოჰყვა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ასეთი არეულობა ირანის ქუჩებში უკვე მრავალი წლის მანძილზე არ ყოფილა. აქციების მონაწილეები რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვიან, მეტ სოციალურ თავისუფლებას ითხოვენ და გამოდიან ლოზუნგებით "შორს დიქტატურა." მსგავსი ლოზუნგები ისმოდა ირანის 1979 წლის ისლამისტური რევოლუციის დროსაც.

აქციის მონაწილეებს შორის პრეზიდენტობის სამივე ოპოზიციური კანდიდატის მომხრეები არიან, თუმცა მათში მუსაეის მხარდამჭერები ჭარბობენ. რეფორმატორი მირ ჰოსეინ მუსაეი აჰმადინეჯადის მთავარ მტოქედ მიიჩნეოდა.

ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრ სედეკ მასულის განცხადებით, რომელიც არჩევნების ჩატარებაზე იყო პასუხისმგებელი, აჰმადინეჯადს ხმა ირანელთა 62.6 პროცენტმა მისცა, მაშინ როდესაც მუსაეიმ ხმათა მხოლოდ 33.75 მოაგროვა.

ირანის პრეზიდენტის რიგით მეათე არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობა რეკორდულად მაღალი იყო - 85 პროცენტი.

# უარი ნეთანიაჰუს წინადადებაზე

მარიკა იახვილი



ბენიამინ ნეთანიაჰუ

AFP - 2009

პალესტინის ავტონომიის მთავრობამ უარი თქვა, რომ პალესტინური სახელმწიფო ისრაელის პრემიერ-მინისტრის მიერ შეთავაზებული პირობების მიხედვით შექმნას და ნეთანიაჰუს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის პარალიზებაში დასალო ბრალი.

კვირას ისრაელის მთავრობის მეტაური ბენიამინ ნეთანიაჰუ პროგრამული სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, რომ პალესტინური სახელმწიფოს შექმნას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა მხოლოდ მისი დემილიტარიზაციის შემთხვევაში.

პალესტინის ავტონომიის მთავრობის მეტაური მაჰმუდ აბასის წარმომადგენლის განცხადებით, ნეთანიაჰუს წინადადება პალესტინელების, მთელი არაბული სამყაროსა და ამერიკის გამოწვევაა. თუმცა, თავად აშშ-ს ადმინისტრაციამ ისრაელის პრემიერის გამოსვლა მოლაპარაკებათა პროცესში წინგადადგმულ "მნიშვნელოვან" ნაბიჯად შეაფასა.

თავის გამოსვლაში, რომელიც ამერიკის მხრიდან რამდენიმე კვირიანი ზეწოლის შემდეგ შედგა, ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ პალესტინამ ისრაელის, როგორც ებრაული სახელმწიფოს არსებობა უნდა აღიაროს.

გარდა ამისა, მისი თქმით, პალესტინური სახელმწიფოს არ უნდა ჰყავდეს არმია, არ უნდა ჰქონდეს კონტროლი თავის საჰაერო სივრცეზე და არსებზე, რომელთა მეშვეობითაც ისრაელის კონტრაბანდა იქნება შეხდომილი.

ასეთმა წინადადებამ პალესტინელ ლიდერთა აღშფოთება გამოიწვია.

"ნეთანიაჰუს განცხადება ყველა ინიციატივის ჩაშლა, ყველა მიღებული ზომის პარალიზება და პალესტინის, არაბული სამყაროსა და აშშ-ს გამოწვევაა," - განაცხადა მაჰმუდ აბასის წარმომადგენელმა.

პალესტინის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ისრაელთან მოლაპარაკებებში საეკონომიკური აღნიშნავს, რომ ისრაელის პრემიერის წინადადება "პალესტინის სახელმწიფოს საკითხის განხილვისკენ მიმავალი გზები დახურა." "მსოფლიო არ უნდა დააბნოს ტერმინმა "პალესტინური სახელმწიფო" იმ შინაარსით, რომლითაც მას ნეთანიაჰუ იყენებს," - განაცხადა ერეკატმა.

"მან იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა, განაცხადა, რომ არ აპირებს დევნილთა შესახებ მოლაპარაკებას და დასახლებები თავის ადგილზე დარჩება. სამშვიდობო პროცესი ისედაც კუს ნაბიჯებით ვითარდებოდა. ახლა კი ნეთანიაჰუმ კუზურგზე გადააბრუნა," - დაამატა ერეკატმა.

ლაზას სექტორში დაჯგუფება "ჰამასის" წარმომადგენელმა სამი აბუ ზურიმ ნეთანიაჰუს გამოსვლას "რასისტული" უწოდა და არაბული სამყაროს ქვეყნებს ისრაელთან მიმართებაში კიდევ უფრო ძლიერი ოპოზიციის შექმნისკენ მოუწოდა.

თუმცა ვაშინგტონში, რომელიც ახლო აღმოსავლური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში აქტიურად არის ჩართული, ნეთანიაჰუს გამოსვლა წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნიეს. ანალოგიურად შეაფასა ებრაელი პრემიერის ინიციატივა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმაც.

როგორც თეთრი სახლის პრეს-სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, პრეზიდენტი ბარაკ ობამა "დარწმუნებულია, რომ შეთავაზებული გადანეგვილება ერთდროულად ისრაელის უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს და დააკმაყოფილებს პა-

ლესტინელთა კანონიერ სწრაფვას საკუთარი სახელმწიფოს შექმნისკენ. ამიტომ ის მიესალმება პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს წინადადებას ამ მიზნების მიღწევის შესახებ."

გავრცელებული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ თეთრი სახლი ნეთანიაჰუს გამოსვლას დადებითად შეხვდა, უცნობია, აკმაყოფილებს თუ არა ის ამერიკის ადმინისტრაციას მთლიანად, იმის გათვალისწინებით, რომ ისრაელის პრემიერის პოზიცია მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე დასახლებების მიმართ უცვლელი რჩება.

4 ივნისს კაიროში წარმოთქმულ სიტყვაში ბარაკ ობამამ მკაფიოდ განაცხადა, რომ პალესტინურ ტერიტორიაზე ებრაული დასახლებების მშენებლობის შეწყვეტა აუცილებელია. თუმცა ნეთანიაჰუ აღნიშნავს, რომ მათი არსებობა მშვიდობის დამყარებას ხელს არ უშლის და დასახლებათა "ბუნებრივი ზრდის" მიმართ თავის პოზიციას არ ცვლის.

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მშენებლობები არ შეჩერდება, არ არის გამორიცხული, ამერიკა და ისრაელი "შეჯახების გზაზე აღმოჩნდნენ".

დასახლება "იემას" მოსახლეობა კი, თავის მხრივ, ნეთანიაჰუს გამოსვლას აკრიტიკებს: "ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ პრემიერ-მინისტრი თუნდაც დემილიტარიზებული პალესტინური სახელმწიფოს შექმნას დათანხმდა მას შემდეგ, რაც წლების განმავლობაში გამოდიოდა ამის წინააღმდეგ და აცხადებდა, რომ ასეთი სახელმწიფოს არსებობა ისრაელისთვის სახიფათო იქნებოდა."



# რევოლუ



პეკინის ოპერას ერთი ძალიან საინტერესო ტრადიცია აქვს - სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეებს სადღესასწაულო საღამოს უწყობს. სკოლადამთავრებულები ჩინური ოპერის ტრადიციისამებრ იკაზმებიან. საინტერესო და პრაქტიკულად ხელოვნების დონეზე აყვანილ მაკიაჟს იკეთებენ და პატარა წარმოდგენებსაც დგამენ. როგორც ჩინეთის მთავრობა მიიჩნევს, ეს ღონისძიება არა მხოლოდ ოპერის პოპულარიზაციას ემსახურება, არამედ ბავშვებს ტრადიციების პატივისცემასაც აჩვენებს.

AFP / 2009

## მეულა, მეულა!

ანუ კ. მარჯანიშვილის თეატრი იერუსალიმში

### ბარამ ბათიაშვილი

ქართული თეატრი კიდევ ერთხელ გავიდა მსოფლიო ასპარეზზე - კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრმა 24-27 მაისს მონაწილეობა მიიღო ისრაელის ხელოვნების პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე. სიტყვა პრესტიჟული, რომელიც ამ ფესტივალთან დაკავშირებით მოვიშველიე, განპირობებული გახლავთ იმით, რომ ფესტივალის დირექტორთა საბჭო ძალიან დიდი ყურადღებით ეკიდება ფესტივალზე წარმოსადგენ სანახაობას. უმთავრესი კრიტერიუმი, რასაკვირველია, მაღალი შემოქმედებითი ხარისხია, მაგრამ არა გადამწყვეტი მნიშვნელობისა, ამასთან ერთად ყურადღება ექცევა, თუ რა შემოქმედებით პროცესებს უდებს სათავეს ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები, რა გამოძახილი ექნება მას ხვალ, რა ტენდენციების განმაპირობებელი გახდება ხელოვნებაში. ორიოდე სიტყვა ფესტივალის

ისტორიაზე, იმაზე, თუ რამ განაპირობა მისი დაბადება და არსებობა. სახელმწიფოებრიობის აღდგენის მეორე დღესვე, ისრაელს (1948 წ.) მეზობელი არაბული სახელმწიფოები დაესხნენ თავს. მათთვის კატეგორიულად მიუღებელი გახლდათ ამ არაბულ სამყაროში უცხო სხეული - ებრაელთა სახელმწიფო. დემოკრატიისაკენ, პროგრესისაკენ მიდრეკილი ებრაელი ხალხი ნამდვილად უცხო სხეული იყო ამ ლამის ფეოდალური ურთიერთობების საზოგადოებისათვის. ის ხუთი სახელმწიფო, რომელიც ისრაელს თავს ესხმის, მონადინებულია დაბადებისთანავე აღმოჩნდა. მას არ ჰქონდა სახელმწიფო, რადგან იგი სრულიად სხვა პოლიტიკურ, სოციალურ კლიმატს ამკვიდრებდა რეგიონში. ომი ისრაელის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ იგი ერთობ მკაცრ იზოლაციაში აღმოჩნდა. მას არ ჰქონდა სახმელეთო გასასვლელი არცერთ ქვეყანაში, მეზობელი არაბული სახელმწიფოები მეცადინეობდნენ, რომ ევროპის, აზიის, ამერიკის

ქვეყნებს ისრაელთან ურთიერთობა შეეზღუდათ და ეს მაშინ, როდესაც ისრაელისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს ქვეყნებთან ურთიერთობას - იმ წლებში ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ საშუალებად ხელოვნება მიიჩნეოდა - სწორედ ხელოვნებაა ის გზა, რომელიც ხალხებს ერთმანეთს აცნობს, მათს მისწრაფებაზე, წარსულსა თუ აწმყოზე ესაუბრება და აახლოებს კიდეც. და აი, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან არსებობს ისრაელის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალის დამფუძნებლები და დამფინანსებლები გახლავან ისრაელის კულტურის და სპორტის სამინისტრო და იერუსალიმის მერია. ფესტივალი ასევე კერძო პირთაგან და ბიზნესსტრუქტურებიდან ეწევა ფონდრეზინგს. ეს ფესტივალი ამ მლოცველ ქალაქს ცოტა სხვა იერს აძლევს (ისრაელში ხუმრობით ასე განმარტავენ ქალაქების მისიას და რაობას: იერუსალიმი ლოცუ-

ლობს, ხაიფა შრომობს, თელ-ავივი - ერთობა). ამ "ცოტა სხვა იერს" კი ის ქმნის, რომ 23 მაისიდან 14 ივნისამდე იერუსალიმში ჩამოდიან მსოფლიოს თეატრის, მუსიკოს შემსრულებელთა, ესტრადის, ქორეოგრაფის, ბალეტის დიდი ოსტატები. გადავავლოთ თვალი, თუ ვინ, რომელი ქვეყნის კოლექტივები არიან წელს იერუსალიმის ფესტივალის მონაწილეები: ინდოეთი, კანადა, ესპანეთი, საქართველო, საფრანგეთი, იტალია, უნგრეთი, გერმანია, ინგლისი, პორტუგალია და რასაკვირველია, თავად ისრაელი. ფესტივალი ანვითარებს ერთობლივი ნაწარმოებების პრაქტიკას. წელს წარმოდგენილი გახლავთ ისრაელი-იტალიის, ისრაელი-ინდოეთი-შვეიცარიის, ისრაელ-აზერბეიჯანის, ისრაელ-უნგრეთის ერთობლივი ნაწარმოებები, ზოგიერთი ქვეყანა კი რამდენიმე კოლექტივით მონაწილეობს ფესტივალზე. ეს არის დრამატული თეატრიც, სიმფონიური მუსიკაც, ბალეტიც, მუსიკოს-შემსრულებლებიც, ცალკეული

მომღერლებიც. ერთი სიტყვით, ფესტივალი ხელოვნების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს და ისრაელის მოსახლეობას აცნობს მსოფლიოს ხელოვნებაში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებს. ალბათ, ამით გახლავთ განპირობებული ის გარემოება, რომ სპექტაკლები, კონცერტები მხოლოდ იერუსალიმში როდი იმართება: ხაიფაში, ხოლონში, კეისარიაში, ბეერ-შევაში, თელ-ავივში. ყველაფერი ეს დასტურია იმისა, სახელმწიფო თუ როგორ ზრუნავს მოსახლეობის კულტურის ამაღლებისათვის, რადგან როცა ქვეყნის თავთავიანთ ხელოვნებას წარმოადგენენ ამათუიმ ქვეყნის მსახიობნი, მუსიკოსნი, თუ სხვა შემოქმედნი, ეს უწინარესად, რგებს ქვეყნის ხვალისინდელ შემოქმედებით პროცესებს - მაყურებელი კი საქმის კურსშია იმის თაობაზე, თუ რა ხდება მსოფლიოს ხელოვნებაში.

გაზრდილობა A11 გვირგვინი



**ბასა ჯანიკაშვილის სკიტი**



ინტერვიუ 26

**სვამის ბიზნესი**

დღევანდელი ჩვენი სტუმარია მოძრაობა "ალარ მინდას" დამფუძნებელი, არშემდგარი პოლიტიკოსი, ყოფილი ჟურნალისტი და ყოფილი დეპუტატი, ყოფილი კაცი კაცი თემურ ქვაგესროლე.

**ბასა ჯანიკაშვილი** - ბატონო თემურ, თქვენმა პოლიტიკურმა გუნდმა, რომელიც სამ კაცს შეადგენს...

**თემურ ქვაგესროლე** - უკაცრავად გაგანწყვტინებთ, სამი კაცი ორი თვის წინ იყო, ახლა ჩვენი მოძრაობა "ალარ მინდა" უკვე ორასამდე კაცს შეადგენს.

**ბ.ჯ.** - კი ბატონო, ორასი იყოს, მოდით აუხსენით ჩვენი გაზეთის მკითხველს რას საქმინობს "ალარ მინდა"?

**თ.ქ.** - ჩვენ ვარბევთ მიტინგებს და აქტივისტებს. ესენი არიან რუსეთის აგენტები და ჩვენი ძალადობაც გამართლებულია. ალარ უნდა ვისწავლოთ ქართველებმა, რომ რუსეთი აგრესორია და მაგის ყველა მომხრეს მაგრად მოხვდება.

**ბ.ჯ.** - და ვინ გითხრათ, ან რითი ადასტურებთ, რომ მიტინგები და აქტივისტები რუსეთის აგენტები არიან?

**თ.ქ.** - მაგას რა დამტკიცება უნდა? ყველამ იცის ეგ!

**ბ.ჯ.** - და იმ ადამიანებზე რას იტყვით, ვინც მიტინგზე დადის და საკუთარ პროტესტს გამოხატავს?

**თ.ქ.** - ეგენიც აგენტები არიან!

**ბ.ჯ.** - და საქართველოს ხელისუფლებაში არ არიან აგენტები? ასეთი განმარტება ვითომ საქართველოს მთავრობა?

**თ.ქ.** - აბა, მაშინ აგენტები რო იყვნენ აგვისტოში ომი არ იქნებოდა. მოგვცემდნენ აფხაზეთსაც და ოსეთსაც.

**ბ.ჯ.** - მაშინ ისევ რუსულ გამოთქმას მოვიშველიებ: რკინისებური ლოგიკაა!

**თ.ქ.** - იმიტომ, რომ ქვების სროლას არავის არ შეეპარჩენთ.

**ბ.ჯ.** - ბატონო თემურ ქვაგესროლე, რა ალარ გინდათ?

**თ.ქ.** - ალარ გვინდა ამდენი არეულობა. ყველაფერი ერთად არ გამოდის და უნდა ვაცალოთ მიშას. ოპოზიციონერებიდან, რომელია ერთი საქმის გამკეთებელი? უსაქმურების "სბროლია" ყველანი. ეგენი რო მიუშვან ხელისუფლებაში დაჭამენ ერთმანეთს.

**ბ.ჯ.** - კი მაგრამ, მაინც რა ალარ გინდათ?

**თ.ქ.** - ოპოზიციის ალარ გვინდა.

**ბ.ჯ.** - და იმიტომ, თქვენ შექმენით ორგანიზაცია, და არქვით "ალარ გვინდა" და ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობას დაერიეთ?

**თ.ქ.** - როდის დავერიეთ?

**ბ.ჯ.** - ბოლო ორი თვის განმავლობაში უკვე ორასზე მეტი ადამიანი ნაცემი.

**თ.ქ.** - ეგენი თავის თავს თვითონ ცემენ და მერე ჩვენ ორგანიზაციას აბრალებენ.

**ბ.ჯ.** - კი მაგრამ, რატომ უნდა ცემონ ერთმანეთი?

**თ.ქ.** - იმიტომ, რომ მერე ჩვენ დაგვაბრალონ.

**ბ.ჯ.** - და ის ხომ არ გიფიქრიათ, რომ ადრე თუ გვიან ეს ამბავი გახშირდებოდა?

**თ.ქ.** - იცით ეგ როგორ არის? ერთი რო გაილახება, მერე მორჩება რამდენიმე დღეში და ის ერთი თავის გამლახავს სცემს და ასეა ჯაჭვი. მერე მოდიან და ჩვენ გვაბრალებენ.

**ბ.ჯ.** - კი მაგრამ, თქვენ რამდენიმე ტელეკომპანიის კადრებში ფიგურირებთ, როდესაც მომიტინგეებს სცემთ.

**თ.ქ.** - დიდი ამბავი, ასე ვცემდი ამ ხალხს 7 ნოემბერსაც და არაფერი. მოითმენენ.

**ბ.ჯ.** - ანუ აღიარებთ, რომ თქვენი ორგანიზაცია ცემს ხალხს შ.ს.ს. დაკვეით?

**თ.ქ.** - არა, მე მაგას არ ვაღიარებ, მე არავინ არ მიკვეთავს, პირადი ინიციატივით ვმოქმედებთ. ხო გუუბნებთ ორასზე მეტი კაცია უკვე გაერთიანებული და ყოველ დღე გვემატება და გვემატება მსურველები. უნდა ამ ხალხს მომიტინგეების გალახვა და ხო არ დაუშლი?

**ბ.ჯ.** - კარგით, არ ვიცი მოკლედ, რა აზრი აქვს ამ ცემა ტყუპას გადგა იმისა, რომ არასწორია ეს ყველაფერი, მაგრამ მითხარით, ზურა აბაშიძე რატომ სცემთ?

**თ.ქ.** - ჩვენ არ გვიცემია, ეგ "რატომ მიკეთებ ამას" ცემა.

**ბ.ჯ.** - "რატომ მიკეთებ ამას" რა არის?

**თ.ქ.** - ჩვენი ბიჭები არიან, ორგანიზაცია და ხელისფლებას ეხმარება წესრიგის დაცვაში.

**ბ.ჯ.** - ეს ე.წ. ორგანიზაცია კომერციული ორგანიზაციაა და საქველმოქმედო?

**თ.ქ.** - მხოლოდ და მხოლოდ კომერციულ საწყისებზეა. არაფერი პირადული, უბრალოდ ჩვენ ვიღებთ შეკვეთას ყოველდღიურად. გვიკვეთავენ, დღეს რამდენი ადამიანი უნდა გაილახოს და ჩვენც ვასრულებთ ხოლმე.

**ბ.ჯ.** - და რა ღირს ერთი კაცის გალახვა?

**თ.ქ.** - ერთი კაცის გალახვა სამას ორმოცდაათი ლარი ღირს, პლუს დღ.ჯ.

**ბ.ჯ.** - სარფიანი საქმეა.

**თ.ქ.** - რა თქმა უნდა, ბიზნესიც არის და ბიზნესიც. ჩვენ საქმეში მთავარია პატრიოტიზმი. ორგანიზაციის წევრები უნდა განაწყო სიმართლის დასაცავად და ამიტომ, ყოველ დღე ვაყურებიან, როგორ შემოდიოდა რუსის ყვარი საქართველოში.

**ბ.ჯ.** - და შემდეგ ამ ხალხს მომიტინგეებთან უშვებთ?

**თ.ქ.** - სწორად მიმიხვდით. ხო არ გადმოხვალთ ჩვენთან?

**ბ.ჯ.** - არა, ჯობია თქვენ გადმოხვიდეთ ჩვენსკენ. დიდი მადლობა გულახდილი საუბრისათვის.

**კანინგემი საკუთარ დასს ასამარებს**

ლეგენდარულმა ქორეოგრაფმა საკუთარი ანდერძი სიცოცხლეშივე გაახმაურა


ამ ცოტა ხნის წინათ, 90 წლის ცნობილმა ამერიკელმა ქორეოგრაფმა - მერს კანინგემმა საკუთარი ანდერძი "გახმაურა". მასში Merce Cunningham Dance Company-ს დასის მომავალი გათვალისწინებული. მისი ანდერძის თანახმად, კანინგემის გარდაცვალების შემდეგ ეს შემოქმედებითი გაერთიანება ორწლიან საგასტროლო მოგზაურობაში გაემგზავრება, მერე კი დაიშლება. კანინგემის სპექტაკლებზე ყველაწარმოებელი უფლება სპეციალურ ფონდს - Merce Cunningham Trust გადაეცემა. დასის დაშლის შემდეგ მოცეკვავეებს წლიურ ხელფასს გადაუხდინან და კიდევ, დამატებით თანხას ახალი სამუშაო ადგილის მოსაძებნად. ამის შესახებ ინფორმაციას The New York Times-ი ავრცელებს.

მერს კანინგემის თანამემკვიდრეები უახლოეს პერიოდში მოამზადებენ მისი სპექტაკლების დეტალურ აღწერას იმისათვის, რომ Merce Cunningham Trust-მა მომავალში მათზე უფლების გაყიდვა შეძლოს. ასეთმა ინიციატივამ ქორეოგრაფის მემკვიდრეობა წესით უნდა ააცილოს ისეთ სკანდალს, რომლის მსგავსიც 1991 წელს, ლეგენდარული მარტა გრემის (Martha Graham) გარდაცვალების შემდეგ მოხდა - მისი სპექტაკლების საავტორო უფლებებთან დაკავშირებული სასამართლო დავები რამდენიმე წელი მიმდინარეობდა.

მერს კანინგემის ასეთმა გადაწყვეტილებამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. სიცოცხლეშივე გაცხადებული ანდერძით უკვე განსაზღვრულია მომავალი დასისა, რომელმაც თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და ეს უპირველესად სწორედ კანინგემის დამსახურებაა.

ეს ქორეოგრაფი 1950-იან წლების ავანგარდული ხელოვნების ლიდერთა შორის ერთერთია. მისი დევიზია "მოძრაობა მოძრაობისთვის". ის არ ეყრდნობა არც დრამატულ სიუჟეტს, არც ლიტერატურულ ალუზიუებს, არც სოციალურ თემებსა თუ ემოციულად ქვეტექსტებს, არ მიისწრაფვის გამოხატვის ცეკვაში მუსიკალური შინაარსის მისთვის ცეკვის აზრი და არსი დევს ექსპერიმენტში, რომელიც დროსა და სივრცეში განფენილი მოძრაობის განსხვავებული შესაძლებლობების წარმოჩენას უკავშირდება.

კანინგემი 1919 წლის 16 აპრილს ქალაქ სენტრილში (ვაშინგტონის შტატი) დაიბადა. მოზარდობისას გატაცებული იყო სტეპით, ეროვნული და სა-



მეჯლისო ცეკვებით, შემდეგ დადიოდა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში და სიეტლის ხელოვნების სკოლაში. 1939 წელს, როდესაც ის ვერმონტში, ბენინგტონის ცეკვის სკოლაში ცეკვას "მოდერნი" ეუფლებოდა, მარტა გრემიმ საკუთარ დასში მიიწვია. იქ 1940-1945 წლებში მუშაობდა. ამის პარალელურად ჯორჯ ბალანჩინის ამერიკული ბალეტის სკოლაში კლასიკურ ცეკვას სწავლობდა და დგამდა საკუთარ სპექტაკლებს, რომელთა განხორციელებისას თანამშრომლობდა პიანისტთან და კომპოზიტორთან ჯონ კეიჯთან. საკუთარი დასი მან 1952 წელს ჩამოაყალიბა, რომლისთვისაც დაახლოებით 100 დადგმა შექმნა.

კეიჯის მუსიკის მსგავსად, კანინგემის ქორეოგრაფიისთვის ტიპურია განვითარების ერთიანი ხაზის არარსებობა. თუმცა, ეს ქორეოგრაფია, ისევე როგორც კეიჯის მუსიკა, ხასიათდება უცაბედი ამოძრავებითა და შეჩერებით, რაც მუსიკის თანმდევი პროცესი არ გახლავთ. კანინგემის დადგმებში მოცეკვავეები ხშირად აგრძელებენ მოძრაობას ისე, რომ არ ჩერდებიან და არც რიტმს ცვლიან და ეს მაშინ, როდესაც მუსიკა უკვე შეწყვეტილია ან პირიქით, შემსრულებლები გაუნძრევლად დგანან იმ დროს, როდესაც მუსიკა ისმის. კანინგემისთვის მისაღებია კონტრასტზე აგებული ექსპერიმენტები, სადაც საშემსრულებლო

ხელოვნების სირთულეა წარმოჩენილი. მასთან ფრაგმენტულობა ძალიან მნიშვნელოვანია. მის ცეკვებში სხეულის ცალკეული ნაწილები ისე მოძრაობენ, როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი. ის შემსრულებლებს ურთულეს ამოცანებს უყენებს და ისეთი ილეთების შესრულებას აიძულებს მათ, რომელთა განხორციელებაც, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია.

კანინგემი ხშირად თანამშრომლობდა თანამედროვეობის ცნობილ მხატვრებთან და მუსიკოსებთან იმისათვის, რომ შეექმნა უნიკალური მხატვრული სივრცე, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ცეკვები წარმოადგენენ. აი, მაგალითად დადგმის, სახელწოდებით "ტროპიკული ტყე", განწყობა განსაზღვრულია დევიდ ტიუდორის ელექტრონული მუსიკითა და ენდი უორჰოლის მიერ მოგონილი ვერცხლისფერი, მანათობელი, გამჭვირვალე ბალიშებით, რომლებიც სცენაზე ნელა დაცურავენ. მისი არაერთი წარმოდგენის გაფორმებისა და კოსტუმების ავტორები იყვნენ ისეთი მხატვრები, როგორებიც არიან რობერტ რაუსენბერგი, ჯასპერ ჯონსი და ფრანკ სტელა.

ალანინშნავია ისიც, რომ ეს ამერიკელი ქორეოგრაფი ტექნოლოგიის სფეროში მომხდარ სიახლეებს უყურადღებოდ არ ტოვებს და 1991 წლიდან ქორეოგრაფიულ დადგმებში წარმატებით იყენებს კომპიუტერს, კერძოდ პროგრამას სახელწოდებით "ცხოვრების ფორმები" (Lifes Forms). ამ პროგრამაში მომხმარებელს შეუძლია გაცოცხლოს ფიგურა და შექმნას ცეკვა. ახალმა ტექნიკამ მხოლოდ გააძლიერა კანინგემის ტენდენცია მოიფიქროს "უჩვეულო" მოძრაობები. და მიუხედავად იმისა, რომ მის ნამუშევრებს კრიტიკა არ მოჰკლებია, ის ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და პრაგმატულად მოაზროვნე ავტორია. მისი დასის წარმომადგენლების მისამართით კი ხშირად აღნიშნავენ, რომ კანინგემთან მუშაობენ მოცეკვავეები, რომლებსაც დაუძლეველის დაძლევა და გათავისება შეუძლიათ.

კანინგემის შემოქმედებითი არაფილი ფართოა. ის დგამდა როგორც აშშ-ში, ასევე ევროპის ნამყვან თეატრებში. დაჯილდოებულია ათეულობით პრესტიჟული ჯილდოთი, მათ შორის კენედის სახელობისა და ხელოვნების ნაციონალური მედალებით, იაპონური Praemium Imperiale-თი, ლოურენს ოლივიეს ბრიტანული პრემიით. არის საპატიო ორდენის კავალერი.

**ჩინეთში ყველაზე ძველი**

**ქოთანის აღმოჩენა**

ჩინეთის სამხრეთით, ჰუნანის პროვინციაში, იუნ ჩან იანის მღვიმეში არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. ექსპედიციას ელისაბედ ბოარეტო (ისრაელის სამეცნიერო ინსტიტუტი) და სიაო ხუნ ვუ (პეკინის უნივერსიტეტი) ხელმძღვანელობენ. არქეოლოგთა ჯგუფმა იქ თიხის ქოთნები აღ-

მოაჩინა. ისინი, დაახლოებით, 18 ათასი წლისაა. მეცნიერები თავიანთ გამოკვლევებში, რომლებიც ჟურნალ Nature-ს საიტზეა გამოქვეყნებული, წერენ, რომ ეს აღმოჩენა საშუალებას იძლევა მექოთნეობის ხელობის წარმოშობის თარიღმა, სავარაუდოდ, ათასი წლით უკან გადაინიოს.

ამ მონაპოვარმა არქეოლოგებს საშუალება მისცა აღედგინათ ქოთანი, რომლის სიმაღლე 29 სანტიმეტრია და წვეტიანი ძირით გამოირჩევა.

ბოარეტოსა და ვუს აღმოჩენა ადასტურებს ვერსიას იმის შესახებ, რომ პალეოლითიდან ნეოლითზე გადასვლა აღმოსავლეთ აზიაში უფრო ადრე

დაიწყო, ვიდრე ხმელთაშუაზღვისპირეთში, და გაცილებით მეტი დრო დასჭირდა. აქამდე აღმოსავლეთ აზიაში აღმოჩენილი მექოთნეობის ნიმუშები, დაახლოებით, 15-16 ათასი წლით თარიღდებოდა. ახლა კი, გაირკვა, რომ ეს ხელობა, სულ მცირე, ათასი წლით ადრე ჩაიხასხა.



# მეულა, მეულა!

## A9 გვირგვინი

ადრე ფესტივალები მეტ დატვირთვას იღებდნენ თავიანთ თავზე: ფესტივალზე ჩასული თეატრალური, თუ სხვა შემოქმედებითი ჯგუფები მის გასრულებამდე რჩებოდნენ საფესტივალო ქალაქში, თეატრები ეცნობოდნენ სხვა ქვეყნების თეატრების სპექტაკლებს, მუსიკოს-მესმრულებლებს. ამგვარი შესაძლებლობა დღესაც არის, მაგრამ ერთობ შეზღუდული მასშტაბით - თეატრი ჩადის საფესტივალო ქალაქში, თამაშობს 2-3 სპექტაკლს, ან მართავს 2-3 კონცერტს და ბრუნდება უკან. ჩვენი სპექტაკლის ნახვა ინდოეთის საბალეტო ჯგუფის რამდენიმე მსახიობმა შეძლო. ჩვენ კი სამუალებმა მოგვეცა გვენახა ერთადერთი შოუ, "მიუმანა". ეს არის ისრაელის ათკაციანი ჯგუფი, რომელიც თანამედროვე ტექნიკის უზადო გამოყენებით, დიდებული ფანტაზიით, გამომგონებლობით და რაც მთავარია, დახვეწილი გემოვნებით ჩინებულ სანახაობას ქმნის. თეატრალურ სამყაროში არსებობს გამოთქმა: მსახიობი მაცურებლისათვის ბოლომდე დაიხარჯავს - ეს ათი ახალგაზრდა მაცურებლისთვის ბოლომდე იხარჯება და უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებს მას.

"მიუმანა" თანამედროვე სანახაობაა, რომელმაც უკვე მთარა მრავალი ქვეყანა და გვონებ, საქართველოსაც ეწვევა.

ახლა კი მარჯანიშვილის თეატრის ისრაელის ფესტივალში მონაწილეობის თაობაზე:

შარშან ნოემბერში მარჯანიშვილის თეატრმა 80 წლის იუბილ აღნიშნა.

საიუბილეო დღეებში თბილისში ჩამოვიდნენ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს თეატრალური მოღვაწენი.

ახლა უკვე ისრაელში მცხოვრები ჩინებული ქართველი ებრაელი კომპოზიტორის - იოსებ ბარდანაშვილის ანგარიშგასანევი რეკომენდაციით საიუბილეო დღეებში გვესტუმრა ისრაელის ფესტივალის გენერალური დირექტორი ბ-ნი იოსი ტალგანი - კაცი ერთობ ღირსეული, კონტაქტური და კულტურის რაობის შემცნობი. ი. ტალგანი მოიხიბლა საქართველოში, დედაქალაქითა და მისი შემოგარენით. ვამგზავნებებს წინა საღამოს ლევან ნულაძემ სტუმრებს წარმოუდგინა ანტონ ჩეხოვის მოთხრობის "ქალი ძაღლი" მხოლოდ პირველი მოქმედება. მეორე მოქმედება ჯერ კიდევ რეჟისორის წარმოსახვაში არსებობდა. იმ საღამოს ი. ტალგანმა მითხრა:

- თუ რეჟისორი არ იჩქარებს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი რამ შექმნას... ძალიან კარგი ჩანაფიქრი აქვს და სწორი გზითაც მიდის.

ლევან ნულაძემ, მართლაც, არ იჩქარა - სპექტაკლის რეჟისორული პარტიტურის გამოკვეთას, მაღალ შემოქმედებით კონდიციამდე აყვანას, დიდი დროც სჭირდებოდა და შემოაბრეს. მსახიობებს: ნანკა კალატოზიშვილს, ნატო კახიძეს, ნიკა თავაძეს და ბესო ბარათაშვილს არა მხოლოდ თავთავიანთი პერსონაჟები უნდა განესახიერებინათ, ფიქრის საგანი გახლდათ თოჯინებთან დამოკიდებულების თამაშიც. რეჟისორული პარტიტურის სირთულეცა და სიხვედრის ენაგზავთ, რომ სპექტაკლში ერთმანეთს ენაცვლება პერსონაჟი- ცოცხალი მსახიობი და თოჯინა - პერსონაჟს მსახიობიც წარმოსახავს და თოჯინაც. ამ პროცესის ორგანულ ქმედებად გადაქცევა კი, რეჟისორის დიდ ძალისხმევასაც მოითხოვდა და მსახიობებისაც. თუ ამგვარი რთული სცენური ჩანაფიქრის განხორციელებაში რეჟისორს შპონდა ჩინებული და წარმატებული გამოცდილება სარდაფში წარმოდგენილი "ფაუსტის" სახით, ნანკა კალატოზიშვილს, ნატო კახიძეს, ნიკა თავაძეს და ბესო ბარათაშვილს ეს მეთოდი უნდა აეთვისებინათ.

დღეს ამის დანერა აღმოჩენა არ გახლავთ: ლევან ნულაძემ შექმნა ჩინებულად გააზრებული, რთული პარტიტურის სპექტაკლი, გამოავლინა უზადო გემოვნება, შემოქმედებითი ტაქტი და ზომიერების გრძობა. მოხსენიებულ თავისებურებებს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა: რეჟისორის მიერ მოაზრებული სპექტაკლში ყველაფერი დამისხვრეოდა, თუ მხატვრულ განაზრახვს უაღრესად დახვეწილი ფორმით არ წარმოგვიდგენდა.

ამ რთული შემოქმედებითი ამოცანის დაძლევაში ლევან ნულაძეს გვერდით ედგა, თანამოაზრე მეთოჯინეთა ჩინებული ჯგუფი, ზემოთხსენიული ოთხეული მსახიობებისა და რაც ერთობ მნიშვნელოვანია, სპექტაკლის გამომსახველობით მთლიანობას დიდი სამსახური გაუწია ნატიფი მუსიკალური ვემოვნების ხელოვნება, კომპოზიტორმა ვახტანგ კახიძემ. ვ. კახიძის მიერ ამ სპექტაკლისთვის

შექმნილი, შერჩეული მუსიკა მსახიობთა, მეთოჯინეთა მოქმედების არა მხოლოდ ადეკვატურობით ხასიათდება, გარკვეულწილად სპექტაკლის სახიერებას და ამდენად, ალქმის დონესაც განაპირობებს. იქ, სადაც ეს საჭიროდ მიიჩნიეს, მუსიკა სცენურ ქმედებას ჩინებულ რეტუმირებას აკეთებს. ასე რომ, რეჟისორმა მსახიობების გააზრებული ქმედების, მეთოჯინეთა პროფესიონალიზმის და მუსიკალური სახიერების სინთეზის მეოხებით შექმნა სინთეზური სპექტაკლი. აი, ამ სამების უაღრესად დახვეწილი ფორმით წარმოაჩინა მან ა. ჩეხოვის პერსონაჟთა ტკივილი. არადა, ა. ჩეხოვის 3-4 გვერდიანი მშვენიერი მოთხრობის ასეთ თეატრალურ ენაზე "თარგმანა", არა მხოლოდ დიდ შემოქმედებით წარმოსახვას, მომქანცველ შრომასაც მოითხოვდა. ამ ხერხს - ჯერ კიდევ "ფაუსტში" დანყებულ თოჯინებისა და მსახიობთა ურთიერთმონაცვლეობის ხერხს - ლევან ნულაძემ წარმატებით ამკვიდრებს ქართულ თეატრალურ სივრცეში და ამით არა მხოლოდ თეატრის განუსაზღვრელ შესაძლებლობებსა და მაგიურ ძალას წარმოგვიდგენს, რეჟისორული აზროვნების ავანგარდშიც მქცევა.

ი. ტალგანი იმდენად გახლდათ დაინტერესებული ლევან ნულაძის რეჟისორული სიხალის რაობით, სამი თვის შემდეგ (ამდენი დრო გავიდა მეორე მოქმედების გასრულებამდე. საერთოდ კი სპექტაკლმა 7-8 თვის შრომა დაიტია.) ისევ ჩამოფრინდა თბილისში, რათა ენახა სპექტაკლის ორივე მოქმედება.

და მარჯანიშვილის სახ. თეატრი მინეული იქნა ისრაელის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე.

აქ საყურადღებოა ერთი გარემოება: კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრს წინ უძღოდა რუსთაველის თეატრის ის შემოქმედებითი ავტორიტეტი, რომელიც რ. სტურუას სპექტაკლებმა შექმნიეს ჯერ 1989 წლის ამავე ფესტივალზე (1989 წელს შ. რუსთაველის თეატრმა ფესტივალზე წარადგინა ბ. ბრეხტის "კავკასიური ცარცის წრე" და უ. შექსპირის "რიჩარდ მესამე"), ხოლო შემდეგ რ. სტურუას დადგმები თელ-ავივის კამერულ თეატრში: ისრაელის დრამატურგიის კლასიკოსად შერაცხული ხანოხ ლევინის "პირდაღებული" და უ. შექსპირის "მეფე ლირი". ხომ უზარმაზარი დრო - ოცი წელი - გავიდა რუსთაველის თეატრის ფესტივალში მონაწილეობიდან, მაგრამ ისრაელის შემოქმედებითი ელიტაში რ. სტურუას სპექტაკლების ექო კვლავაც ისმის. მასზე ლაპარაკობენ ალტაცებით, დიდი პატივისცემით.

კ. მარჯანიშვილის თეატრი 24 მაისს ჩავიდა იერუსალიმში - სწორედ ამ საღამოს დიდი სიმფონიური კონცერტით გაიხსნა ფესტივალი. ფაქტორად კ. მარჯანიშვილის თეატრის პირველი გახლდათ, ვინც სპექტაკლს წარმოადგენდა. საფესტივალო წარმოდგენები, კონცერტები "თეატრალური იერუსალიმში" იმართება. ამ თეატრს აქვს ხუთი დარბაზი. ყველაზე დიდი - 1300 ადგილიანი, ყველაზე პატარა - 300 ადგილიანი. ჩვენმა მაცურებელმა იცის, რომ "ქალი ძაღლი" კ. მარჯანიშვილის თეატრში "სხვედრა" - ამ 100 ადგილიან დარბაზში თამაშდება. "თეატრალური იერუსალიმის" რებეკა კრაუნის 300 ადგილიან დარბაზში, სადაც სპექტაკლი უნდა გვეთამაშა, იყო საშობრობა, რომ თოჯინების აღქმა გაჭირდებოდა. დღისით, რეპეტიციისას გასასვლელ - მეშვიდე რიგში ვიჯექი და თოჯინები ძნელად იკითხებოდა. ფესტივალის დირექციას სწორედ ამ მიზეზის გამო გადაეწყვიტა, გაეყვინა მხოლოდ ექვსი რიგის ბილეთები. ე.ი. მან კომერციულად წამგებიანი განაყვეტა მხარითვის - ეკა მახშიშვილის მზაობამ მოუხვედრებელი საკითხი არ დატოვა.

და აი, შეივსო დარბაზის ერთი ნაწილი.

გამიჭირდება ვთქვა, რომ ისრაელელი მაცურებელი ემოციურია. ეს ერთობ გახსნილი, ხმაურიანი ხალხი სპექტაკლზე მჭვრეტელი უფროა, ვიდრე ემოციურად განწყობილი, იმდენად მჭვრეტელი, რომ ერთგვარი შიშაც კი მიჰყვრება. მერე მასხვენდება, რომ ამ საღამოს მაცურებლის დიდი ნაწილი სწორედ ენამწარე და მიუდგომელი კრიტიკოსები არიან. ის



ნანკა კალატოზიშვილი სპექტაკლში "ქალი ძაღლი"

კრიტიკოსები, რომელთა აზრს აქ ანგარიშს უწევს. ამიტომ მათკენ ვაპირებ მზერას, სპექტაკლის შემდეგ კი ორ მთავანს დაურიდებლად ვკითხე როგორი შთაბეჭდილება დატოვა წარმოდგენამ მეთქი.

- მეულე! - ერთხმად წამოიძახა ორივე კრიტიკოსმა ქალბატონმა.

არ დავმალავ: მე სხვა სიტყვას ველოდი: "მეცუიან" - ეს სიტყვა აღნიშნავს კარგს, მშვენიერს, ამიტომ ვკითხე "მეცუიან" არ არის-მეთქი?

- ლო, მეულე, მეულე! მე არ ვიცოდი სიტყვა "მეულე". ამისხნეს, გამაგებინეს: დიდებული, აღმატებული, საუკეთესო ყოფილა თურმე.

სპექტაკლის დამთავრებიდან დაახლოებით ნახევარ საათში, ვიდრე მსახიობები გადაიცემდნენ, ფესტივალის გენერალური დირექტორს უკვე ხელისგულზე ედო კრიტიკის, საზოგადოებრიობის აზრი მარჯანიშვილელთა სპექტაკლზე.

- ეს არის ფესტივალის საუკეთესო მოვლენა! მომდევნო დღეს, 26 მაისს თეატრმა ორი სპექტაკლი ითამაშა, ყური კი თბილისისაკენ გექონდა მოჰყრობილი, როგორ ჩატარდებოდა დამოუკიდებლობის დღე, სტადიონის აქცია ხომ არ გადაიზრდებოდა უმართავ მოვლენებში, რომელიც ქვეყანას კიდევ ერთხელ შეარცხვენდა.

იმ საღამოს თელ-ავივში საქართველოს საელჩო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ დარბაზობას ატარებდა. ელჩი - ბ-ნი ვახტანგ ჯაოშვილი თეატრს ყურადღებას არ აკლდებდა. პირველსავე სპექტაკლს დაესწრო.

26 მაისს ფესტივალის გენერალური დირექტორი მარჯანიშვილის თეატრის საპატივცემულოდ საკუთარ ოჯახში მიიღებას მართავდა. იმის გამო, რომ საელჩოს დარბაზობაზე მისული სტრუმრები გვიანობამდე არ დაიშალნენ - მასპინძლებთან ერთად განიხილავდნენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ვ. ჯაოშვილი დამის პირველ საათზე ამოვიდა იერუსალიმში ი. ტალგანის დარბაზობაზე.

დაბოლოს, მეოთხე სპექტაკლი. ზემოთ ვთქვი, რომ ფესტივალის ხელმძღვანელობა რებეკა კრაუნის დარბაზის ერთ ნაწილში ჰყიდდა ადგილებს. სპექტაკლის დაწყების წინ გასასვლელი რიგის უკანაც რომ ბევრი მაცურებელი დაგინახე, მივხვდი: ესენი უმთავრესად თეატრალური იყვნენ, რომლებიც ფესტივალის ხელმძღვანელობამ დარბაზში შეუშვა

თანახმანი გახლდნენ თუნდაც შორიდან ექცირათ ლევან ნულაძის მიერ შექმნილი სცენური სამყაროსათვის.

რით იყო მნიშვნელოვანი მარჯანიშვილის თეატრის ამ ფესტივალში მონაწილეობა, რა მისცა მან საქართველოს? დღეს, როცა დასავლეთის სამყაროდან ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები სხვა თუ არაფერი, უცნაურად გამოიყურება, თეატრალური ხელოვნების ფესტივალში მონაწილეობა უზარმაზარ მისიას ასრულებს - ქვეყნიერებას ვაჩვენებთ: ქვეყანა არა მხოლოდ ამ უცნაურ ქუჩის მოვლენებშია ჩართული, აქ დიდ ხელოვნებაც იქმნება. უცხოელი მაცურებელი - საზოგადოებრიობა ხედავს, რომ კავკასიური ცარცის წრიდან ახალ სპექტაკლამდე - "ქალი ძაღლით" - განვლილი დრო იყო არა მხოლოდ შინაპოლილობის, ოკუპანტებთან ბრძოლის, არამედ შთავიწმინდილი შემოქმედებითი შრომის ნლები.

ეს ერთი. მეორე: გაიზარდა ქართული თეატრის გეოგრაფიული არეალი, თუმცა, ამას ქვემოთ ნაიკითხავთ, იმ ბევრსა-გაზეთო პუბლიკაციათაცან ერთერთში, რომელიც მარჯანიშვილელთა სპექტაკლთან დაკავშირებით დაიბეჭდა ისრაელის პრესაში.

**გაზეთი "ჰაარცი" 27. 05. 2009**  
**დამატება "გალერეა" გვ. 2**  
**"ისრაელის ფესტივალი"**  
**"ქალი ძაღლი"**  
**სხვა ქართული ხიბლი**  
**მიხაელ ჰენდელზელცი**

წლების განმავლობაში ჩვენს ცნობიერებაში ბატონობდა სხვა სახელი ქართული თეატრალური სამყაროდან - რომეტ სტურუა, რომელიც თავის თეატრთან ერთად მონაწილეობდა ისრაელის ფესტივალში. ამ დიდებულმა რეჟისორმა თელ-ავივის კამერულ თეატრში წარმატებით დადგა ხანოხ ლევინის "პირდაღებული" და "მეფე ლირი"

და აი, წლებიანდელმა ფესტივალმა დაგვანახა, რომ საქართველოში არის სხვა თეატრიც.

ჩეხოვის მოთხრობის ამ ინსცენირებაში მშვენიერადაა გამოყენებული თოჯინები და მათი მატარებელი. სხვადასხვა ზომის თოჯინები და მათი შეტანსაცმლიანი მატარებლები (მაგრამ უმეტესად ხილული სახით, ისე რომ ისინი ჩანან - თან არ ჩანან სცენაზე) ქმნიან მშვენიერ ხელოვნებას; თოჯინები დროგამოშვე-

ბით გამოყენებულია, როგორც მოქმედების რეალური მონაწილეები, ქმნიან ფონს და არაიან ირონიული მჭვრეტელი იმისა, რაც გმირებს გადახდებათ თავს.

ეს არის საკურორტო ქალაქში უკვე დაქორწინებული მამაკაცისა და გათხოვილი ქალის სიყვარულის ამბავი. საკურორტო ურთიერთობა მათ ითრევს გრძობათა მორევში, და გრძელდება იალტაში დასვენების დამთავრების შემდეგაც, როცა მამაკაცი ბრუნდება მოსკოვში, რათა იცხოვროს თავისი ცხოვრებითა და მოგონებებით, მაგრამ წარმოდგენაში ასევე მოთხრობილია ამბავი ლოთი მანანალისა, რომელიც ნოსტალგიით ლაპარაკობს იალტაზე და ყვირის "რა უქენით ჩემს ქვეყანას!", ასევე ამბავი პროფესორისა, რომელიც მთავარ გმირს უხსნის, რომ უმჯობესია იცხოვროს ილუზიების გარეშე, აი, მაშინ იმედებიც არ გაუცრუვდება, რადგან "ცხოვრება არასასიამოვნო საქმიანობაა".

და არის მინორული საცირკო მუსიკა, რომელიც აღწევს ყურსა და სულში (ასევე სტრავინსკის "ვეტრუმკა"), თოჯინებისა და ადამიანების ცქეკები, ბრძნული ტექსტი ქართულად ივრითული წარწერებით ("თოლია"-დან მოკლე ციტატის ჩარევით.) და ყველაფერი ეს უერთდება პერსპექტივათა ცვალებადობის ერთგვარ განსაკუთრებულ თავგადასავალს, პერსპექტივას ადამიანთა ცხოვრებაზე საქართველოში, იალტაში და ყოველ ადგილას, ძალის ადგილის ჩათვლით.

**გაზეთი - "იედიოთ ახრონი"**  
**27.05.2009 გვ.22**  
**შაი ნერ-იაკოვი**

### "ჩეხოვი თოჯინებით"

განსაკუთრებული ინსცენირება, რომელიც შექმნა ქართველმა რეჟისორმა ლევან ნულაძემ ანტონ ჩეხოვის "ქალი ძაღლით"-ის მიხედვით, მიმდინარეობს მცირე სცენაზე, სპექტაკლში თავისუფლად ერთმანეთში მერეული სხვადასხვა ზომის თოჯინები და მსახიობები, რომლებიც ქმნიან ლირიულ და სევდიან სურათებს. ყველაფერ ამას თან ახლავს მუსიკა, რომელიც გვახსენებს ხან 60-იანი წლების რომანტიული ფრანგული ფილმების მუსიკას, ხან კი საეკლესიო რელიგიური სიმღერის მელოდებს. ეს ბგერები წარმოადგენს პარალელურ განზომილებებს, რომელთა მოძებნასაც რეჟისორი მოთხრობაში ცდილობს. ერთის მხრივ, რომანტიული განზომილებას, ტანჯულობა და თავის თავში ჩაკეტილს და მწერის მხრივ, უფრო მეტად მეორე მოქმედებაში, უფრო სიმბოლური, რელიგიური განზომილება, რომელიც გამოისახება მთავარი გმირის-გურვის ტანჯვაში, რომელსაც საკურორტო ქალაქ იალტაში დასვენების დროს შეუყვარდება გათხოვილი ქალბატონი და ეს ტანჯვა შედარებულია ჯვარცმის ტანჯვასთან.

იგი ამ ამბავს ახვევს იმ ჩარჩოებში, რომელიც გვახსენებს იმ ფაქტს და კულტურულ სამყაროს, რომელსაც ჭმის ეჭვები და მერყეობა, რომელსაც ასე კარგად აღწერდა ჩეხოვი და რომელიც აღიქვა აგრესიული ისტორიული ჩექმის ქვეშ და მე-20 საუკუნეში გადავლახა მისი ქვეყანა მიზნის განხორციელებაში რეჟისორის ეხმარება მსახიობთა და მეთოჯინეთა განსაკუთრებით დახვეწილი თეატრი კოლექტივი, რომელიც გვთავაზობს ზუსტად მრავალმხრივ მომავალდებულ სპექტაკლს.

### გამდიდრებული ჩეხოვი

"ქალი ძაღლით" არის ჩეხოვის რთული მოთხრობის, სერიოზული ინსცენირება, გაზავეებული მსუბუქი იუმორით. ეს მოთხრობა აღწერს ცოლიანი მამაკაცისა და გათხოვილი ქალის გასაოცარ რომანტიკულ შეხვედრას იალტის კურორტზე. ჩეხოვთან შეხვედრისა და მისი განვითარების აღწერა ქალისა და მამაკაცის ცნობიერებაში ხორციელდება. სპექტაკლის ქართულმა ავტორმა, ლევან ნულაძემ, ჩეხოვის მოთხრობა ოთხი მსახიობისა და შვიდი მეთოჯინის მიერ ამოქმედებული მრავალფეროვანი მინიატურული თოჯინების უწყნით განახორციელა.

მსახიობებისა და მათი თოჯინების კომბინაცია დიდი სიფაქიზით სრულდება, სრულიად უმტკივნეულო გადასვლებით, რამდენიმე შემთხვევაში თოჯინური ამბავი განსაკუთრებულ თვალსაჩინოებას აღწევს მაგალითად, შეხვედრა ოპერის სახელში, მოსკოვში. მსახიობების თამაშ შენაწილება იყო, უმთავრესად ნიკა თავაძისა, რომელიც გურვის - სასონარკვეთამდე შეყვარებული კაცის როლს აცოცხლებდა.

**ვია გოვენ**  
**სპექტაკლი "ქალი ძაღლი"**  
**საქართველოდან**



# დელ ტოროს ფრანკენშტაინი

### "ჰობიტის" დულოგია 2012 წელს გამოვა



დექ 1931 წელს გადაიღეს (ბორის კარლოფი მონსტრის როლში) და იგი დღემდე მიიჩნევა კლასიკურ ნამუშევრად. მოგვიანებით გამოვიდა გაგრძელება "ფრანკენშტეინის საცოლე", ხოლო 1974 წელს მელ ბრუკსის პაროდია "ახალგაზრდა ფრანკენშტეინი". მერი უელის ნაწარმოების ბოლო ეკრანიზაციაა კენეტ ბრენას ფილმი, რომელშიც მონსტრის როლს თვით რობერტ დე ნირო თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ

დელ ტოროს ექიმ ფრანკენშტეინის როლის შემსრულებელი უკვე მოძებნილი ჰყავს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გადაღებები მალე დაიწყება. გილერმო დელ ტოროს გონება ჯერჯერობით სულ სხვა პროექტის ირგვლივ ტრიალებს - იგი პიტერ ჯეკსონთან ერთად ტოლკინის "ჰობიტის" ეკრანიზაციაზე მუშაობს. "ჰობიტზე" მუშაობის დაწყება 2009 წლის შემოდგომაზე დაგეგმილი. უკვე მზადაა

ფრედ უოლშისა და ფილიპ ბოინსის მიერ დაწერილი ორი სცენარი, რადგან როგორც ცნობილია, "ჰობიტი" დულოგია იქნება. პირველი ფილმის სიუჟეტი როგორც რომელიმე ტოლკინის ორიგინალი ნაწარმოების სიუჟეტზე იქნება აგებული, მეორე ნაწილი კი ნაწილობრივ სცენარისტების მიერ გამოგონილ ამბავს მოგვიყვება - მაგალითად გამოჩნდება არაგორნი, ვიგო მორტენსენის გმირი "ბექდების მბრძანებელიდან". უკვე ცნობილია ისიც, რომ ფილმებს ახალ ზელანდიაში გადაიღებენ, სწორედ იქ, სადაც რამდენიმე წლის წინ პიტერ ჯეკსონის "ბექდების მბრძანებლის" ტრილოგია იქმნებოდა. სავარაუდოდ ორივე ფილმი პარალელურად გამოვა, რაც 2012 წლამდე ნაკლებად მოსალოდნელია. როგორც ჯეკსონმა განაცხადა, მისი სურვილია, "ჰობიტი" "ბექდების მბრძანებელზე" გაცილებით სანახაობრივი და შთამბეჭდავი იყოს. ვიგო მორტენსენის გარდა "ჰობიტში" იან მაკკელენიც (გენდალფი) გამოჩნდება და ენცლ სარკისიც, რომელიც ჯეკსონის ფილმში გოლუმის როლს ასრულებდა. გარდა ამისა, თითქმის გარკვეულია დაგჯონსის ამბავიც - ფილმში მისთვისაც მოიძებნება ადგილი.



### ნომინაცია წლის საუკეთესო პროზაული კრებული

1. გურამ მეგრელიძე, **მრავალჯერადი ბოთლები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. მაკა მიქელაძე, **წეროს ჯვარი** (სიესტა)
3. გივი სულაკაური, **თამაში რევოლუციით** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. არჩილ ქიქოძე, **მყუდრო** (საარი)
5. გელა ჩქვანავა, **დაუმთავრებელი ამბავი** (დოგენე)

### ნომინაცია წლის საუკეთესო პოეტური კრებული

1. დალილა ბედიანიძე, **ფიქრდიობა** (სიესტა)
2. ბათუ დანელია, **MIRABILIS VITA** (ინოვაცია)
3. გიორგი ზანგური, **ნიგნი** (მემეცნება)
4. გიორგი მირზაშვილი, **ლექსები** (სიესტა)
5. მაკა მიქელაძე, **ბარათი** (სიესტა)
6. ჯუანშერ ტიკარაძე, **უკუქცევა** (დოგენე)
7. ნიკა ჯორჯანიანი, **სუნთქვა ხუთისას** (დოგენე)
8. ტარიელ ხარხელაური, **მინდვრის ფსალმუნები** (ეროვნული მხრელობა)

### ნომინაცია წლის საუკეთესო რომანი

1. ლაშა ბუღაძე, **კარკატურისტი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. თეონა დოღენჯაშვილი, **მემფისი** (სიესტა)
3. აკა მორჩილაძე, **მესაღმდის ქამარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. გურამ ოდიშარია, **პრეზიდენტის კატა** (უნივერსალი)
5. დავით ქართველიძე, **ახალი წიგნი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
6. დათო ჩიხლაძე, **ფემინინე** (სიესტა)
7. თამაზ ჭილაძე, **ბრევიელის მთვარე** (პეგასი)

### ნომინაცია წლის საუკეთესო პიესა

1. ლაშა ბუღაძე, **ნაფტალინი** (ნიგნის სახელოსნო)
2. ირაკლი სამსონაძე, **ყოფილების სარეცელი** (ფურნ. "ჭოროხი", N5, 2008)
3. ბასა ჯანიაშვილი, **სულიკო** (სიესტა)

### ნომინაცია წლის საუკეთესო თარგმანი

1. მაია ბადრიძე, რობერტ მუზილის **"უთვისებო კაცი"** (დოგენე)
2. მანანა გიგინეიშვილი, **დიდება შენდა** (პეგასი)
3. გიორგი ეკიზაშვილი, მოლიერის **"დონ ჟუანი"** (აგორა)
4. მაგალი თოდუა, **სპარსული პოეზიის შედევრები** (უნივერსალი)
5. დავით კახაბერი, ანდრე ჟიდის **"ყალბი ფულის მჭრელეები"** (ინტელექტი)
6. ასმათ ლეკიაშვილი, ემილი ბრონტეს **"ქარიშხლიანი ულელტეხილი"** (არტე)
7. ირმა რატიანი, **100 უძველესი იაპონური ლექსი** (სიესტა)
8. გიორგი ქაჯაია, ვალენტინ სარდინის **"თხზულებები"** (ლოგოსი)
9. თეა შურღია და მზია ბურჯანაძე, თანამედროვე სპარსული პროზა **"14 სექციანი ამბავი"** (უნივერსალი)
10. ზაზა ჭილაძე, კენ კიზის **"გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა"** (დოგენე)
11. ირაკლი ჯავახიძე, სერგეი დოვლატოვის **"ჩემოდანი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
12. პაატა ჯავახიშვილი, მილან კუნდერას **"გამოსათხოვარი ვალსი"** (დოგენე)

### ნომინაცია წლის საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა

1. ლევან ბრეგაძე, **მოთხრობები ლიტერატურაზე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. რეზო ესაძე, **ბიპლონი - კინორეჟისურის შესახებ** (კენტავრი)
3. გოგი ხორნაული, **ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი** (ეროვნული მხრელობა)
4. რევაზ გაჩეჩილაძე, **ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა**
5. ზაზა ფირალიშვილი, **ფრანკენშტეინი მედიტაციები იერონიმუს ბოსხის მხატვრობის შესახებ** (კავკასიის სახ. სტრატეგიათა ინსტიტუტი)
6. ლამარა კვიციანიანი, **სახსოვარი** (თეთრი გიორგი)
7. გიორგი ლომჯინძე, **მუჰამედის ცხოვრება** (კავკასიური სახლი)
8. დათო ტურაშვილი, **ჯინსების თაობა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

### ნომინაცია წლის საუკეთესო დებიუტი

1. დინა ანფიმიძე, **შოკოლადი** (სიესტა)
2. ხათუნა თავდგირიძე, **Homo Totus** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ნიკა თევზაძე, **დეტექტივის თავგადასავალი** (ზეკარი)
4. ლევან კაველი, **ინდონიეთი** (სიესტა)
5. გიორგი კეკელიძე, **ოდები** (სიესტა)
6. ლადო კილასონია, **ლობე** (საარი)


# დააბრუნეთ ნეფრტიტი!

### მუზეუმების ნაქურდალი და მოპარული მილიონები

მსოფლიო სამეცნიერო და სამუზეუმო გაერთიანებები ისევ იმ მუდამ განახლებად ტკივილებზე ალაპარაკდნენ, რომლებსაც გატანილი და ხანაც მიტაცებული კულტურული მემკვიდრეობა იწვევს სხვადასხვა დიდ თუ პატარა ქვეყნებში. მთელი დასავლეთი ევროპული მუზეუმები ხშირად უცხო ქვეყნების შეუფასებელ კულტურულ ნიმუშებს ფლობენ და ხშირად მილიონებსაც აგროვებენ ამ ძეგლების შემწეობით.

თუ რომში, ანტიკური მემკვიდრეობით და რომის იმპერიის დროს ლამის მთელი მამინდელი მსოფლიოდან მიტაცებული-დაგროვილი ექსპონატებით იწონებენ თავს, თუმცა თავისი უამრავი აქვს, გერმანია სხვადასხვა დროს და განსაკუთრებით ნაცისტური გერმანიის მიერ დაგროვილი იზიდავს მუზეუმებში დამთავლიერებელს. მუზეუმების ისტორიული საფუძვლები როდია მუდამ სუფთა და დღევანდელი დემოკრატიული პრინციპებისთვის მისაღები. თუმცა ზედაპირზე, ანუ გაბრწყინებულ სამუზეუმო დარბაზებში ამაზე ბევრს არავინ ფიქრობს.

საერთაშორისო საზოგადოება - იუნესკო თუ სხვა მასთან დაქვემდებარებული ან დამუკიდებელი ორგანიზაციები ვერ ბედავენ მიიღონ კანონი, სამუზეუმო ექსპონატების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ეს მართლაც საფრთხილო სვლაა, თუმცა ძალიან სადაო გახდა ამ კანონის აქამდე უარყოფა. ამჯერად ამას და კონკრეტულად სხვა ბევრ რამეს ეგვიპტე აპროტესტებს, თუმცა სხვა ბევრი რამე რას გვიქვია, როცა საქმე მის აღმატებულება



ნეფერტიტის ძვირფას თავსება. ეგვიპტის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელმა კულტურის მინისტრულით, ზაჰი ხავასმა გუშინ თურმე განაცხადა, რომ მას სერიოზული ეჭვი აქვს, იმის შესახებ, რომ 1913 წელს ნეფერტიტის თავი ეგვიპტიდან გერმანიაში უკანონოდ წაიღეს. "ნარტიმული უნდა დაბრუნდეს" - აცხადებს ეგვიპტელი ჩინოვნიკი, რომელიც არ გეგონოთ უბრალოდ ჩინოვნიკი ჩინოვნიკური მოთხოვნისგან

ბით, ის წლების განმავლობაში იბრძვის ნეფერტიტის სამშობლოში დაბრუნებისთვის და ამ ბრძოლაში ენთუზიასტი სრულიად შეუვალა. როგორც კი დაგროვდება დოკუმენტაცია, მაშინ ეგვიპტე ოფიციალურად მოითხოვს გერმანიისგან და სახელმწიფო მუზეუმისგან ნეფერტიტის ბიუსტის დაბრუნებას. ამ დროს გერმანიაში ახალი გამოგონებისთვის ემზადება, რომელთა პროგრამაც ითვალისწინებს, რომ მიმდინარე წლის ოქტომბ-

რიდან გაიხსნება რესტავრირებული "ახალი მუზეუმი", სადაც ერთიანად გამოიფინება ეგვიპტური პაპირუსები და აგვიპტული დეოფლის სახელგანთქმული ბიუსტიც. ხავასმა ასევე აღნიშნა, რომ არავითარ თანამშრომლობას ამ მუზეუმთან არ აპირებს. ნეფერტიტის ბიუსტი 1912 წელს არქეოლოგმა ლუდვიგ ბორხარდტმა აღმოაჩინა ეგვიპტეში. თუმცა ერთი წლის შემდეგ სკულპტურულმა პორტრეტმა დატოვა სამშობლო. თებერვალში გაზეთმა Der Spiegel გამოაქვეყნა სტატია, სადაც ბიუსტის ისტორიის უცნობ დეტალებზე გახლდათ საუბარი. სტატიის ავტორი ამტკიცებდა, რომ ბიუსტის აღმოჩენმა არქეოლოგმა ეგვიპტეში სიძველეთა ექსპერტები მოაძეგლა, აჩვენა რა მათ ბიუსტის ძალიან ცუდი ფოტომასალა და ამის საფუძველზე ნეფერტიტის სკულპტურული პორტრეტის, როგორც უმნიშვნელო ნივთის გერმანიაში წაღება შეძლო. 1930 წლიდან ეგვიპტე უმედეგოდ ცდილობს დაიბრუნოს აღნიშნული ექსპონატი. სავარაუდოდ ამჟამინდელი გამწვავებული დისკუსიაც უმედეგოდ დასრულდება. საკმარისია ერთი ექსპონატის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების ერთი პრეცედენტიც კი, იმისთვის, რომ მსოფლიოში სამუზეუმო კოლექციების ტოტალური მიგრაციის ტენდენცია დაიწყოს. ამგვარი პროცესები კი ყველაფერს თავდაყირა დააყენებს, მით უფრო იმ ქვეყნების ბიუჯეტს, რომელშიც დიდი წილი სამუზეუმო საღაროების შემოსავლით ივსება.



# სპორტი

## მეორე მარცხი "ჩერჩილის" თასზე

გუშინ, გამთენიისას, აშშ-ში მყოფმა საქართველოს სარაგბო ნაკრებმა "ჩერჩილის" თასზე მეორე მატჩი გამართა. ქალაქ გლენდეილში "ბორჯღალოსნები" ირლანდიის A ნაკრებს დაუპირისპირდნენ და ანგარიშით 5:40 დამარცხდნენ.

ეს მარცხი მოსალოდნელი იყო. ტიმ ლეინის გუნდს ამ ტურნირზე რამდენიმე წამყვანი მორაგბე აკლია და რაიმე განსაკუთრებულ შედეგს არც უნდა ველოდეთ.

ირლანდიელებთან თამაშში ჩვენი მეტოქე ყველა სათამაშო კომპონენტში ფლობდა უპირატესობას. ტურნირის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ერთადერთი, რაშიც ქართველებმა მეტოქე დაჯაბნეს, შერკინება იყო, თუმცა თამაშის მოსაგებად, რა თქმა უნდა, ეს არ კმარა.

"ბორჯღალოსნებმა" მატჩის პირველი ტაიმი 5:30 წააგეს, მეორე ნახევარში კი მეტოქეს მხოლოდ 10 ქულის მოგროვე-



ბის საშუალება მისცეს, თუმცა, საკუთარ მონაგარს ველარაფერი შემატეს.

ქართველთაგან ერთადერთი ლელო ზვიად მაისურაძემ გაიტანა, მერაბ კვიციანი კი გარდასახვა ააცილა.

საინტერესოა, რომ "ბორჯღალოსნებს" მეტოქის კარში

არც ერთი ჯარიმა არ დაურტყამთ.

აღსანიშნავია ერთი დეტალიც: ეტყობა, ამერიკაშიც დაახლოებით ისეთი ამინდია, როგორც საქართველოში. თამაშის მიწურულს ისეთმა წვიმამ დასცხო, რომ სტადიონზე განათებაც კი გაფუჭდა და გუნდებმა

თითქმის სიბნელეში დაამთავრეს მატჩი.

ახლა საქართველოს ნაკრებს ტურნირზე ერთი და თანაც მეტად პრინციპული მატჩი აქვს გასამართი. სწორედ ამ შეხვედრაში უნდა აჩვენონ ტიმ ლეინის შეგირდებმა საუკეთესო რაგბი. 21 ივნისს "ბორჯღალოსნები" აშშ-ის ნაკრებს დაუპირისპირდებიან და ამ თამაშის შედეგი სარაგბო რეიტინგზეც მოახდენს გავლენას. ახლა ჩვენი გუნდი მეთხუთმეტე ადგილზეა.

**საქართველო - ირლანდია A 5:40 (5:30)**

**საქართველო:** სოხადე, ელიზბარაშვილი, თოდუა, გიგაური, გუგავა, კვიციანი, როსვაძე, დადუნაშვილი, ბრეგვაძე, ჟღენტი, უჩავა, ნემსაძე, ლაბაძე (კაპ.), ს.მაისურაძე, ზ.მაისურაძე.

**შეცვლაზე შევიდნენ:** ნატრიაშვილი, პეტრიაშვილი, კაკოვინი, ურუშაძე, მალალურაძე, კაჭარავა, ლოსაბერიძე.



დავით კოჭირიძის სკეჩი

## მხოლოდ დიდი ფული

საქართველოს ნაკრებმა ჯერ თბილისში და მერე ტირანაში ორ დაახლოებით ერთი დონის მონინალმდეგესთან ორი განსხვავებული მატჩი ჩაატარა: მოლდოვასთან ტრადიციული ქართული უდარდლოდ დაწყებული თამაში თითქმის 80 წუთს გაგრძელდა ისე, როგორც არსად სხვაგან და მხოლოდ ბოლო წუთებში დაემსგავსა ფეხბურთს. ალბანეთში პირიქით, პირველი ტაიმი ნორმალური გამოვიდა, მეორე - ცუდი, რასაც კიდევ ერთი ქართველი მეკარის "შედევრი" დამატა. პირველი მატჩის შემდეგ კუპერი ძალიან გაბრაზებული იყო, ასეთი უმოტივაციო ხალხი არსად მინახავსო. ტირანაში, რომელიც ბოლო ორ-სამ წელიწადში სავრძობლად განვითარებულა, ჩვენი მწვრთნელი ოდნავ დამშვიდდა. წინა თამაშში მონაწილე შეიდი ფეხბურთელის შეცვლამ პატარა შედეგი გამოიღო.

ფაქტია, რომ დღეს ძალიან მწვავე საკადრო პრობლემებია. ჩვენ გვყავს სამი კატეგორიის ფეხბურთელები: ეროვნული ჩემპიონატისა და ალმოსავლეთ ევროპის საშუალოზე დაბალი დონის კლუბებიდან და ნორმალური გუნდებიდან. ვინაიდან საქართველოს ჩემპიონატის დონე კვლავ დაბალია, აქ მოთამაშე საუკეთესოებიც კი ვერ ქაჩავენ სასურველ ხარისხამდე, მათ არც ფიზიკური კონდიციები უფარვით და, მით უმეტეს, არც ტექნიკური ინტელექტი. მეორე კატეგორია პირველს თითქოს უნდა ჯობდეს, მაგრამ პირადად მე დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. თუ მიკროსკოპით დავაკვირდებით, შეიძლება სიმბოლური უკეთესობა იყოს, მაგრამ სამაგიეროდ თავს იჩენს სხვა პრობლემა - განწყობის უქონლობა. ზოგი რუსეთის მოქალაქეობას იღებს, ზოგს შეკრებაზე ჩასვლა ეზარება, ზოგს თავი უკვე ვარსკვლავი ჰგონია თანამემამულეებზე რამდენიმე ათასი დოლარით დიდი ხელფასის გამო. რაც შეეხება "სოლიდურ" ლეგიონერებს, ისინი კარგი ხარისხის კლუბებში კი არიან, მაგრამ სეზონში სულ რამდენჯერმე გადიან მოედანზე. თავის მხრივ, მათ იმათზე ზევით უფრო უფლება აქვთ, ვინც აქ მოთამაშეებს უყურებს ზევით.

ასეთი პესიმისტური სურათის მიუხედავად, ჩვენ მაინც გვაქვს სერიოზული პრეტენზიები, რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა არაადეკვატურობას. ცოტა მოსაბეზრებელი გახდა ელემენტარული ქუმარტივების ასეთი სიხშირით გამოვლენა - დავივიწყეთ წარსული, ობიექტურად შევფასაოთ ანაყოფი და ვიმსჯელოთ უკეთესი მომავლის მოწყობაზე. ანუ, ცოტა ხნით შევეშვათ ისტორიულ სადღერებლებს, ვაღიაროთ, რომ ვართ დაბალი დონის საფეხბურთო ქვეყანა და ვიფიქროთ, როგორ განვითარდეთ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ და არა ერთი ხელის მოსმით. გასაგებია, რომ ქართველებს უცბად გვინდა გაბრწყინება და მოთინების ნატამალიც არ გავაჩნია. სწორედ აქაა მთავარი პრობლემა.

ქართული ფეხბურთის პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზა არსებობს - დიდი, ძალიან დიდი ფული. წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიც არ უნდა ვიმსჯელოთ და ვიფიქროთ, ამ საქმიდან არაფერი გამოვა. რაში უნდა დაიხარჯოს ეს ვირტუალური თანხა? უპირველესად ორი მიმართულებით: ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებული მწვრთნელების უმაღლეს დონეზე მასობრივად მომზადება, მათი საზღვარგარეთ მივლინება დიდი ხნით და წარმატებული უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა, რაც გამოიწვევს იმას, რომ დამწყები ფეხბურთელი პროფესიული ფეხბურთის ქიშკარას სრულ მზადყოფნაში შეხვდება - ფიზიკურად და ტექნიკურად სწორად განვითარებული, ნამდვილი სპორტსმენი.

მეორე მიმართულებით დახარჯული ფული იმის გარანტია იქნება, რომ ეს სათანადოდ მომზადებული ბავშვები ზუსტად ისევე გააგრძელებენ პროგრესს პროფესიონალების სტატუსით, როგორც მანამდე: უნდა მოეწყოს ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სტანდარტებით მოემზადონ უმაღლეს და პირველ ლიგაში დასაქმებული მწვრთნელები და მსაჯეები.

როდესაც ყველაფერი ეს მოხდება (შედეგს, სულ მცირე, შეიძლება წელიწადს უნდა ველოდეთ), ქართული ფეხბურთი უკვე მომგებიანი გახდება და ბიზნესი აქ ფულის დატრიალებას დაიწყებს. თუმცა ამ მხრივ რამდენიმე დღის წინ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდა - აღარ იარსებებს სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი კლუბები, რაც სრული მარაზი იყო.

ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, საკითხი ასე დგას - ან დიდი ფული (საუბარია მილიონებზე) და განვითარება, ან უფულობა და განუვითარებლობა. მესამე ვარიანტი არ არსებობს.

მომავალ სამუშაოებზე

## გიორგი ცინცაძე:

### "მჯარა, რომ ელიტაში გადავალთ"

ინტერვიუ ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გიორგი ცინცაძესთან

საკალათბურთო სეზონის დასრულების შემდეგ უცხოეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელები სამშობლოში ბრუნდებიან და ხანმოკლე დასვენების შემდეგ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის დაიწყებენ მზადებას. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში შემოგთავაზებთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის მიერ ვიქტორ სანიკიძისგან აღებული ინტერვიუ. ამჯერად ესტონური "როკის" მეორე ქართველზე - გიორგი ცინცაძეზე გვსაუბრებით. გიორგი ამ სეზონში ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. სად ითამაშებს ქართველი გამთამაშებელი მომავალში, ჯერ უცნობია. ისევე როგორც სანიკიძის, ცინცაძის ინტერვიუც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**- გიორგი, გილოცავ. ორიოდე დღის წინ ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაგასახელეს. ელოდი ამ აღიარებას?**

- მიღებულია, რომ საუკეთესოს გამარჯვებული გუნდიდან ასახელებენ. ამიტომ არ ველოდი, თუ ამ ტიტულს მარგუზებდნენ. თუმცა, საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ.

**- ამის გარდა, კიდევ არაერთი ტიტული მოიგე ესტონეთის ჩემპიონატში, რაც შენს წარმატებულ თამაშზე მიუთითებს. ალბათ კმაყოფილი ხარ ამ სეზონით...**

- კარგი სეზონი მქონდა. საუკეთესო მოთამაშესთან ერთად გავხდი საუკეთესო უკანახაზელი, ლეგიონერი, დამასახელეს ესტონეთის ჩემპიონატის სიმ-



გიორგი ცინცაძე ესტონეთში საუკეთესოდ აღიარეს

ბოლურ ხუთეულში. ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი აღიარება ქომაგებისგან მერგო - "როკის" გულშემმატიკერებმა თავიანთ ფავორიტ მოთამაშედ დაასახელეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უფლება არ მაქვს, უკმაყოფილო ვიყო. მოედანზე დიდხანს ვიყავი და ჩემზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მენდობოდნენ და მეც, შეძლებისდაგვარად, იმედს ვამართლებდი.

**- რაც შეეხება გუნდურ ტიტულებს, ამაში მოიკოჭლე...**

- წინა ორ სეზონში ესტონეთის ჩემპიონი გავხდი "ტარტუს" შემადგენლობაში. ახლაც მინდოდა ოქროს მედალი მომეგო, მაგრამ არ გამოვიდა. არ მინდა,

ნაგება რაღაც ფაქტორებს და ვაბრალო, მაგრამ იყო სხვა, არასპორტული მიზეზები, რის გამოც ჩემპიონი დედაქალაქური "კალევი" გახდა. მსაჯები აშკარად ემხრობოდნენ ტალინელებს და იმდენი ქნეს, რომ ფინალური სერია წაგავით. არადა, მოგებასთან ძალიან ახლოს ვიყავით. მიუხედავად ამისა, ეს სეზონი არ ყოფილა უშედეგო და ხელმძღვანელობაც არ არის უკმაყოფილო. ჩვენ გავედით ბალტიის ლიგის ოთხთა ფინალში და დავიკავეთ მესამე ადგილი, რაც აქამდე ვერც ერთმა ესტონურმა გუნდმა ვერ მოახერხა. "ჟალგირისისა" და "ლიეტუვის რიტაისის" შემდეგ ბალტიისპირეთში მესამე ადგილის დაკავება სერი-

ოზული შედეგია. სხვათა შორის, ოთხთა ფინალში გასასვლელად "კალევი" ტალინში დავამარცხებთ. ჩემთვის ეს იყო გასული სეზონის ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი. სერიაში ანგარიში 1:1 იყო. გადამწყვეტი შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 8 ქულას ვაგებდით და საბოლოოდ გავიმარჯვეთ. გადამწყვეტ წუთებში დიდებულად ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ.

**- "როკთან" კონტრაქტი დაგიმთავრდა. ახლა რას აპირებ?**

- მომავალი გაურკვეველია. ჯერ არ ვიცი, სად გავაგრძელო კარიერას. ესტონეთში სამი სეზონი ვითამაშე და კარგი გამოცდილება მივიღე. ახლა მინდა უფრო ძლიერ გუნდში მოვსინჯო ძალა. მენეჯერი მპირდება, რომ მსურველები გამოჩნდებიან და მეც ველოდები.

**- ახალი კლუბის ძებნა საქართველოს ნაკრებთან მომზადებაში ხომ არ შეგიშლის ხელს?**

- შესაძლოა, რამდენიმე დღით გასინჯვებზე მომიწიოს წასვლა, თუმცა არა მგონია, ამის გამო რაიმე პრობლემა შემექმნას ან მე, ან ნაკრებს.

**- ნაკრების შანსებზეც გკითხავ. როგორ ფიქრობ, მოვახერხებთ A დივიზიონში გადასვლას?**

- კარგი შანსი გვაქვს, რომ ყველა თამაში მოვიგოთ და პლეი-ოფში ჩერნოგორიას ავცდეთ. მჯერა, რომ ელიტაში გადავალთ. ნახევარი გზა წარმატებით გავიარეთ და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. ნაკრების მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი მე და სანიკიძეს რამდენჯერმე შეგვეხმინა და მოგვიკითხა.

**საქართველოს კალათბურთის ფედერაცია**



### ხიზანიშვილის შემდეგი გარეგანი - სტამბული

ინგლისური "ბლექბერნი" სტამბულის "გალათასარაის" შეუთანხმდა, რომ ზურაბ ხიზანიშვილს თურქულ კლუბში გაუშვებს, თუ ქართველი მცველიც თანახმა იქნება. კონტრაქტის დეტალებზე მოლაპარაკება მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა თანდათან რეალური ხდება, რომ მომავალში ხიზანიშვილს სტამბულის გრანდში ვიზილავთ - ინგლისურ "ბლექბერნი" სათადარიგო სკამზე ჯდომას თურქეთში თამაში სჯობს.

ბოლო დროს "გალათასარაიმ" შემადგენლობის გაძლიერების საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი და მწვრთნელად ჰოლანდიელი რაიკარდის დანიშვნის შემდეგ "გალას" დირექტორი ემრე გუნგორი ახალ ტრანსფერებში მილიონების დახარჯვას აპირებს. ფრანკ რაიკარდის ამბიციებს ხომ დაკმაყოფილება სჭირდება.

### უსინათლოებმა ჭადრაკსა და შაშხის ტურნირი დაასრულეს

საქართველოს უსინათლოთა კავშირის ფონიჭალის კულტურის სახლში უსინათლო სპორტსმენებს შორის დასრულდა თბილისის ტურნირი ჭადრაკსა და შაშხი.

ტურნირში მონაწილეობდა 30 უსინათლო ადამიანი.

გამარჯვებულებს დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში დააჯილდოებენ.

ტურნირის ორგანიზატორი, საქართველოს პარალიმპიურ კომიტეტთან ერთად, იყო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს, თასებთან და მედლებთან ერთად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ დანესებული ფასიანი საჩუქრებიც გადაეცემა.

### კანავერო ტრავმირებულია

ტრავმის გამო იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი ფაბიო კანავერო კონფედერაციის თასზე აშშ-სთან მატჩში ვერ ითამაშებს. მას წვივის ორთავა კუნთი აქვს დაჭიმული. "სკუადრა აძურას" ექიმების განცხადებით, შესაძლოა, ტურნირის სხვა მატჩებშიც ვერ ითამაშოს. ამ დაზიანების მიზეზით, კანავერომ ახალ ზელანდიასთან ამხანაგურ თამაშშიც ვერ მიიღო მონაწილეობა და გუნდის ბოლო ორმხრივი მატჩიც გამოტოვა. კონფედერაციის თასზე იტალია ჯგუფში ბრაზილიასთან, ეგვიპტესთან და აშშ-სთან ერთად მოხვდა. მეორე ჯგუფში სამხრეთ აფრიკა, ერაყი, ახალი ზელანდია და ესპანეთი გამოდიან.

### მეტის შეძენის სურვილი

კაკასა და კრიშტიან რონალდუს შეძენის შემდეგ "რეალის" ხელმძღვანელობა შეჩერებას არ აპირებს. "რეალის" ახალი მთავარი მწვრთნელი მანუელ პელეგრინი აცხადებს, რომ მისი კლუბი სასურველი ფეხბურთელების შესაძენად ფულს არ დაიშურებს. "ჩვენ იმ მოთამაშეთა რიცხვი არ განგვისაზღვრავს, რომელთა შეძენასაც ვაპირებთ. უბრალოდ, უნივერსალური გუნდის შექმნას ვცდილობთ. მომავალ სეზონში "რეალს" სამ ტურნირში მოუწევს თამაში და ჩვენ არც ერთის წაგების უფლება არ გვაქვს. სავარაუდო ტრანსფერებზე სჯობს არ ვისაუბრო, რადგან ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი," - აცხადებს პელეგრინი, რომლის კომენტარსაც Sky Sports-ი ავრცელებს.

### შეთანხმება არ შედეგა

ჯერჯერობით ფლორენტიანო პერესი მესამე ვარსკვლავის ყიდვას ვერ ახერხებს. დავიდ ვილიას ტრანსფერის საკითხი კვლავ ღია რჩება. "რეალისა" და "ვალენსიას" მესვეურთა მოლაპარაკებების მეორე რაუნდიც უშედეგოდ დასრულდა. ვალენსიელები ფეხბურთელიში 50 მილიონ ევროს ითხოვენ, "სამეფო კლუბი" კი მხოლოდ 42 მილიონის გადახდაზე თანახმაა.

პერესის ისიც გაცხადებული აქვს, რომ 50 მილიონ ევროზე მეტს მხოლოდ ორ ფეხბურთელში - ინტერულ ზლატან იბრაჰიმოვიჩსა და ლივერპულელ ფერნანდო ტორესში გადაიხდის.

### "პატარა ბუდას" ახალი კონტრაქტი შესთავაზეს

"პატარა ბუდას" წოდებულ ივან დე ლა პენიას "ესპანიოლის" მესვეურებმა ახალი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზეს და უახლოეს დღეებში ფეხბურთელისგან პასუხს ელოდებიან.

ესპანური AS-ს მიერ გავრცელებული ცნობით, დე ლა პენიას შექმნა სურს მოსკოვის "სპარტაკსაც", რომელიც 33 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 1 მილიონი ევროს გადახდას აპირებს.

## "ლეიკარსმა" გვირგვინი დაიდგა

საკალათბურთო სეზონი ოკეანისმილმაც დასრულდა. NBA-ს ჩემპიონის ტიტული "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" მოიგო. ზუსტად ერთი წლის წინ ფილ ჯექსონის გუნდი "ბოსტონიან" ჭიდილში დამარცხდა და ჩემპიონის ბეჭდები ბოსტონელებს დაუთმო. მაშინ "სელტიკისი" ჯადოსნურმა სამკუთხედმა - პოლ პირსი, კევინ განტეი, რეი ალენი - შანსი არ დაუტოვა კობი ბრაიანტს და კომპანიას. თუმცა "ლეიკერსმა" დაამტკიცა, რომ ლიგის ისტორიაში ყველაზე სტაბილური გუნდია, კიდევ ერთხელ გავიდა ფინალში და ამჯერად უკვე თავად გადაუარა მეტოქეს. ორლანდოელი "ჯაქსონები" "ლეიკერსის" ფონზე საერთოდ არ ჩანდნენ, ფინალური სერია კი სულ ხუთ თამაშამდე გაგრძელდა.



კალიფორნიელი ტრიუმფი

კობი ბრაიანტი, რომლისთვისაც მატჩში 30 ქულის დაგროვება ჩვეულებრივი ამბავია, ფინალური სერიის MVP-დ დაასახელეს. ფილ ჯექსონი კი ლი-

გის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ მწვრთნელად აღიარეს. მას უკვე ათჯერ აქვს მოგებული NBA-ს ჩემპიონის ტიტული - ექვსჯერ "ჩიკაგო ბულ-

სთან" ერთად და ოთხჯერ "ლეიკერსის" შემადგენლობაში. ამ მაჩვენებლით ჯექსონმა ლეგენდარულ მწვრთნელს რადე აუერბახს გაასწრო. ფინალის

შემდეგ ჯექსონმა აღნიშნა, რომ სწორედ აუერბახს უძღვნის ამ გამარჯვებას და მის პატივსაცემად ერთ სივარასაც გააბოლებს.

## ზიზინი მონბლანზე გოლი გაიტანა

ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი ბოლო ხანს აქტიურ ცხოვრებას ეწევა. ზიზუ, როგორც ჩანს, ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს და ქველმოქმედებისთვისაც იცლის. ამას წინათ ფრანგმა ვარსკვლავმა მორიგი მწვერვალი დაიპყრო - ამჯერად პირდაპირი მნიშვნელობით. ზიზუ ევროპის უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე ავიდა. მწვერვალის დაპყრობა საქველმოქმედო მიზნებში შედიოდა. ამით ზიდანს და მის თანამოაზრეებს უნდოდათ საზოგადოების ყურადღება მიექციათ ლეიკოდისტროფიით დაავადებული ბავშვების მიმართ.



ზინედინ ზიდანი მონბლანზე

აღსანიშნავია, რომ მწვერვალზე საფეხბურთო კარი დადგეს და ზიდანმა სიმბოლურად გოლი გაიტანა. რაც შეეხება ფრანგის საფეხბურთო საქმიანობას, "რეალის" ახალმა პრეზიდენტმა ფლორენტიანო პერესმა ზიზუ საკუთარ მრჩეველად დანიშნა. ახლა ზიდანი იმით არის დაკავებული, რომ "რეალში" ფრანკ რიბერის გადაბირებას

ლაშობს. "ფრანკთან მოლაპარაკებას ვმართავ, - განუცხადა ზიდანმა ერთ-ერთ ფრანგულ გამოცემას, - ის ფანტასტიკური ფეხბურთე-

ლია, რომელიც "რეალს" ჩინებულად მოერგებოდა. ამ კლუბში თამაში ისეთი შესაძლებლობაა, რომელზეც უარი არ უნდა თქვა. ეს მისთვის საუცხოო შანსია. ახლა ყველაფერი მასზე დამოკიდებულია. მჯერა, რომ უარს არ იტყვის."

"ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ის გადმოსვლაზე დაგვთანხმდება, - ეს კი მსოფლიოს სამგზის საუკეთესო მოთამაშემ ესპანელ რადიოჟურნალისტთან საუბრისას თქვა, - ეს კლუბისთვის დიდებული სიახლე იქნებოდა და მას მეც უდიდესი სიხარულით მივიღებდი."


ერთხანს "რეალმა" თითქოს ხელი ჩაიჭინა რიბერის შეძენაზე, თუმცა ეს, ეტყობა, დროებითი მოვლენა იყო. მას შემდეგ, რაც "სამეფო კლუბმა" კაკა და რონალდუ იყიდა, რიბერის ჯერიც დადგა.

## სარედოვა - ყველაზე საქსუალური ცოლი

თაა დოლიძე

ფრანგული ჟურნალის Le Dessous du Sport-ის მიერ შედგენილი რეიტინგით, ჩეხი სუპერმოდელი ალენა სერედოვა ფეხბურთელთა ცოლებს შორის ყველაზე სექსუალურია. "იუვენტუსის" მეკარის ჯან ლუიჯი ბუფონის მეუღლე 2877 ადამიანმა ყველაზე სასურველად ცნო.

საინტერესოა თავად სერედოვას აზრი ასევე სექსიმბოლოდ აღიარებულ ფეხბურთელზე. 1998 წლის ვიცე მის ჩეხეთი აღიარებს, რომ ქმარს მხოლოდ ბურთის ჭერის დროს თვლის მიმზიდველად და მხოლოდ ამ დროს გულშემატკივრობს.



ჯანლუიჯი ბუფონის თანამეცხედრე ყველაზე სექსუალურად აღიარეს

თუმცა, როგორც ქალი ვაღიარებ, რომ ყველაზე მეტად მოედანზე სათადარიგო მოთამაშეები მიზიდავს. ფაბიო კანავაროსა და მარკო ბორელის ყურებას არაფერი მირჩევნია", - ამბობს ყველაზე მიმზიდველი ჩეხი მოდელი.

მეორე ადგილი მსოფლიოში

ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელის კრიშტიანო რონალდოს ყოფილ საყვარელს ნერეიდა გალიარდოს ერგო. სამეფო კი მარსელის "ოლიმპიკის" ბუდებინ ზენდენის ცოლმა კლიომ დაასრულა.

წლები განმავლობაში ყველაზე სექსუალური ფეხბურთე-

ლების მეუღლეების რეიტინგი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. მაგალითად, ჯგუფ Girls Aloud-ის სოლისტი შერილ ქროუ, რომელიც "ჩელსის" მცველის ემლი კოულის მეორე ნახევარია, ჟურნალის მონაცემებით, მხოლოდ მეხუთეზე გავიდა. არადა, შერილი არც ისე

დიდი ხნის წინ პირველი ინგლისელი ქალი იყო, რომელიც, ჟურნალ FHM-ის მონაცემებით, სათავეში ედგა რეიტინგს.

საზოგადოებისთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა ვიქტორია ბექჰემისთვის მიცემული ხმების მცირე რაოდენობა. მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული ბრიტანელი ფეხბურთელის მეორე ნახევარი მეთაე ადგილს დასჯერდა. მთლიანად Le Dessous du Sport-ის მკითხველთა არჩევანი ასე განაწილდა:

1. ალენა სერედოვა
2. ნერეიდა გალიარდო
3. კლიო ზენდენი
4. ვანდა ნარა
5. შერილ კოული
6. სილვია ვან დერ ბარტი
7. დანიელ ლოიდი
8. ევა გონსალესი
9. სარა ბრენდერი
10. ვიქტორია ბექჰემი
11. მარია პაუი
12. ვახიბა რიბელი
13. კოლინ რუნი
14. ნივეს ცელსიუსი
15. სიუზანა ვერნერი
16. იანინა



# როგორ უზენაესად რეაგირებ

მსოფლიოს საზოგადოებრივ სამყაროს რეიტინგში მონაწილეობა მათთვის უზენაესად მნიშვნელოვანია. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი უზენაესად რეაგირებენ. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი უზენაესად რეაგირებენ. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი უზენაესად რეაგირებენ.



საფინა და ნადალი ოცნებებს უდგანან სათავეში

იმ შემთხვევაში, თუ უიმბლდონის ჩემპიონი რაფაელ ნადალი 22 ივნისიდან 5 ივლისამდე უიმბლდონს ნახევარფინალამდე გამოეთიშება, ხოლო ფედერერი ტურნირს მოიგებს, მსოფლიოს პირველ ჩოგანს რაფაელ ნადალს შვეიცარიელთან 6 ივლისის რეიტინგში როქის გადათამაშება მოუწევს, ხოლო თუ მიურეი საკუთარ კედლებში გაიმარჯვებს, მაშინ მსოფლიოს მესამე ჩოგანი გახდება პირველი ალბიონელი, რომელიც 1936 წლის შემდეგ ბრიტანელს უიმბლდონზე გამარჯვებას გაახსენებს (მორეულ 30-იან წლებში უიმბლდონი ფრედ პერიმ მოიგო). ნარმატების შემთხვევაში მიურეი ფედერერს მეორე ადგილიდან ჩამოაწვდის.



რაც შეეხება ქალებს, მნიშვნელოვანი ცვლილება მათ ოცნებებს ქვევით განიცადეს.

- ვაჟები:
- (1) რაფაელ ნადალი (ესპანეთი).....12735
  - (2) როჯერ ფედერერი (შვეიცარია).....10620
  - (3) ენდი მიურეი (დიდი ბრიტანეთი).....9230
  - (4) ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი).....7860
  - (5) დელ პოტრო (არგენტინა).....5730
  - (6) ენდი როდიკი (აშშ).....4310
  - (7) ჟილ სიმონი (საფრანგეთი).....3970
  - (8) ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი).....3710
  - (9) ჟო-ვილფრიდ ტონგა (საფრ.).....3510
  - (10) ფერნანდო გონსალესი (ჩილე).....3165
  - (11) ნიკოლაი პიტილიძე (რუსეთი).....2855
  - (12) რობინ სოდერლინგი (შვედეთი).....2825

- (13) მარინ ჩილიჩი (ხორვატია).....2780
- (14) გაელ მონფისი (საფრანგეთი).....2610
- (15) ტომი რობრედო (ესპანეთი).....2580
- (16) დავიდ ნალბანდიანი (არგენტ.).....2385
- (17) ჯეიმს ბლეიკი (აშშ).....2340
- (18) სტანისლავ ვავრინკა (შვეიც.).....2195
- (19) დავიდ ფერერი (ესპანეთი).....2130
- (20) რიშარ გასკე (საფრანგეთი).....1925

- ქალები:
- (1) დინარა საფინა (რუსეთი).....9801
  - (2) სერენა უილიამსი (აშშ).....8158

- (3) ვინუს უილიამსი (აშშ).....7217
- (4) ელენა დემენტიევა (რუსეთი).....6591
- (5) სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი).....6191
- (6) ელენა იანკოვიჩი (სერბეთი).....6100
- (7) ვერა ზვონარევა (რუსეთი).....5360
- (8) ვიტორია აზარენკო (ბელარუსი).....4746
- (9) კაროლინ ვოზნიაცი (დანია).....4350
- (10) ნადია პეტროვა (რუსეთი).....3760
- (11) ანა ივანოვიჩი (სერბეთი).....3411
- (12) მარინა ბარტოლი (საფრ.).....3285
- (13) ანა ივანოვიჩი (სერბეთი).....3172
- (14) დომინიკა ციბულკოვა (სლოვ.).....3065
- (15) ფლავია პენეტა (იტალია).....2860

- (16) ჩენ ცზე (ჩინეთი).....2631
- (17) ამელი მორესმო (საფრანგეთი).....2549
- (18) სამანტა სტოსური (ავსტრალია).....2402
- (19) ნა ლი (ჩინეთი).....2312
- (20) ანაბელ მედინა (ესპანეთი).....2140

### ჩემპიონთა რბოლა

- დინარა საფინა (რუსეთი).....5571
- სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი).....4101
- სერენა უილიამსი (აშშ).....3957
- ვიტორია აზარენკო (ბელარუსი).....3340
- ელენა დემენტიევა (რუსეთი).....3015
- კაროლინ ვოზნიაცი (დანია).....2750
- ვერა ზვონარევა (რუსეთი).....2520
- ვინუს უილიამსი (აშშ).....2205
- ელენა იანკოვიჩი (სერბეთი).....1730
- მარინ ბარტოლი (საფრანგეთი).....1602
- ანა ივანოვიჩი (სერბეთი).....1600
- დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი).....1567
- სამანტა სტოსური (ავსტრალია).....1533
- ვიტორია აზარენკო (ბელარუსი).....1467
- ამელი მორესმო (საფრანგეთი).....1436
- ნა ლი (ჩინეთი).....1272
- კარლა სუარეს ნავარო (ესპანეთი).....1261
- ანაბელ მედინა (ესპანეთი).....1172
- ელენა ვესნიჩა (რუსეთი).....1097

შენიშვნა: ვაჟთა ტურში ჩემპიონთა რბოლა "მსოფლიო რეიტინგისას" შეერწყა. ქალთა ტურში კი ქულათა დარიცხვის ეს ორი სისტემა კვლავაც განცალკევებულია.

# ფელსი მარინიანის შედეგებს იმის

ორი გაცურვა და ორი ნაგე-ბა. ყველაზე ტიტულოვანმა ოლიმპიელმა, ცურვაში თოთხმეტჯგის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაიკლ ფელსმა სანტა-კლარეს ტურნირზე უჩვეულოდ ნარუმატებელი გამოსვლით საზოგადოება შოკში ჩააგდო.



მაიკლ ფელსმა ორი გაცურვა ნააგო

პირველი მარცხი ფელსმა კანადელ ბრენტა ჰეიდენთან მისთვის საყვარელ - 100-მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში იგემა. ფელსმა ვერც რაიან ლოპტთან გულადმა ცურვაში გაიმარჯვა. შედეგად, პეკინში რვა ოქროს მედლის მომპოვებელმა (ცურვაში ერთბაშად რვა ოქროს მედალი არავის მოუპოვებია. ფელსამდე მსგავსი რეკორდი ეკუთვნოდა ასევე ამერიკელ მოცურავს მარკ სპიცს, რომელმაც მიუნხენის ოლიმპიურ აუზში შვიდი ოქრო დაისაკუთრა) რვა გაცურვიდან ოთხი ნააგო.

ადგილზე დამოკიდებული, - აღნიშნა ჰეიდენმა ფელსთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ. სპეციალისტთა ვარაუდით, ოლიმპიელის კარიერაზე გავლენა მოახდინა დისკვალიფიკაციამ - არც ისე დიდი ხნის წინ ჟურნალ News of the world-ში გამოქვეყნებული სკანდალური ფოტოების გამო, რომლებზეც ამერიკელი მოცურავე მარინიანით ხელშია აღბეჭდილი, ფელსს სამი თვით აეკრძალა შეჯიბრებაზე გამოსვლა.

ფოტოების გამო, რომლებზეც ამერიკელი მოცურავე მარინიანით ხელშია აღბეჭდილი, ფელსს სამი თვით აეკრძალა შეჯიბრებაზე გამოსვლა.

მოსახდენი მოხდა დაახლოებით ასეთი კომენტარი გააკეთა სერ ალექს ფერგიუსონმა კრიტიკულად რონალდუს ტრანს-ფერზე. "რონალდუს ნასვლა უნდა. ასეთია ახლანდელი სიტუაცია. ადრე თუ გვიან, ის "რეალში" გადავიდოდა. ჩვენი დამსახურებაა, რომ ის კლუბში რამდენიმე წლის განმავლობაში შევიწინარჩუნეთ", - აღნიშნა სერ ალექსმა.

### სისოკო "მილანში" გადავიდა

"მილანის" მესვეურებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ მომავალი სეზონიდან გუნდს "პორტუს" მცველი ალი სისოკო გააძლიერებს.

"მოლაპარაკება მძიმედ წარიმართა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, კლუბებს შორის მეგობრობამ თავისი გაიტანა და შეთანხმებას მივალნიეთ. თუმცა, არც იმას დავმალავ, რომ სისოკოს შექმნა სხვა არაერთ ევროპულ გუნდაც უნდოდა", - აღნიშნა "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანომ.

ცოტა ხნის წინათ გავრცელებული ცნობის თანახმად, სისოკო "მილანთან" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ყოველწლიურად ერთ მილიონ გირვანქას მიიღებს. გარდა ამისა, შეთანხმების მიხედვით, წარმოშობით სენეგალელ ფეხბურთელთან ერთად "მილანის" მიერ მოგებული ყოველი ჯილდოსთვის "პორტუს" ერთ მილიონ გირვანქას მიიღებს.

### პირსმა ინგლისის ახალგაზრდული ნაკრები ჩაიხარა

ინგლისის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი სტიუარტ პირსი, ფეხბურთის ფედერაციასთან მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, გუნდს 2011 წლამდე უხელმძღვანელებს.

"ინგლისის ფეხბურთის ფედერაციასთან სიტყვიერ შეთანხმებას მივალნიეთ და უახლოეს ხანში ახალ კონტრაქტს გავაფორმებ. ორი წლის განმავლობაში ეს სამუშაო შევიწყვარე. გარდა ამისა, სწავლის საშუალებაც მქონდა. ჯერ კიდევ იმ ადამიანად ვთვლი თავს, რომელმაც ცოდნა უნდა გაიღრმავა. მით უმეტეს, მუდმივად მიწვევს ურთიერთობა ფაბიო კაპელისთან, რაც ძალიან მუხმარება. ურთიერთობა მაქვს ინგლისის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელებთანაც," - განაცხადა პირსმა.

### "ჩელსი" ჟუანის შექმნას ლამობს

"რომას" ბრაზილიელი მცველის ჟუანის გადაბირებით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის ლონდონის "ჩელსიც". მაისში ჟუანმა, რომელიც 2007 წელს ლევინგუზენის "ბაიერიდან" "რომასში" გადავიდა, იტალიურ კლუბთან ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### "იები" გაძლიერებას ელიან

ფლორენციული "ფიორენტინა" მომავალი სეზონისთვის ესპანური გრანდების ხარჯზე აპირებს გაძლიერებას. "იებს" მადრიდის "რეალის" არგენტინელი ნახევარმცველის გაგოს და "ბარსელონას" მექსიკელი მცველის მარკესის გადაბირება სურთ.

### კრაუჩი "ტოტენჰემში"

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, პიტერ კრაუჩი "პორტსმუთს" დატოვებს და "ტოტენჰემში" გააგრძელებს კარიერას. "დეზები" ინგლისის ნაკრების ფორვარდში 8 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას აპირებენ.

### ფაბრეგასს "ბარსელონაში" უნდა თამაში

ლონდონის "არსენალის" ლიდერი სესკ ფაბრეგასი არ მალავს, რომ "ბარსელონაში" თამაში სურს. ფეხბურთელმა ისიც კი თქვა, რომ თუ კატალონიური გრანდი მიიწვევს, ის დიდი საამოვნებით მიიღებს ამ ნინადადებს. "ბარსელონასგან" მიღებული შემოთავაზება ჩემთვის განსაკუთრებული იქნება, მაგრამ ასევე ყველაფერი გასაგებია ჩემს ახლანდელ გუნდთან დაკავშირებით - გასული სეზონის შუა პერიოდში "არსენალმა" კაპიტნობა მომანდო, რაც დამატებით პასუხისმგებლობას მაკისრებს. ამავე დროს, როგორც "მეთოფეთა" კაპიტანს, რაიმე ტიტულის მოგება მინდა, თუმცა, თუ გვარდიოლა მიხმობს, ეს ნამდვილად აღმაფრთოვანებს", - ამბობს ფაბრეგასი. ასე რომ, ახლა ჯერი "ბარსელონაზეა". ამ კლუბის მესვეურები არ მალავდნენ, რომ საკუთარი სკოლის აღზრდილის შექმნა სურდათ, თუმცა აქამდე ფაბრეგასი "არსენალის" დატოვებაზე არ საუბრობდა.

### კუმანი კმაყოფილია

ჰოლანდიური "ალკმარის" მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა თავის ახალ გუნდთან ერთად პირველი ვარჯიში ჩაატარა.

"ძალიან საინტერესო სეზონი გველის. ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა გვაძლავს, რომ მას მოუთმენლად დაველოდოთ ყველა: მოთამაშეები, მწვრთნელები, მთელი საკლუბო პერსონალი და, რა თქმა უნდა, ქომაგები", - დასძინა ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა მცველმა, რომლის კომენტარი უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.



**elite** 2009  
MODEL LOOK  
GEORGIA

**GET TO THE TOP**  
2009

**დაიწყარი მწვერვალი!**  
**გახდი მოდელი!**

საპრიზო ფონდი  
**\$325 000**

**ჩვენი საქმიანობის პრიორიტატი ქალის ჯანმრთელობაა !**  
**თავი დაიცავით სარკვე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან !!!**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარკვე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარკვე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით. გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20  
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)  
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007



**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურსს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ღინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმუხი, კლავდია შიფეჩი, სინდი კიოუფოიგი - მათ აიხრის Elite Model Look-ი და გახდენ კოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პიხველი ნაბიჯი კოპ მოდელობისაკენ!



გამაჩვენებელი გაემგზავნება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **\$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლებენ სააგენტო ელიტთან და ნახმაკებით აჩვენებენ საერთაშორისო სამოდელო კაჩიხას.



Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008



**ინჟარეთ! გაიარეთ რეზისტანცია!**

მისამართი: ნიკო ნოღაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge



**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:  
ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სკოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20  
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)  
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

**24 საათი** **The New York Times** **Weekend**  
Articles selected for **24 საათი** **1 მარტიდან**

საჯალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით	52 ლარი;
6 თვით	26 ლარი;
3 თვით	13 ლარი;
1 თვით	4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;





# საუკეთესო ამერიკული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.  
☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)

სერვის პარტნიორი  
თეატა მოტორსი

2009 წლის 15 ივნისის შპს თბილმეურნეობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები შემდეგი რედაქციით:

შ.პ.ს. "თბილმეურნეობა"(მისამართი: ორთაჭალის ქუჩა N4) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის N10-54 გადაწყვეტილებით "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული სანარმოების ბალანსზე რეცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" დამტკიცებული დებულების საფუძველზე აცხადებს აუქციონს მის კაპიტალში რეცხული უძრავი ქონების რეალიზებაზე.

### აუქციონის პირობები:

**ლოტი N1** - ყოფილი თბოსადგური 32 (ნაკვეთი N1), მის.: ნუცუბიდის 3 მ/რ, 1060კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 297 კვ.მ არასაცხოვრებელი შენობა- ნაგებობა(საკადასტრო კოდი N01.14.02.011.013).

საწყისი სარეალიზებო ღირებულება - 76485 ლარი;

"ბე"-ს ოდენობა - 38243 ლარი;

აუქციონის ბიჯი - 1000 ლარი;

მონაწილის ბილეთის საფასური - 100 ლარი.

**ლოტი N2** - ყოფილი თბოსადგური 32 (ნაკვეთი N2), მის.: ნუცუბიდის 3 მ/რ, 3652კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 857,94 კვ.მ არასაცხოვრებელი შენობა- ნაგებობა(საკადასტრო კოდი N01.14.02.011.012).

საწყისი სარეალიზებო ღირებულება - 260305 ლარი;

"ბე"-ს ოდენობა - 130153 ლარი;

აუქციონის ბიჯი - 3000 ლარი;

მონაწილის ბილეთის საფასური - 100 ლარი.

**ლოტი N3** - ყოფილი თბოპუნქტი, მის.: ზუდადოვის ქ N3, 69კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 66 კვ.მ არასაცხოვრებელი შენობა- ნაგებობა(საკადასტრო კოდი N1/16/2/2/24).

საწყისი სარეალიზებო ღირებულება - 12293 ლარი;

"ბე"-ს ოდენობა - 6147 ლარი;

აუქციონის ბიჯი - 300 ლარი;

მონაწილის ბილეთის საფასური - 100 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადები მიიღება განცხადების პრესაში გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 15 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით. აუქციონი გაიმართება 15 ივლისს 16 საათზე შემდეგ მისამართზე: ორთაჭალის ქუჩა N4, მე-2 სართული.

აუქციონში მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, სააუქციონო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

### იურიდიული პირებისათვის:

-ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

-პირადობის მონმობის ასლი;

-ნოტარიულად დამონმებული მინდობილობა თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

-სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდების) დამონმებული ასლი;

-"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

-ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

### ფიზიკური პირებისათვის:

-პირადობის მონმობის ასლი;

-ნოტარიულად დამონმებული მინდობილობა თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

-"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

-ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

აუქციონში მონაწილეობისათვის "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

ს.ს "კორ-სტანდარტ ბანკი

ბანკის კოდი N220101495

ანგარიშსწორების ანგარიში N4137052

საიდენტიფიკაციო კოდი N203826011

შპს "თბილმეურნეობა"

დამატებითი ინფორმაცისა და დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მისამართზე: ქ.თბილისი, ორთაჭალის ქუჩა N4, ტელ.: 45-74-03, 45-74-07. შპს "თბილმეურნეობა".

## დაზუსტება

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნებო დანესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის 11 ივნისს, გაზეთ "24 საათში" (N129) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებებში, რომლებიც შეეხება შემდეგი სამუშაოების შესყიდვას:

1. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ.9-კმ.13 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოხატაური-ზომლეთის საავტომობილო გზის კმ.2-კმ.3 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წალენჯიხა-წალენჯიხის ეკლესიასთან მისასვლელ საავტომობილო გზის კმ.1-კმ.1.5 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თბილისი-თიანეთის (თიანეთის ცენტრი) საავტომობილო გზის კმ.61-კმ.62 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შულავერი-ნითელი ხიდის საავტომობილო გზის კმ.7-კმ.11 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მეთერთმეტე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

11. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

შესაძლებელია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა. ალტერნატიული წინადადება უნდა იყოს დასაბუთებული და სრულყოფილი, შესაბამისი ნახაზებით და გაანგარიშებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ ის არ განიხილება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის  
სატენდერო კომისია





საქმე № 2/5352-07



დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საპარტვილოს სახელით

28 მაისი 2009 წელი

თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის

მოსამართლე: ეკატერინე ცისკარიძე

სხდომის მდივანი: თამარ გაგუა

მოსარჩელე: ქეთევან პაპიაშვილი

წარმომადგენელი: ნინო ბეგლარაშვილი

მოპასუხე: ვაზგენ შადიკიანი

დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომზე მოსარგებლის უფლებამონაცვლედ აღიარება და სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა საბაზრო ღირებულების 10 %-ის გადახდის სანაცვლოდ.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 ნოემბერს სარჩელით მიმართა ქეთევან პაპიაშვილის სახელით მოშე საპირმა ნაპოლეონ შადიკიანის წინააღმდეგ საცხოვრებელი სადგომის უფლებამონაცვლედ მოსარგებლედ აღიარების თაობაზე.

მოსარჩელის წარმომადგენლის მოშე საპირის განმარტებით მისი მარწმუნებლის დედა სიმბა აჯიაშვილი, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი 1950 წლიდან სარგებლობის უფლებით ფლობდა მოპასუხის საცხოვრებელ სადგომს მათივე თანხმობითა და ნორტირულად გაუფორმებელი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. საცხოვრებელი სახლის 2/3 ფართით 75.5 კვ.მ ოთხი ოთახი ირიცხებოდა ნაპოლეონ შადიკიანზე, ხოლო 1/3 სამი ოთახი (№10, №11, №12) საერთო ფართით 53.95 კვ.მ. ჩაწერილი იყო და თავის ორ შეიღთან ერთად ეკავა სიმბა აჯიაშვილს, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ე.წ. „ატსტუპნიკის“ უფლებით. მოპასუხე ცდილობდა გამოესახლებინა სიმბა აჯიაშვილი დაკავებული საცხოვრებელი სადგომიდან, თუმცა უშედეგოდ, ხოლო კიროვის რაიონის სასამართლოს 1984 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხეს უარი ეთქვა საჯიაშვილის გამოსახლებაზე. მოსარჩელის განმარტებით აღნიშნულ გადაწყვეტილებით დასტურდება ის ფაქტი, რომ სიმბა აჯიაშვილმა მოპასუხის მამისგან სტეფანე შადიკიანისგან 13 000 მანეთად შეიყიდა საცხოვრებელი სადგომი ზემოაღნიშნულ მისამართზე საცხოვრებელი ოთახები №11 და №12 საერთო

ფართით 32.14 კვ.მ. და ჩაეწერა კიდევ. საჯიაშვილმა აღნიშნული ფართის თავის სახელზე დარეგისტრირება ვერ მოახერხა საყოველთაოდ ცნობილი რეჟიმის გამო, მაგრამ ფლობდა და სარგებლობდა თავის ოჯახთან ერთად, როგორც საკუთარ ქონებას. სიმბა აჯიაშვილი 1996 წელს გაემგზავრა ისრაელში სამკურნალოდ და 2002 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო საცხოვრებელი სადგომის მდებარე ქობილისში ანტონ კათალიკოსის ქ.№6 შეიღზე გადაფორმება. ვინაიდან ქეთევან პაპიაშვილს მოპასუხეები ხელს უშლიან დედის საცხოვრებელ სადგომით სარგებლობაში და არსებობს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტიურად დაკარგვის საშიშროება, მოსარჩელემ მოითხოვა მამკვიდრებლის საცხოვრებელ სადგომზე უფლებამონაცვლედ-მოსარგებლედ ცნობის აღიარება-დადასტურება ქობილისში ანტონ კათალიკოსის ქ.№6 მდებარე №11 და №12 ოთახებზე ფართით 32.14 კვ.მ. რომელიც თანასაკუთრების უფლებით ირიცხება მოპასუხეთა სახელზე.

2008 წლის 4 იელისს მოსარჩელემ გაზრდილი სასარჩელო განცხადებით მომართა სასამართლოს, მოპასუხედ მიუთითა აწ გარდაცვლილი ნაპოლეონ შადიკიანის მემკვიდრე ვაზგენ შადიკიანი, ხოლო სარჩელში მიუთითა, რომ ქეთევან პაპიაშვილის დედას სიმბა აჯიაშვილს 1958 წლიდან ეკავა და სარგებლობდა მდგმურის უფლებით ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე №10 ოთახს, ხოლო 1971 წელს 13000 მანეთად შეიძინა იმავე მისამართზე არსებული №11 და №12 ოთახები, საერთო ფართით 32.14 კვ.მ. შადიკიანებსა და სიმბა აჯიაშვილს შორის წარმოიშვა დავა, რაზეც არსებობს სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება. მოსარჩელის განმარტებით აღნიშნული გადაწყვეტილებით კარგად ჩანს რომ საჯიაშვილმა აღნიშნული ოთახები შეიყიდა მოპასუხის მამის და ბაბუის თანხმობით, ასევე დასტურდება ისიც, რომ შადიკიანები ხელონურად ქმნიდნენ ბინის ქირის მიუღებლობის ფაქტს, რის გამოც საჯიაშვილის მიერ ბინის ქირა ჩარიცხული იქნა სასამართლოს დეპოზიტზე. მოსარჩელემ გაზრდილი სასარჩელო განცხადებით მოითხოვა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი, მე-2, მე-4,

მე-7 პუნქტების და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 571-ე მუხლის საფუძველზე ქობილისში, აკათალიკოსის ქ.№6-ში მდებარე №10, №11 და №12 ოთახებზე მესაკუთრედ ცნობა მოპასუხისათვის საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10% გადახდის სანაცვლოდ.

2008 წლის 14 აპრილის განჩინებით თავდაპირველი მოპასუხე ნაპოლეონ შადიკიანი შეიცვალა სათანადო მოპასუხით ვაზგენ შადიკიანით.

მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე 2009 წლის 03 აპრილის განჩინებით მოპასუხე ვაზგენ შადიკიანს საჯარო შეტყობინების გზით ეცნობა სარჩელის არსებობის თაობაზე, ხოლო 2009 წლის 5 მაისის განჩინებით სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით მოპასუხე ვაზგენ შადიკიანს ეცნობა სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშნვის თაობაზე და გამოუცხადებლობის შედეგებზე გაფრთხილებული იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2009 წლის 28 მაისს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე ვაზგენ შადიკიანი, რომელსაც შეტყობინება სხდომის დღის, დროისა და ადგილის შესახებ ეცნობა საქართველოს სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადებულმა მოსარჩელე ქეთევან პაპიაშვილის წარმომადგენელმა ნინო ბეგლარაშვილმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის და სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო.

სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩათვალა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა რა სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნია, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 236-237-ე მუხლებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქეთევან პაპიაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. დაეკისროს ქეთევან პაპიაშვილს მოპასუხე ვაზგენ შადიკიანის სასარგებლოდ სადგომის ღირებულების 10 %-ის - 4500 (ოთხიათას ხუთასი) ლარის გადახდა.
3. ქეთევან პაპიაშვილის მიერ ვაზგენ შადიკიანის სასარგებლოდ 4500 (ოთხიათას ხუთასი) ლარის გადახდის შემდეგ ქეთევან პაპიაშვილი ცნობილი იქნას ქობილისში, ანტონ კათალიკოსის ქ.№6-ში მდებარე უძრავი ქონების, ე. შადიკიანის საკუთრებაში არსებული 2/6 ნაწილიდან 53.95 კვ.მ მესაკუთრედ.
4. მოპასუხე ვაზგენ შადიკიანს გადახდეს მოსარჩელის სასარგებლოდ 100 (ასი) ლარი მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ;
5. განმარტოს მოპასუხეს, რომ გადაწყვეტილებაზე შესაძლებელია საჩივრის შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 10 (ათი) დღის ვადაში მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.
6. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ მოპასუხეს ეცნობოს საჯარო პუბლიკაციის გზით.
7. მოპასუხეს - ვაზგენ შადიკიანს განმარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისთვის ჩაბარებულად ითვლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინებით გაზეთში გამოქვეყნიდან მეშვიდე დღეს.
8. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთში „24 საათი“;
9. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაზეთში გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს მოსარჩელეს.

მოსამართლე

ე. ცისკარიძე

*Handwritten signature and stamp of the court clerk.*

შპს "საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო"

საჯარო განცხადება

ვის: შპს "ამ და ზის" მიმართ  
მისამართი: თბილისი 0192, მექანიზაციის ქ.№1,  
ხელმძღვანელი პირი: ამირან ლომიძე  
მისამართი: ხარაგაულის რ-ნი, სოფელი ხუნევი.

გაცნობებთ, რომ შპს "კაზა გრუპის" (იურიდიული მისამართი: თბილისი, საბურთალოს რ-ნი, ჩიქოვანის ქ.№36ა, ბინა 13; ფაქტიური მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ.№67) მიერ შპს "საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში" 5.05.2009 წელს შემოტანილი იქნა საარბიტრაჟო პრეტენზია შპს "ამ და ზის" წინააღმდეგ.

ვინაიდან შპს "ამ და ზის", მის იურიდიულ მისამართზე განხორციელებული ორი საფოსტო შეტყობინება ვერ ჩაბარდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნების კათვალისწინებით საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად საჯარო შეტყობინების მეშვეობით ვაქვეყნებთ გზავნილს შპს "ამ და

ზის" მიმართ და გატყობინებთ, რომ  
გთხოვთ, მოცემული განცხადების გამოქვეყნებიდან 14 (თოთხმეტი დღის) ვადაში მობრძანდეთ და ჩაიბაროთ თქვენს წინააღმდეგ წარდგენილი საარბიტრაჟო პრეტენზია მასზე დართულ დოკუმენტებთან ერთად.  
დოკუმენტაცია შეიგიძლიათ ჩაიბაროთ შემდეგ მისამართზე:

შპს "საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო"  
29, ბერძნის ქუჩა, 0114, თბილისი, საქართველო  
ფაქსი: +995 32 723190  
ტელ: +995 32 723180  
e-mail : epitashvilig@yahoo.fr  
დირექტორი გიორგი ეპიტაშვილი  
მუშაობის საათები: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

დადგენილ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში შპს "საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო" მიიღებს დადგენილებას დავაზე საკუთარი იურისდიქციის ცნობის შესახებ.

შპს "საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო"



**ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა ატარებს აუქციონს საწყისი ღირებულებიდან 40%-იანი ფასდაკლებით.**  
 აუქციონი გაიმართება 2009 წლის 15 ივლისს 15 საათზე

№	საპრივატიზებო ქონების დასახელება	მისამართი	შენობის და მიწის ფართი	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხა (ლარი)	ბიჯის თანხა (ლარი)	ბილეთის ფასი (ლარი)
1	ახმეტის კულტურის სახლის დამზარე ნაგებობა	ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ №54	შენობის საერთო ფართი 47.6კვ.მ მიწის ფართი 346.5მ²	9424.5	949.0	300	30
2	ახმეტის №3 ზაგა-ზადის გამოუყენებელი კორპუსი	ქ. ახმეტა თამარის ქ	შენობის საერთო ფართი 1415.0მ² მიწის ფართი 1415.0მ²	19992.0	1999.0	500	30
3	ყოფილი ახმეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე	ქ. ახმეტა რუსთაველის ქ	შენობის საერთო ფართი 210მ² არასასოფლო მიწის ფართი 874მ²	9454.5	945.0	300	30
4	სოფ. ზ. ხოდაშნის ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობა	ახმეტა სოფ. ზ. ხოდაშენი	შენობის საერთო ფართი 733.0მ² არასასოფლო მიწის ფართი 755მ²	15165.0	1517.0	500	30

აუქციონში მონაწილეობა თანხის გადახდის ვადები და სანქციები.  
 აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან იმ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების შესყიდვის საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს გამოქვეყნების დღიდან 16 ივნისიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 10 სთ-დან 17 საათამდე (ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართზე ქ. ახმეტა ზ. ჩოლოყაშვილის ქ №49), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10 სთ-დან 14 სთ-მდე

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
  - ბ) „ბე“-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს ს.ს. „სახალხო ბანკის“ ახმეტის ფილიალში. ანგ №300543325
  - გ) მონაწილის ბილეთის ფასის 30 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი
  - დ) პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში).
  - ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია, ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯის“ დანამატით მიღებული თანხის გადახდა.  
 დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ: ქ. ახმეტა, ზ. ჩოლოყაშვილის ქ №49; ტელ 8(249) 21513, 895-903910

**შ.პ.ს. “ ელექტროტრანსპორტი” 2009 წლის 30 ივნისს აცხადებს აუქციონს შავი და ფერადი ლითონების რაქობის მიზნით, კერძოდ:**

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)	“ ბე” (ლარი)	“ბიჯი” (ლარი)	ბილეთის ფასი (ლარი)
1	შავი ლითონის ფართი (არაგაბარტული)	5.5 ტონა	150	825	100	1ტ-ზე10	20
2	საფუძვლის ფართი	1980 ტონა	5500	10890	1089	100	20

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 30 ივნისს, 10 სთ-ზე, მისამართ: ქ.რუსთავი, დაკითვარუჯის ქ. №10  
 აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარებამდე ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 14 საათამდე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც საფუძვლად, აისახოს თანხმობა გამოცხადებული სააუქციონო პირობების შესახებ;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი: თანხა გადახდილი უნდა იქნას შ.პ.ს. „ელექტროტრანსპორტის“ ანგარიშზე: ს/ს „სახალხო ბანკი“ რუსთავის ფილიალი, ა/ა 36080062, ბანკის კოდი 220101413, ს.კ. 216292269.
3. მონაწილის პირადობის დამადასტურებელი საბუთი ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ამონაწერს საჯარო რეესტრიდან;

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შ.პ.ს. „ელექტროტრანსპორტის“ სააუქციონო კომისიას მისამართზე: ქ.რუსთავი, დაკითვარუჯის ქ. №10. საკონტაქტო ტელეფონი 824 14-15-58.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა  
 გამოცხადებული  
 კონკურსის  
 შედეგების შესახებ**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 1 მაისს გამოცხადებულ კონკურსზე, რომელიც ეხებოდა ქ. სამტრედიის ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანთან, რუსთაველისა და რესპუბლიკის ქუჩების გადაკვეთაზე ყოფილი სასტუმროს ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სავაჭრო-საოფისე და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობის საუკეთესო ესკიზური ნახაზის გამოვლენას, გამარჯვებული გამოვლინდა შ.პ.ს. „ელიტ.არ.დი“-ის არქიტექტორის გიორგი გელაშვილის ნამუშევარი.

საკონკურსო კომისია

**მუდმივმოქმედი არაბიტრაჟი „ლაპეის განმხილველი ცენტრი“  
 DDRC-ს სასამართლო**

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით DDRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომავალი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ალიანს ჯგუფი"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია გრიგოლი მხეიძის მიმართ.  
 ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 26 ივნისს 13:00 საათზე, მუდმივმოქმედ არ-ბიტრაჟ დავების განმხილველ ცენტრში" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, IV ბლოკი, I სართული.  
 ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე გრიგოლი მხეიძე მცხოვრები ქ. თბილისი, ნაკაშიძის შესახვევი N 9.

**ტენდერის შესახებ განცხადებაში  
 ცვლილების შეტანა**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნებო დანახვებზე - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ საპრეზიდენტო პროგრამა "პატრიოტი"-ს ფარგლებში 2009 წლის 29 მაისს გამოაცხადებულ ტენდერის განცხადებაში საქართველოს მასშტაბით არსებული პატრიოტული ბანაკების სარემონტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ შევიდეს შემდგომი სახის ცვლილებები:  
 1. პრეტენდენტს შესაძლებლობა აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.  
 2. სატენდერო განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნები

შემდეგ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

3. ტენდერში გამოყვებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო ღირებულების-1%-ზე)
4. ტენდერში გამოყვებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების-2%-ზე)

როლანდ ჩაჩავა - 895 95 19 14  
 შალვა ბოხაშვილი - 895 55 82 82

სატენდერო აპარატი



## ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე, სპ. დარბაზის მიმდებარედ, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის პრივატიზების მიზნით.

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 15 ივლისს 15.00 საათზე

№	საპრივატიზებო ქონების დასახელება სარეგისტრაციო №	ობიექტის პირობითი № მისამართი	ობიექტის (ნაკვეთის) ფართობი მ <sup>2</sup>	ობიექტის საწყისი ფასი აშშ. დოლარის შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში	ბე-ს თანხა აშშ-ს დოლარის შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში	ბიჯის თანხა აშშ-ს დოლარის შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში	ბილეთის ფასი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8
1	არასასოფლო-სამეურნეო მიწა რეგ №500443010	№1*	394.0	3108.0	311.0	311.0	50.0
2	„-----“ რეგ. №500443008	№1	444.0	3502.0	350.0	350.0	50.0
3	„-----“ რეგ. №500443009	№2	444.0	3502.0	350.0	350.0	50.0
4	„-----“ რეგ. №500443013	№3	444.0	3502.0	350.0	350.0	50.0
5	„-----“ რეგ. №500443014	№4	444.0	3502.0	350.0	350.0	50.0
6	„-----“ რეგ. №500443015	№5	444.0	3502.0	350.0	350.0	50.0
7	„-----“ რეგ. №500443016	№6	444.0	3502.0	350.0	350.0	50.0
8	„-----“ რეგ. №500443017	№7	592.0	2155.0	216.0	216.0	50.0
9	„-----“ რეგ. №500443018	№8	592.0	2155.0	216.0	216.0	50.0
10	„-----“ რეგ. №500443019	№9	592.0	2155.0	216.0	216.0	50.0
11	„-----“ რეგ. №500443020	№11	492.0	3880.0	388.0	388.0	50.0
12	„-----“ რეგ. №500443021	№12	492.0	1791.0	179.0	179.0	50.0
13	„-----“ რეგ. №500443022	№13	492.0	1791.0	179.0	179.0	50.0
14	არასასოფლო-სამეურნეო მიწა რეგ. №500443023	№14	492.0	1791.0	179.0	179.0	50.0
15	„-----“ რეგ. №500443024	№15	400.0	3155.0	316.0	316.0	50.0
16	„-----“ რეგ. №500443025	№16	400.0	3155.0	316.0	316.0	50.0
17	„-----“ რეგ. №500443026	№17	400.0	3155.0	316.0	316.0	50.0
18	„-----“ რეგ. №500443027	№18	400.0	3155.0	316.0	316.0	50.0
19	„-----“ რეგ. №500443028	№19	400.0	3155.0	316.0	316.0	50.0
20	„-----“ რეგ. №500443029	№20	400.0	3155.0	316.0	316.0	50.0
21	„-----“ რეგ. №500443030	№21	400.0	3155.0	316.0	316.0	50.0
22	„-----“ რეგ. №500443031	№22	400.0	3155.0	316.0	316.0	50.0
23	„-----“ რეგ. №500443032	№23	600.0	2184.0	218.0	218.0	50.0
24	„-----“ რეგ. №500443033	№24	600.0	2184.0	218.0	218.0	50.0
25	„-----“ რეგ. №500443034	№25	600.0	2184.0	218.0	218.0	50.0
26	„-----“ რეგ. №500443035	№26	599.0	2181.0	218.0	218.0	50.0
27	სპორტდარბაზის „საქვაბე“ მასზედ დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო მიწით 492მ <sup>2</sup> რეგ. №500443042	ქ. ახმეტა რუსთაველის ქუჩა	განმეზიანების ფართი 94.0მ <sup>2</sup>	6797.0	680.0	680.0	50.0
28	მშენებარე სასტუმრო: რკინა ბეტონის 16 ცალი სვეტი. მასზე დამაგრებული 2118მ <sup>2</sup> არასასოფლო-სამეურნეო მიწით რეგ №500442016	ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქუჩა	-	18309.0	1831.0	1831.0	50.0

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადების და სანქციები**

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, ან იმ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადებების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, 10 საათიდან 17 საათამდე (ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართზე: ქ. ახმეტა ბ. ჩოლოყაშვილის ქ. №49) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10 სთ-დან 14 სთ-მდე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.
- ბ) „ბე“-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი რომელიც შეტანილი უნდა იქნეს სს „სახალხო ბანკის“ ახმეტის ფილიალში: ანგ. 300543325
- გ) მონაწილის ბილეთის ფასის 50.0 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
- დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეურნეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ: ქ. ახმეტა ბ. ჩოლოყაშვილის ქ. №49 ტელ 8 (249) 21513

## ბანცხალვა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) აცხადებს დია აუქციონს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „რუსთაველი“-ს ს/ნ 242730194 (მდებარე: წაღვანის რ-ნი, სოფ. ჯგაღი) დაეკავშირებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „რუსთაველი“-ს შემდეგი დასახელების ქონება:

1	ადმინისტრაციული შენობა (წაღვანის რ-ნი, სოფ. ჯგაღი)	14.30მX25.6მ	32000
	სულ ჯამი		32000

ქონების საერთო ღირებულება: 32000 (ოცდათორმეტიათასი) ლარი  
 ქონების ადგილმდებარეობის ფაქტობრივი მისამართი: წაღვანის რ-ნი, სოფ. ჯგაღი  
 აუქციონი გაიმართება 2009 წლის 17 ივლისს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. წაღვანის რ-ნი, სოფ. ჯგაღი, ცენტრალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) წაღვანის ოფისის შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე სახის სადგომზე ქვეყნარბაზზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღებ: პრობან ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალური ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახსრის კოდი 302006000). შესაძენი პირებს, რომლებსაც გაინათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანის ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ: 8(22)26-18-19; 8(22)26-18-21.

№	საგნების დასახელება და აღწერა (განმარტებული ნიშნები, ცვეთა და სხვა).	ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა).	თითოეული საგნის შეფასება ლარებში	
			ერთეულის ფასი	საბაზრო ღირებულება
1	2	3	4	5



### საქმი N2/5492-07 განჩინება საქართველოს სახელმწიფო საჯარო შეტყობინების შესახებ 1 ივნისი, 2009 წელი, ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე  
მაკა ჭედია

**მოსარჩელე** : სს "საქართველოს ბანკი"

**მოპასუხეები**: ყუყუნა ზაუტაშვილი.

**დავის საგანი**: ფულადი ვალდებულების დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონე-  
ბის იძულებით რეალიზაცია.

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე სხდომა დამთავრდა 15:15 საათზე

მოსამართლემ გახსნა მოსამზადებელი სხდომა და გამოაცხადა განსახილველი საქმე.  
მოსამართლე სირტყვას გადასცემს სხდომის მდივანს პროცესის მზადყოფნის შესახებ  
მოსახსენებლად. სხდომის მდივანი აცხადებს:  
პროცესზე მონეველ პირთაგან გამოცხადდა: მოსარჩელე სს "საქართველოს ბანკის"  
წარმომადგენელი ციციანი ხუცურაული.

არ გამოცხადდა : მოპასუხე ყუყუნა ზაუტაშვილი, რომელსაც სასამართლო უწყება არ  
ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, სასამართლოში დაბრუნებულ უწყებზე მითითებულია,  
რომ ყუყუნა ზაუტაშვილი იმყოფება უცხოეთში.

მოსამართლემ დაადგინა გამოცხადებულ პირთა ვინაობა და შეამოწმა წარმომადგენელ-  
თა უფლებამოსილება. აგრეთვე გააფრთხილა პროცესის მონაწილეები და სხდომაზე დამს-  
რე პირები წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების საკვალდებულოობისა და სა-  
სამართლოს სხდომაზე წესრიგის დაცვის მიზნით დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიე-  
ბის თაობაზე, რაც გათვალისწინებულია სსს.კ-ის 212-ე მუხლით.

მოსამართლე აცხადებს, რომ საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-  
მოქალაქო საქმეთა კოლეგიის მისამართლე მაკა ჭედია, სხდომის მდივანი მიხელ ტყეშელაშ-  
ვილი და მხარეებს განუმარტა მათი აცილების უფლება და საფუძველი გათვალისწინებული  
სსს.კ-ის 31-ე მუხლით, აგრეთვე განუმარტა სსს.კ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული უფ-  
ლება-მოვალეობანი.

ხარეებს მოსამართლისა და სხდომის მდივანის მიმართ აცილება არ განუცხადებიათ.

მოსამართლე შეეკითხა მხარეებს ხო მარ აქვთ რაიმე შუამდგომლობა და განცხადება ახ-  
ლა მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის ან კიდევ საქმის განხილვასთან დაკავ-  
შირებული საკითხების შესახებ.

მოსარჩელის წარმომადგენელი ციციანი ხუცურაული განმარტავს: ვშუამდგომლობ სასა-  
მართლოს წინაშე საჯარო შეტყობინების საშუალებით მოსარჩელისათვის სარჩელისა და  
თანდართული დოკუმენტების ჩაბარების შესახებ, ვინაიდან ვერ ხერხდება აღნიშნულ მისა-  
მართზე AtI ჩაბარება.

მოსამართლე აცხადებს ადგილზე თათბირით მიღებულ

#### გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმომადგენელმა სამო-  
ქალაქო საქმე სს "საქართველოს ბანკის" სარჩელისა გამო ყუყუნა ზაუტაშვილის მიმართ  
ფულადი ვალდებულების დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით რეა-  
ლიზაციის შესახებ.

მოპასუხე ყუყუნა ზაუტაშვილს ვერ ბარდება სარჩელში მითითებულ მისამართზე(თბი-  
ლისი, მ. ასათიანის ქ. N12, ბ.N39) გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები და  
ბრუნდება წარწერით, რომ ყუყუნა ზაუტაშვილი წასულია უცხოეთში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თა-  
ნახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად  
ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყო-  
ბინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეტის  
საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის  
შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ამავე მუხლის თანახმად, მხარე უფლებამოსილია, სასამართლო განჩინების საფუძველ-  
ზე, თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალე-  
ბებით და სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნე-  
ბიდან მე-7 დღეს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ყუყუნა ზაუტაშვილის ადგილსამყოფელი უცნობია, მას  
სარჩელის თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7,  
78-ე, 284-285-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა

1. მოქალაქე ყუყუნა ზაუტაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმომადგენელმა სამო-  
ქალაქო საქმე სს "საქართველოს ბანკის" სარჩელისა გამო ყუყუნა ზაუტაშვილის მიმართ  
ფულადი ვალდებულების დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით რეა-  
ლიზაციის შესახებ;

სარჩელის მოთხოვნებია: ფულადი ვალდებულების შესრულება და იპოთეკით დატვირ-  
თული ქონების იძულებით რეალიზაცია.

სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებია: 2004 წლის 26 მარტს სს "საქართველოს ბანკსა"  
და მოპასუხე ყუყუნა ზაუტაშვილს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება N 503/05-  
015 რომლის საფუძველზეც მსესხებელზე გაიცა სესხი 20000 (ოცი ათასი) აშშ დოლარის  
ოდენობით, სარგებლის წლიური 24% დარიცხვით, 18(თვრამეტი) თვის ვადით. სესხის მიზ-  
ნობრიობას წარმოადგენდა საბრუნავი საშუალებების შეძენა.

ამავე დღეს იპოთეკით დაიტვირთა ყუყუნა ზაუტაშვილის საკუთრებაში არსებული

საცხოვრებელი ბინა მდებარე . ქ. თბილისი ასათიანის ქ. N12 ბ.39. იპოთეკა სათანადოდ და-  
რეგისტრირდა საჯარო რეესტრში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ბინის /არასაცხოვრე-  
ბელი ფართის შესახებ განაცხადის რეგისტრაციის N10590/2004 თარიღი 29.03.2004წ, გაცე-  
მის თარიღი-19.05.2004წ, საკადასტრო N1/10/15/4/6) და 2004 წლის 30 მარტს დაგირავდა  
ყუყუნა ზაუტაშვილისვე საკუთრებაში არსებული ძვირფასეულობა,

დღეისათვის მოპასუხის დავალიანება შეადგენს: ძირი 13692 აშშ დოლარი, სარგებელი -  
9856 აშშ დოლარი და ჯარიმა - 76982 აშშ დოლარი, სულ 100530 აშშ დოლარი.

თანდართული დოკუმენტების ნუსხა:

- 1 საკრედიტო ხელშეკრულების ასლები;
- 2 იპოთეკის ხელშეკრულების ასლები;
- 3 გირავნობის ხელშეკრულების ასლები;
4. ამონაწერები მსესხებლის პირადი სასესხო ანგარიშებიდან;
5. საჯარო რეესტრის ამონაწერის ასლი;
6. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
7. სახ. ბაჟის ქვითარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუ-  
ხე ვალდებულია წერილობით შეადგინოს პასუხი(შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ  
საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წა-  
რუდგინოს ისინი სასამართლოს მიღებიდან 7 დღის ვადაში. მოპასუხის მიერ წერილობით  
პასუხში მითითებული უნდა იყოს:

2. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი.

მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ შესაგებელი შეაქვს წარმომადგენელს) მოწმის,  
სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის, სახელი, გვარი, (სახელწოდება) ძირითადი მისამართი(ფაქ-  
ტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამარ-  
თი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლე-  
ბელია მითითებული იქნას საკონტაქტო პირის მონაცემები;

ცნობთ თუ არა სარჩელს და რა ნაწილში;

თუ მოპასუხე არ ცნობს სარჩელს რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება

მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ.

მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;

რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერ-  
ძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას; ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვე-  
ბობას;

არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები;

ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ;

ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამომანილედ ან მესამე პირად.

რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;

სხვა სახის შუამდგომლობები;

პასუხისთვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი განხილვის მოსაზრების თაობაზე;

მოპასუხის წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უყფლებამოსილების

დამამტკიცებელი დოკუმენტი, თუ შესაგებელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

პასუხში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრება

სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავ-

შირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალ-

დებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. მოპასუხე

ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს

საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებუ-

ლია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფ-

ლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებუ-

ლებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ სა-

კითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესა-

ხებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მი-

ღებიდან

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ მოთხოვ-

ნებს.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდ-

გენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქარ-

თვლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.

მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასა-

ლები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მო-

პასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.

პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მოპასუხის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2

ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია

არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გა-

დაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითი-

თებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემ-

თხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კო-

დექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხი-

საგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ

სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

3. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება

პუბლიკაციიდან მე-7 დღეს;

4. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მხარეს განემარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის თა-

ნახმად სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობის და მასში შენიშვნების შეტანის წესი და ვადა.

სასამართლო სხდომა დაიხურა.

მოსამართლე: მაკა ჭედია

სხდომის მდივანი მიხელ ტყეშელაშვილი

#### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შსს სსიპ-სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს გამოაქვს სარეალი-  
ზაციოდ ხანგრძლივ შენახვაზე მყოფი ვადაგასული მატერიალური ფასეულობები ლითონის  
ჯართის სახით. ფასი განისაზღვრება რეალიზაციის პერიოდში არსებული საბაზრო ფასიდან

გამომდინარე, ხოლო რაოდენობა მყიდველზე გადაბარების დროს.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მოგვმართონ მ/წლის 25 ივ-  
ნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ.გულუას ქ.N8, IV სართული. დამატები-  
თი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: 41-17-83, 41-17-84.

**სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი**



# თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს

## შ ა ც ი რ ნ ს

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე

საპრივატიზაციოდ გამოტანილი იქნება თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანები:

№	ავტომანქანის მარკა	სახ. ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	ბიჯი ლარი	„ბე“ ლარი	მინაწილის ბილეთი
1	ბე-ემ-ვე 7401 V8	KAX-007	1994	3600	180	360	20
2	შოსკონი-2140	TEL-314	1980	100	5	10	20
3	ნისან პრემიერა 2.0 SLXD	KAX-091	1992	2100	105	210	20
4	ვაზ-21063	TEL-919	1990	480	24	48	20
5	შოსკონი-412	RAI-194	1990	100	5	10	20
6	ვაზ-21063	KAX-350	1986	600	30	60	20
7	კრაისლერ-სირუს 2.51	TKT-005	2000	4500	225	450	20
8	ვაზ 2105	KAX-010	1999	600	30	60	20

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:  
 აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

### ინფორმაცია განცხადებების მიღების შესახებ:

აუქციონში მონაწილეთა განცხადებების მიღება იწარმოებს განცხადების გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 1100 საათიდან 1700 საათამდე შაბათ-კვირის გარდა, ხოლო, აუქციონის ჩატარების დღეს განცხადებები მიიღება 1000 საათიდან 1200 საათამდე.

მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გაყიდვებისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. აგრეთვე, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართქვას მას გამარჯვებულის სტატუსს. ამასთან, მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შნატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღება თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში);
- ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი ქვითრები;
- გ) პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს (ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან ბოლო შედგომარობით), პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს;

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით; სააუქციონო კომისიის ზონარეგიონალ დაფარვაში განაცხადის რეგისტრაციის მომენტთან, განმცხადებელი იქნეს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულების გამოცხადების კრიტერიუმია საწყისი გასაყიდი ფასზე ბიჯის დანაშტის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

**აუქციონი ჩატარდება** ვაზეთში განცხადების გამოქვეყნებიდან 30-ე კალენდარულ დღეს 14 საათზე, ხოლო თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, აუქციონი ჩატარდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე. მისამართი ქ. თელავი, ერეკლე II გამზირი №16 – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

### საბანკო რეკვიზიტები – წინასწარი გადახდა (ბე)

სს „სტანდარტ ბანკის“ თელავის ფილიალი  
 ბანკის კოდი – 220101945  
 ა/ა 24000419976

შემდეგი გადახდა

### სახელმწიფო ხაზინა – ბანკის კოდი-220101222

ხაზინის ერთიანი ანგარიში - 200122900  
 ხაზინის კოდი – 300513332

ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში – ერეკლე II გამზ. №16, ტელ. 7.13.35.



## ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ აცხადებს ღია ტენდერს ელექტრო გაყვანილობის სისტემების სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე.

1) შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილისი, ჭანტურისა ქ. N14-ში მდებარე ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ცენტრალური ოფისში ელექტრო გაყვანილობის სისტემების სამონტაჟო სამუშაოები.

2) ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ქართულ და უცხოურ იურიდიულ პირს, სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, სამუშაო საათებში 26. 06.2009წ. 12.00 საათამდე შემდეგ, მისამართზე - ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. N37, ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სათაო ოფისი მე-4 სართული, შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი.

3) ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი დღის განმავლობაში და დაასრულოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული სავალდებულო სამუშაოთა განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ან შესაძლებლობის შემთხვევაში უფრო ნაკლებ ვადაში მისი სატენდერო წინადადების შესაბამისად, მოთხოვნილი ეტაპების თანმიმდევრობის დაცვით. სამუშაოებში გამოყენებული მასალები უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ტექნიკურ პარამეტრებსა და სპეციფიკაციებს.

4) ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია და სატენდერო წინადადებები დედნების სახით უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (ან ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე თარგმანის დართვით), ორი დახურული კონვერტით (სატენდერო წინადადება და შევსებული ხარჯთაღრიცხვა ცალკე კონვერტში, ხოლო საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები და ინფორმაცია ცალკე კონვერტში) ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N37, მე-4 სართული, შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი.

5) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი, ასევე სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები და შევსებული სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 29.06.09წ. 1600 საათამდე: სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ და ფაქტიურ მისამართს, ტელეფონი/ფაქსს, ანგარიშსწორების ზუსტ რეკვიზიტებს.

6) პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედადამული პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოწერილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

7) ალტერნატიული სატენდერო წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია.

8) დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს, საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

9) პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N37, ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სათაო ოფისში, წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდეგ.

10) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:  
 - ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი უზღუდვის არარსებობის შესახებ (უცხოური კომპანიის შემთხვევაში - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

- ცნობას სასამართლოდან, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიობის საქმის წარმოება, (უცხოური კომპანიის შემთხვევაში - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

- ცნობას საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხოური კომპანიის შემთხვევაში - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

- ამონაწერი საგადასახადო სამსახურიდან რეგისტრაციის შესახებ  
 - სატენდერო წინადადების უზრუნველყოფა, სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, ერთ-ერთი ფორმით :

1) საბანკო გარანტია, საქართველოში რეგისტრირებული, ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიასათვის“ მისაღები, რომელიმე ბანკიდან. (ბანკები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში)

2) ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“ განთავსებული შესაბამისი თანხის დეპოზიტი.  
 - დეტალური ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული მსგავსი პროექტების შესახებ. წარმოდგენილი უნდა იქნას გეგმობითი ხელშეკრულებების ასლები (აუცილებელია პრეტენდენტს ჰქონდეს მსგავსი საქმიანობის განხორციელების მინიმუმ ერთი წლის გამოცდილება, სასურველია საბანკო ან საოფისე დანიშნულების შენობებში).

- ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“ ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნის წერილობით ვალდებულებას, ხელმოწერილ პრეტენდენტის ხელმძღვანელის მიერ, (იხ.პუნქტი 13.)

11) საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. პრეტენდენტები, რომელთა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი ან სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნება წარმოდგენილი სრულყოფილად, ყალბი აღმოჩნდება ან არ შეესაბამება ტექნიკურ დავალებას, ვერ გამოვლიან საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დაიშვებიან შეფასებისათვის;

12) იმ პრეტენდენტებს, რომელთაც გახსნილი აქვთ ანგარიშსწორების ანგარიში ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“ (მინიმუმ ერთი წლის ბრუნვით,) სატენდერო წინადადებების შეფასებისას სხვა პრეტენდენტებთან თანაბარ პირობებში აღმოჩენის შემთხვევაში მიენიჭება უპირატესობა.

13) ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი, ვალდებულია გახსნას ანგარიში ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“, ბანკის მიერ გამარჯვებულ პრეტენდენტთან სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით ანგარიშსწორება განხორციელდება ამ ანგარიშის მეშვეობით, ანგარიშის გახსნის ვალდებულება წერილობითი სახით (ხელმძღვანელის ხელმოწერით) წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებასთან ერთად.

14) ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმით.

15) ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ სატენდერო პროცედურებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ნებისმიერი მათთვის საჭირო ინფორმაცია, წერილობითი მიმართვის საფუძველზე მიიღონ მხოლოდ ბანკის რისკების სამმართველოს შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფის ქვემოთ მითითებული თანამშრომლებისაგან ასევე წერილობითი ფორმით, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას და სურვილის შემთხვევაში დაათვალიერონ სამუშაოთა განხორციელების ადგილი მხოლოდ აღნიშნული ჯგუფის თანამშრომელთა უშუალო მონაწილეობით.

